# დროშა

№ 12 დეკემბერი 1970

ეროვნული ბიბლიოთეკა



„სსრ კავშირის მოქალაქეებს აქვთ მატერიალური უზრუნველყოფის უფლება მოხუცებულობაში, აგრეთვე — ავადმყოფობისა და შრომის უნარის დაკარგვის შემთხვევაში.

ეს უფლება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს ხარჯზე მუშებისა და მოსამსახურეების სოციალური დაზღვევის ფართო განვითარებით, მშრომელთათვის უფასო სამედიცინო დახმარებით, მშრომელთა სარგებლობაში კურორტთა ფართო ქსელის გადაცემით“.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის კონსტიტუციიდან.



ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# დროშა

№ 12 (409) დეკემბერი, 1970 წ.

გამოცემის წელი 48-ე.

ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და სალიტერატურო-სამხატვრო ჟურნალი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა



# ადამიანი და მალამო

**რა შეიძლება წაიკითხოს მკითხველმა აფთიაქზე ჟურნალ-გაზეთებში? თითქმის არაფერი. სადღაც, ტექსტის ბოლოს იუმორის განყოფილებაში თუ წააწყდებით ასეთ ხუმრობებს:**

„მეაფთიაქე თავზარდაცემული გაეკიდა კლიენტს, რომელსაც ის-ის იყო მოემსახურა.

— შეჩერდით, შეჩერდით, ბიკარბონატის ნაცვლად მე თქვენ დარიშხანი მოგეცით...

— ღმერთო ჩემო, რა საშინელებაა!

— ნამდვილად აგრეა! დარიშხანი ოცი ფრანკით უფრო მეტი ღირს!“

**ან კიდევ ასეთი ხუმრობა:**

„—როგორ, ჩემი დამზადებული წამალი არ დაულევია? — გაოცებით ჰკითხა პროვიზორმა ავადმყოფის ცოლს.

— ასე გაიძახის, ბატონო, ძალიან არასასიამოვნო გემო აქვსო.

— შემიძლია ასეთი რჩევა მოგცეთ: დალიოს წამალი და იფიქროს, თითქოს კონიაკს სვამს.

— ეგ მეც ვუთხარი, ბატონო, მაგრამ ასე მიპასუხა — უმჯობესია კონიაკს დავლევ და ვიფიქრებ, თითქოს წამალს ვსვამო“.

**ჟურნალებში ასეთ რამესაც წააწყდებით:**

„აფთიაქში შედის ბიჭუნა, პროვიზორის სარკმელთან ჩერდება, ფეხს ფეხზე აჯკარედინებს და სდუმს.

— რა გინდა, ბიჭიკო? — ეკითხება პროვიზორი ბავშვს.

— წამალი მინდა, მაგრამ სახელი დამავიწყდა. მე მხოლოდ მახსოვს, რომ ამ წამლის შემადგენლობაში შედის მედიტილამინოლიმეტილფენილპირალოლნაფტოლი...“

**ეს ყველაფერი კარგია. ხუმრობაც, რა თქმა უნდა, საჭიროა, მაგრამ აფთიაქი სულაც არ არის სახუმარო საქმე. ეს ის დაწესებულებაა, სადაც შენი და შენი ახლობლების სიცოცხლის ბედი წყდება.**

**ესაა ადამიანის სიცოცხლის დაცვის მთავარი შტაბი. და აი, ჩვენც გადავწყვიტეთ მოვუთხროთ მკითხველს ერთ ასეთ შტაბზე, ერთ შესანიშნავად მოწყობილ აფთიაქზე, რომლის მუშაკები, დღისით და ღამით, განუწყვეტლივ ზრუნავენ ადამიანთა ჯანმრთელობაზე.**

**ეს გახლავთ აფთიაქი № 1, რომელიც მდებარეობს ლენინის მოედანზე, თბილისის საბჭოს შენობის პირველ სართულზე.**

* * *

ფარმაკოლოგიას უძველესი ისტორია აქვს. ათასეული წლების წინ ძველ ეგვიპტესა, ასურეთსა და ბაბილონში უკვე იცოდნენ მრავალი წამლის საიდუმლოება, რომელიც ერთი შეხედვით უიმედო ავადმყოფს ისევ სიცოცხლის გზაზე შემოაბრუნებდა.

მედიცინამ და ფარმაკოლოგიამ ახალ მწვერვალებს მიაღწია ანტიკურ ქვეყნებში — საბერძნეთსა და რომში, არაბულ აღმოსავლეთში და შემდეგ ევროპაში.

დიდი და სასახელო წარსული აქვს ქართულ ფარმაკოლოგიასაც; ქანანელის „უსწორო (ე. ი. სწორუპოვარი) კარაბადინი“ (XI საუკუნე), „წიგნი საქიმოი“ (XIII საუკ. დამდეგი), ზაზა ფანასკერტელ-ციციშვილის „სამკურნალო წიგნი — კარაბადინი“ (XV საუკუნე), დავით ბატონიშვილის (დაუთხანის) „იადიგარ დაუდი“ (XVI საუკ.) შეიცავენ ისეთ რეცეპტებს, რომლებიც ხშირ შემთხვევაში საფუძვლად დაედო თანამედროვე მკურნალობას.

თანამედროვე საბჭოთა ფარმაკოლოგია ანუ წამალთმცოდნეობა უმაღლეს საფეხურზე დგას. შეიძლება დავასახელოთ მრავალი ავადმყოფობა, რომელიც არც თუ ისე დიდი ხნის წინ, ოცი-ოცდაათი წლის წინ, სასიკვდილო ავადმყოფობად ითვლებოდა. დღეს კი ჩვენი მეცნიერება მოერია მათ.

მაგრამ ეს ჩვენი წერილის თემა არ არის; მხოლოდ ერთი ამბავი გვინდა მოვუთხროთ მკითხველს, რომელიც ერთგვარ შთაბეჭდილებას შეუქმნის მას ჩვენი წამალთმცოდნეობის წარმატებებზე. ერთმა ჩემმა ნათესავმა ექიმმა, რომელიც ომის დროს ფრონტზე იყო, ასეთი რამ მიამბო.

— გერმანელების მედიცინა რომ მაღალ დონეზე დგას, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. ეს ჩვენც კარგად ვიცოდით. მაგრამ, როცა ჩვენი ჯარების დიდი შეტევა დაიწყო და ბრძოლა უკვე გერმანიის ტერიტორიაზე გადავიდა, ჩვენ მოგვიხდა გერმანული ჰოსპიტლების დათვალიერება, რომელთა ევაკუაცია მოწინა-

11990




ქიმიკოს-ანალიტიკოსი მარიამ გუჯიაშვილი და აფთიაქის მმართველის მოადგილე ვლადიმერ გვიაძე.



ეროვნული ბიბლიოთეკა

საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა



მანანა გაბრიაძე.

მარგარიტა მაჭავარიანი (შუაში)



ალმდეგემ ვერ მოასწრო. და ჩვენ გაოცებული დავრჩით, რომ დავინახეთ, გერმანელი ქირურგები იყენებდნენ... ვიშნევსკის მალამოს, რომელიც გამოჩენილმა საბჭოთა ქირურგმა სწორედ ომის წლებში მოამზადა. მაშასადამე, მოწინააღმდეგემ როგორღაც ჩაიგდო იგი ხელში და დარწმუნდა, რომ გერმანულ წამლებზე უკეთესი იყო. ამით ის მინდა გითხრათ, რომ არა მარტო ჩვენმა ჯარისკაცმა აჯობა მტრისას, არა მარტო ჩვენმა ოფიცერმა — იმათ ოფიცერს, არა მარტო ჩვენმა მთავარსარდალმა იმათსას, არამედ ჩვენმა ექიმმაც აჯობა იმათ ექიმს.

ეს ერთი ფაქტიც ბევრს მეტყველებს.

* * *

დავუბრუნდეთ ისევ № 1 აფთიაქს.

ჩვენ აფთიაქის მმართველის მოადგილის ვლადიმერ გვიაძის კაბინეტში ვსხედვართ. გამოცდილი პროვიზორი თავისი თანამშრომლების თავდადებულ მუშაობასა და ღვაწლზე გვესაუბრება.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი დიდი მუშაობის შესრულება უხდება აფთიაქს — მხოლოდ ორიოდე ციფრს მოვიშველიებთ. როდესაც № 1 აფთიაქში შედიხართ, თქვენ მხოლოდ რამდენიმე თანამშრომელს ხედავთ. პირველი შთაბეჭდილება მცდარია. აფთიაქში ხალხის ჯანმრთელობის დაცვას სამოცი ადამიანი ემსახურება.

რა თქმა უნდა, არსებობს ძვირად ღირებული წამლები. ასეთი წამლები მცირე გამონაკლისს წარმოადგენს. აფთიაქში ძირითადად წამლების ფასი მაინც კაპიკებით განიზომება. ჰოდა, თქვენ თვითონ დაფიქრდით, რამდენ ათას კაცს ემსახურება აფთიაქი, თუ მისი ყოველდღიური ფულადი ბრუნვა საშუალოდ 1200 მანეთს შეადგენს?!

მხედველობაში უნდა მივიღოთ ისიც, რომ აფთიაქში პირველი დახმარების გაწევა უფასოა.

№ 1 აფთიაქში სადღეღამისო მუშაობაა შემოღებული. ვთქვათ, ვინმე შეუძლოდ გახდა. ღამეა. ავადმყოფისათვის კი სასწრაფოდ არის საჭირო წამალი. მიბრძანდით № 1 აფთიაქში და ღამის მორიგე რეცეპტარ-კონტროლიორი დაუყოვნებლივ გაგიწევთ დახმარებას.

კიდევ უფრო მეტიც. მარტოხელა და დავრდომილ ავადმყოფებს, აფთიაქი წამლების შინ მიტანით უსასყიდლოდ უწევს მომსახურებას. ასეთი მომსახურებისათვის აფთიაქს სპეციალური მსუბუქი მანქანა ჰყავს. საკმარისია დღე-ღამის რომელ დროსაც გინდათ დარეკოთ და მარტოხელა ავადმყოფს აფთიაქიდან დაუყოვნებლივ მიუტანენ საჭირო წამალს.

იმ წამლებზე, რომლებზეც პერიოდულად განსაკუთრებით დიდი მოთხოვნილებაა, აფთიაქი წინდაწინვე იჭერს თადარიგს. ასეთი სახის გამზადებული წამლები მაცივარში ინახება და მომხმარებელი, რამდენიმე საათის ცდის ნაცვლად, დაუყოვნებლივ იღებს მათ.

№ 1 აფთიაქში საწყობიდან მიღებულ წამლის ყოველ შემადგენლობას, როგორც წესი, მიკროსკოპის ქვეშ გულმოდგინედ ამოწმებს კონტროლიორი. კონტროლიორი წამლების დამამზადებელ განყოფილებაშიც ზის. ყოველი ახლად გამზადებული წამალი, რომელიც ავადმყოფს უნდა მიეცეს, ჯერ კონტროლიორის ხელში გაივლის და შემდეგ ისე ეძლევა მომხმარებელს.

ამ საუბარში რომ ვიყავით, მმართველის მოადგილის კაბინეტში თეთრხალათიანი ქალი შემოვიდა, ხელში რეცეპტი ეჭირა.

— ბატონო ვლადიმერ, ეს წამალი ბავშვისთვის არის გამოწერილი. გასინჯეთ, ცოტა არ იყოს მეეჭვება, დოზა მეტი ხომ არ არის აღებული?

ვლადიმერმა რეცეპტი ჩამოართვა და ყურადღებით ჩაათვალიერა, ცოტა ხნის შემდეგ თანამშრომელს ახედა:

— ყველაფერი რიგზეა. მაინც ყოჩაღ, რომ შეამოწმე. ზედმეტი სიფრთხილე საქმეს არასოდეს აწყენს.

ვლადიმერ გვიაძე პროვიზორთა ძველ გვარდიას ეკუთვნის. ამ აფთიაქში მუშაობა მან ჯერ კიდევ ბავშვობაში დაიწყო. 1936 წლიდან 1968 წლამდე ვლადიმერი № 1 აფთიაქის მმართველად მუშაობდა. 1968 წელს იგი პენსიაზე გადავიდა, მაგრამ შინ გულმა არ გაუძლო, ისევ აფთიაქში დაბრუნდა და თავისი მოწაფის, ახლა უკვე მმართველის — ოთარ სანებლიძის მოადგილედ დაიწყო მუშაობა.

№ 1 აფთიაქის მთელი კოლექტივის თავდადებულ შრომაზე ნათლად მეტყველებს გარდამავალი წითელი დროშა და სიგელები. დიდი ლენინის დაბადების 100 წლისთავის საიუბილეო დღეებში საბჭოთა კავშირში 16 აფთიაქმა მიიღო სსრ კავშირის ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროსა და მედიცინის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის საპატიო სიგელი. მათ შორის იყო თბილისის № 1 აფთიაქიც. აფთიაქი კომუნისტური შრომის კოლექტივის საპატიო სახელს ატარებს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ № 1 აფთიაქი ფხიზლად საიმედოდ დგას მშრომელი ხალხის ჯანმრთელობის დაცვის საგუშაგოზე.

ოთარ დემეტრაშვილი

# სურამულის სასანთლოვანი

გიორგი კალანდაძე

ლესია უკრაინკას

ლიხის მთასთან ვინ აავსო
უკვდავების სურა?
კიევიდან თუ მოფრინავს
შენი სული სურამს?
დღესაც შენი „ტყის სიმღერა“
ახსოვს სურამულას.

დღესაც ამკობს შენს ქვეყანას
შენი ლექსის ბროლი,
შენს სანუკვარ უკრაინას,
შენს ნოვოგრად-ვოლინსკს.

იგი ჩვენაც არ გვავიწყებს,
გვინთებს ძმობის ლამპარს,
ფრთას გაშლის და გადმოუფრენს
საქართველოს მთა-ბარს.

მოღუღრტულებს სურამულა,
შენს ლექსს უკლავს წყურვილს, —
სუსტ სხეულში ჩაგისახლდა
ტიტანური სული.

შენი ლექსი — ფერია,
ცეცხლოვანი გზნებით,
ჩემს ოცნებას შეერია,
გაუნათა გზები...

ლიხის მთასთან ა[illegible]
უკვდავების სურა?
კიევიდან თუ მოფრინავს
შენი სული სურამს?
დღესაც შენი „ტყის სიმღერა“
ახსოვს სურამულას.

ადრეცა ვყოფილვარ პანკისის ხეობაზე. მაშინ გაზაფხული მომძლავრებული იყო და ყვავილთა ფიფქებით დათოვლილი გზაც კი ეტოქებოდა ბაღებსა და ეზოებს. მაგრამ იმ სილამაზეს, რომელსაც გამოსცემენ შემოდგომის ფერები ამ ხეობაზე, მგონი, გაზაფხულიც ვერ დაიკვეხნის.

ვახუშტიმდე იყო იქაურობა ხეხილით განთქმული, ვახუშტის დროსაც და მის შემდეგაც, მაგრამ ვაზის ხსენება თითქმის ამ ათიოდე წლამდე არ ყოფილა. მხოლოდ ტყის პირებსა და ფერდობებს შეფენილი ცხვარ-ძროხა მისძოვდა ნოყიერ ბალახს, მხოლოდ თავთავდამძიმებული ყანა იტალღებოდა სპეროზადან წამოსული ნიავის ბიბინზე. მხოლოდ სიმინდები ღაღანებდნენ ლურჯად მეტისმეტი სიმწვანისაგან და ღლისით ბოსტნებში მოფუსფუსე ჭრელთავსაფრიანი ქა-



ზამთრის საძოვრებზე.

# პანკისიდან ალვანამდე

ლადო მრელაშვილი

და ქვევით აღარ მიშვებს. მეხვეწება: სართვლოდ გადანახულ ქვევრს შენ მოგახდევინებ მარანში და იქვე დაგაჭაშნიკებინებო.

საპატიო მიზეზსა და უარს ერთად ვეუბნები.

ქვევრს შენ არ მოგახდევინებ, მე მოვხდი და შენ დაიჭაშნიკეო.

უარს ვეუბნები.

მაშინ მე მოვხდი და მევე დავიჭაშნიკებ, ოღონდ კი შემოიარე ჩემთანო.

ვიცი რომ გამინაწყენდება, მაგრამ დროის უქონლობის გამო მაინც უარს ვეუბნები.

პანკისის ხეობის თვრამეტი სოფელი შეერთებულა ერთ მეურნეობად და იოსები დირექტორად დაუნიშნავთ.

ნაყამირევი, უკვე დაპლანტაჟებული ადგილები მაჩვენა იოსებმა, სადაც გაზაფხულზე ახალი ვენახები გაშენდება. როგორც ეტყობა, პანკისელებმა გემო გაუგეს ვაზსა და ახლა გულმოდგინედ ცდილობენ უხსოვარი დროიდან მოკიდებული დანაკლისის შევსებას .

ამ ათიოდე წლის წინ პანკისში კი არა, თავათ ახმეტაშიც კი იშვიათი იყო მოასფალტებული გზა. საგულდაგულოდ დახურულ მანქანაშიაც კი აღწევდა მტვრის ბუღი. ახლა ასფალტზე მისრიალებს ჩვენი მოსკვიჩი და ღია ფანჯრიდან



ლები, დახუნძლული მსხლისა და ვაშლის ქვეშ, ცახზე შეხორხლილ აბრეშუმის ჭიის პარკს არჩევდნენ საღამოთი.

ახლა კი:

ვენახები... ვენახები... ვენახები...

გზის გაღმაც და გამოღმაც მწკრივზე გაბმულ მავთულებს დაუთვლელი პწკლებით ჩაბღაუჭებიან გაპატრიარქებული რქები და მტკაველნახევრიანი, დაკუმსული მტევნების სიმძიმით, მუხლებში ჩახრილან ვაზები, სიმწვანე ახლა მეწამულ-ლილისფერში გადასულა და ვაზის ფოთოლსაც მეწამული ფერი დასდებია.

ალაზნის არხის სათავიდან მობრუნებულს, გზად ჩემი ძველი მეგობარი იოსებ ძოძიშვილი მხვდება. მაღალი, ახოვანი, ცისფერთვალა ვაჟკაცი ... ოსები. დიდი პურმარილიანი ოჯახი აქვს



ცხვრის პარსვა ალვანის საბჭოთა მეურნეობაში. მარჯვნივ—მეურნეობის დირექტორი ქ. ჯიჯურიძე.



ზემო ალაზნის არხის მშენებლობის II სამმართველოს უფროსი კონსტანტინე თულაშვილი (მარცხნივ) და პანკისის მევენახეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი იოსებ ძოძიშვილი.

ფოტო თ. არჩვაძისა.



როსტომ მგელაური (ვენახის მეველე, ალვანი).



ახმეტის სანერგე მეურნეობა. მარცხნიდან: გივი რემაძე (მთავარი აგრონომი) და თედო შაშიაშვილი (დირექტორი).

სახეში მოურიდებლად გვცემს ჰაერის გამჭვირვალე ნაკადი.

ილტოს ახალ ხიდზე გავდივართ და ახმეტაში შევდივართ.

ახმეტა ჩემი საყვარელი ადგილია.

იქნებ იმიტომ, რომ აქ ჩემი სტუდენტობისა და ჭაბუკობის მეგობრები დამკვიდრებულან. — ზოგი მათგანი რაიაღმასკომის თავმჯდომარეა, ზოგი რაიკომის მდივანი, ზოგი ღვინის ქარხნის მთავარი მეღვინე, ზოგი ტყემრეწველობის მთავარი ინჟინერი, ქარხნების, კომბინატის თუ სკოლების დირექტორები.

ან იქნებ იმიტომ, რომ პანკისის ყელში ჩაფერნილი დურაჯივით განაბულა და სათავეს უდებს ალაზნის დიდებულ ველს? აქ საქართველოს ბარი მთიანეთში გადადის და ქალაქს ძლიერ ლამაზ, თავისებურ კოლორიტს აძლევს. პანკისიდან გამოვარდნილი შმაგი ალაზანი ბახტრიონთან ერთბაშად უხვევს აღმოსავლეთით და მდორდება. დიდებული სანახავია წყალდიდობისას. შემიძლია საათობით ვიდგე და ვუცქირო როგორ ზავთიანად მიცურავს ალვანსა და ალავერდს შუა და როგორი მედიდურობით მიაგორებს თავის მრეშ ტალღებს განიერ კალაპოტზე.

ამ უკანასკნელ ათწლეულში ახმეტა მაინც ძლიერ დამშვენდა. სულ არც თუ დიდი ხნის წინათ იგი ჩვეულებრივი სოფელი იყო — კახური დასახლების დიდი სოფელი. ახლა ძველი, დაკლაკნილი გზები გასწორდა და გაფართოვდა, გაიჭრა ახალი ქუჩები და მოასფალტდა, ახალმა გამზირმა, — ლენინის გამზირმა მთელ სიგანეზე გადასერა ქალაქი, ახალი სახლები და ადმინისტრაციული შენობები აღიმართნენ ქუჩების გაღმა-გამოღმა და ხეივან-ხეხილიანმა ეზოებმა თავისი ლაზათი მისცეს პანორამას.

ამ სამი წლის წინ ახმეტაში ღამით ჩაველი, რაიკომთან მთელი მოედანი ნათურებით გაეჩახჩახებინათ და ღია ცის ქვეშ, ანტიკური თეატრის მსგავსად, მთელი სპექტაკლი მიდიოდა. ვიკითხე და აღმოჩნდა: იმ წელს რაიონის თვითმოქმედებას რესპუბლიკაში პირველი ადგილი დაეჭირა. მერე მოსკოვში წარეგზავნათ და ყრილობათა სასახლეში თავისი გამოსვლით მაყურებელი დიდად განეცვიფრებინა. ახლა ამასვე იმეორებდა თავისიანების წინაშე არა ნაკლები ოსტატობითა და ვირტუოზულობით. განსაკუთრებით მომხიბლეს ცეკვებმა, რომელიც ტოლსაც დაუდებდა და კიდეც წააჭარბებდა საქართველოს რომელიც გინდა დამსახურებული ანსამბლის შესრულებას; ისეთი დახვეწილი, ისე ბუნებრივი, ისეთი უშუალო, ისე თავისუფალი იყო ყოველგვარი მანჭვა-გრეხისა და ხელოვნურობისაგან, რომ აქამდე უკვე ყელში ამოსული ერთი და იმავე ცეკვების უნახავს გაგხდიდა და მეხუთედ და მეათედ მოგანატრებდა.

მე მაშინ ვნახე როგორ აასფალტებდნენ ახმეტა-თიანეთის გზას. მაგრამ რა სამწუხაროა, რომ ასფალტი ახმეტას მაინცდამაინც შორს არ გასცილებია. რა კარგი იქნება, თუ ორივე რაიონი — ახმეტაცა და თიანეთიც, თავს იდებს ამ საშვილიშვილო საქმეს. მაშინ მოასფალტებული ახმეტა-თიანეთის გზა ერთ-ერთი ულამაზესი იქნება არა მარტო საქართველოში, არამედ მთელ საბჭოთა კავშირშიც. დიდ სიკეთეს იზამს ორივე რაიონის ხელმძღვანელობა თუ ამ ამბავს ძლიერ ახლოს მიიტანს გულთან და მშრომელთა დიდი ხნის ნაოცნებარ სურვილს ხორცს შეასხამს.

ახმეტას მევენახეობის დიდი მეურნეობა აქვს. როდესაც კი მის თვალუწვდენელ ზვრებს გავხედავ, მაშინვე ქართველი გლეხკაცის ოდინდელი ნატვრა მახსენდება:



ალვანი ცხრაკარადან.

ნეტავი ნატვრა მანატრა,  
ეს ნატვრა ამიხდინაო!  
მუხრან-ბატონი ყმად მომცა,  
ამილახვარი — შინაო,  
. . . . . . .  
მუკუზნის ღვინით დამათრო,  
ახმეტას დამაძინაო.

მუკუზნის ღვინით დათრობა არა მგონია მას შემდეგ კიდევ შეეხარბოს ახმეტელს, რაც აქაურმა ღვინოებმა „ხატრიონმა" და „ახმეტამ" მსოფლიო გამოფენაზე ოქროსა და ვერცხლის მედლები არაერთგზის მიიღო. ხოლო, რაც შეეხება ახმეტაში დაძინებას, ეს სურვილი კი შეიძლება კიდევაც ბევრმა ჩაუთქვას: ერთი ავსტრიელი მეცნიერის აზრით, მისგან მოვლილ-ნანახი მხარეებიდან ჰაერში ჟანგბადის ყველაზე დიდი რაოდენობა სწორედ აქ შეინიშნება. ქართველი გლეხკაცი ბრძენია! — მის უმცდარ ალღოს არ გამოპარვია ეს ამბავი და ავტორიტეტულ მეცნიერებაზე ადრე ლექსად ამოუთქვამს.

მივყვები ალაზნის პირს და შემოდგომის ჩამაჭრებული ჰაერით გადამთვრალი დღე ფეხდაფეხ მომდევს. მარცხნივ თუ მარჯვნივ გამდგარი ჟრიამული ზვრებიდან გამოდის და ავტომანქანებზე შედგმულ რკინის ძარებსა თუ გოდრებში დამკრახულ მტევნებად ლაგდება. ფრუტუნ-შიშინით მისრიალებენ გზებზე მძიმე მანქანები და ღვინის მარნებთან ერთმანეთს ჭუჭკავენ.

ზვრებს იქით ჩაის პლანტაციასავით მოჩანს ვეება ნაკვეთი და მეც იქით ვუხვევ, რადგანაც ვიცი: თედო შაშიაშვილი იქ დამხვდება.

თედო შაშიაშვილი! არ შეიძლება, რომ მკითხველის ყურადღება განსაკუთრებით არ შევაჩერო ამ კაცის დიდი, მუდამ მაძიებელი ნიჭის წინაშე. იგი ამ ოთხიოდე წლის წინ ახმეტის მეურნეობაში მუშაობდა აგრონომად. აქვე აწარმოებდა დაკვირვებასა და ცდებს ვაზის მყნობაზე და მისი გახარების, გამოსავლიანობის გაზრდაზე. ოდითგანვე აწუხებდა, რომ ყოველი 100 ცალი ნამყენიდან მხოლოდ 35-40 ცალი თუ ვარგოდა დასარგველად. თავისი ცდებისათვის არ ჰქონდა ხელის შემწყობი პირობები და კიდევ უფრო მეტად უშლიდა ხელს ვიღაც-ვიღაცათა შური, რომელიც ბედი-მდევარივით მუდამ თან სდევს ყოველ ნიჭიერ კაცს.

რაიკომი დიდად დაინტერესდა მისი ცდებით. ცალკე შექმნა ახმეტის მევენახეობის სანერგე მეურნეობა. 240 ჰექტარი ვენახი მისცა და სანერგე ნაკვეთი 2 მილიონზე მეტი ნამყენისათვის. მეურნეობის დირექტორად თავად თედო დანიშნა.

აქ კი გაშალა ფრთა თედომ და ქვეყანას დაანახვა, რომ მისი ცდები და მიღწევები წიქარას ზღაპარი არ იყო: მან დააზუსტა საძირე და საკვირტე მასალის აჭრის ვადები; მათი შენახვის

უფრო რაციონალური წესები; მუნობისთვის სამუნობი მასალების დამზადებისა და დალბობისათვის საჭირო ხსნარების გამოყენების საკითხები; სათბურში ნახერხის გამოყენებისა და სტრატიფიკაციის პერიოდის შემცირების შესაძლებლობანი; განსაზღვრა საკაუეში ნამყენის გაკაუების ხანგრძლივობა; სანერგე ნიადაგის შერჩევა-დამუშავების ვადები, დაადგინა მდინარის ლამის გამოყენების წესები და მრავალი სხვანი, რომელთაც ხელი შეუწყეს იმას, რომ 100 ცალი ნამყენიდან 85-40 ცალი ვარგისი ნამყენის ნაცვლად 80-82 ცალი მაღალი შედეგების პირველხარისხოვანი ნამყენი მიეღო. ეს არის, ერთი ბულგარელი მეცნიერის სიტყვით რომ ვთქვათ, აღმოჩენა, რომელიც მსოფლიოში ჯერ არავის ჰქონია.

თედომ წარმატებით დაიცვა დისერტაცია სოფლის მეურნეობის მეცნიერების კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად და ახლა უკვე ამთავრებს ახალ შრომას — სადოქტორო დისერტაციას.

სიხარულით მხვდება ნაკვეთში მოფუსფუსე თედო და ახმეტური გულღიობით მიყვება:

— რაიკომისა და კერძოდ მისი პირველი მდივნის ალექსი ბატიაშვილის დიდი მზრუნველობის გარეშე მე მარტო ვერ შევძლებდი ასეთი წარმატებების მიღწევას. ახლაც არ გვაკლებს ყურადღებას ჩვენი მდივანი. ზოგჯერ კვირაში ორჯერ-სამჯერაც კი ჩამოდის და დახედავს სანერგეს. მეკითხება ხომ არაფერი მაკლია, ხომ არაფერი მჭირდება დამატებით, ანდა კიდევ რით შეუძლია დამეხმაროს. და მე მგონია ჩვენი ალექსიც ისევე ამაყობს ჩემი მიღწევებით, როგორც თავად მე...

თედოს სამფლობელო ბიძინა ჩოლოყაშვილის ნასახლარამდე ჩადის.

ამ ნასახლარის დანახვაზე თავში ყოველთვის ათასგვარი ფიქრები მეშლება.

ალაზნის გაღმა ბახტრიონის ნაციხარია, გამოღმა ეს ნასახლარი. ეგრე პირისპირ დგას წარსულ საუკუნეთა ეს ორი ნამუსრევი.

და ჩემთვის გასაგებია, ყოველ დილით რა გუნებაზე დადგებოდა ბიძინა, როცა თავის აივანზე გამოსულს ბახტრიონის გოდოლებიდან მუეძინის გამყინავი ხმა მისწვდებოდა, რომელიც მართლმორწმუნე მუსლიმანებს დილის ნამაზზე მოუწოდებდა.

და უმალ ყურში ჩამესმება დასაზვერად გამოსული თუშების უკუღმა დაჭედილ ცხენთა ნალების გაუფრთხილებელი წკრიალი, უზანგზე გაკრული ხმლის ბუნის ჩხარა და მერე უცებ ყალყზე ამდგარი ზეზვა გაფრინდაულის რაშის ჭიხვინი.

ძალიან მიყვარს თუშები: მამაცნი, ქედუდრეკნი და შრომისა და ცოდნის მოყვარენი. ადრე თუ დიდმა მოხევემ, ცხვარში მყოფმა ალექსანდრე ყაზბეგმა გააოცა ფრანგები ბრწყინვალე ფრანგულის ცოდნით, ახლა უკვე აღარავის უკვირს, თუ რომელიმე თუში მეცხვარე რომელიმე უცხო ენაზე ალაპარაკდება. ჩემი რა გითხრათ და, როგორი იყო ალვანში სტუმრად ჩასული რუმინელ მწერალთა გაოცება, რომელთაც ვახლდი, როცა მათ მასწავლებელმა დევანოზ გოჩილაიძემ სუფთა რუმინულით გაუბა საუბარი.

ალვანი ორი სოფელია — ზემო და ქვემო ალვანი. ვეება სოფლებია და ასე ლამაზი ქართული სოფელი ჯერაც არსად არ მინახავს... მე არაერთხელ ამიწერია მათი სილამაზე ნარკვევსა თუ მხატვრულ ნაწარმოებში, მაგრამ თავს ვერ ვიკავებ ცდუნებისაგან, კიდევ რამე ვთქვა მის ხიბლსა თუ ეშხზე. ქართულ აივნიანი სახლები ასე ჰარბად და ასე მიმზიდველად აღარსად შემხვედრია ახალნაშენები. განსაკუთრებით ერთი სახლი მიყვარს ქვემო ალვანში, რომელიც ზემოთ ნახსენებ მასწავლებელს გოჩილაიძეს ეკუთვნის. თითქმის სამსართულიანი, წითელი აგურით ნაშენი, დიდი, ლამაზი შენობა თავმომწონედ დაჰყურებს კვიპაროსებსა, ხეივნებსა, ხეხილითა და მწვანე მოლით მოფარდაგულ ეზოს. ფრიად საშურო საქმეც რომ მქონდეს, შუადამეც რომ იყოს, თუ ალვანზე მომიხდა გავლა, აქ უეჭველად ავითრევ ხოლმე ფეხს, რათა ერთხელ კიდევ დავტკბე მისი ჭვრეტით.



ახმეტის ღვინის ქარხანა. დირექტორი არ. აივაზაშვილი, დირექტორის მოადგილე გიორგი ფშაველაშვილი და მთავარი მეღვინე ქოთილა გოგოჭური.

ქვემო ალვანში ჩასულს კოსტა ჯამრულიძის ნაცვლად მეურნეობის დირექტორად ჩემი სტუდენტობის მეგობარი კოსტა ჯიჯურიძე დამიხვდა. გამოირკვა: კოსტა ჯამრულიძე საქართველოს მეცხოველეობის ტრესტის მმართველად გადაუყვანიათ ამ ზაფხულს.

— რაღა უჭირს ალვანს, რაკი კოსტათა მმართველობა დაეკვება! — გავეხუმრე ახალ დირექტორს და იქვე კოსტა II-დ მოვნათლე.

კოსტა ჯიჯურიძე საშუალო ტანის, ჩასხმული, წითლად დამკვრახული ტიპიური თუშია, ქარსა და ავდარში, ყინვასა და სიცხეში გამოყვანილი, იცის ჩემი შეუკავებელი ლტოლვა ალვნების სილამაზით ტკბობისა და თავის „კოლხოზნიკში" მეპატიჟება.

ცხრაკარას გორაზე ავდივართ.

გორაზე ნათლიმცემლის სახელობაზე აშენებული ეკლესია და ცხრაკარად წოდებული შენობის ნანგრევია. ნათლიმცემელი ძველი ჩანს, კედლებზე კიდევ შემორჩენია გაცრეცილი ფრესკები. შენობის ნანგრევი კი, რომელსაც კოსტა თამარ მეფის საზაფხულო სასახლედ აცხადებს, უფრო ახალი უნდა იყოს. ქართული აგურით არის ნაშენები და ცხრა ვეებერთელა ფარღალალა კარით უმზერს ალაზნის გაღმა თეთრად ატყორცნილ ალავერდს.

თითო-თითო კარში ვდგავართ გალაჟულნი მე და კოსტა და იქიდან გადმოვყურებთ სოფლებს.

თუ გინდა, რომ კახეთის სილამაზით დასტკბე, ან ნუკრიანიდან უნდა გაჰხედო ლურჯ ბურუსში მოლივლივე სილ[illegible]ადს, ან ქოჩებიდან თვალმიუწიერამდე გაბმულ შირაქის მინდვრებს, ან ნადიკვარიდან მოავლო თვალი ალაზნის ველს და ან ცხრაკარაზე შედგე მზის ჩასვლისას.

ერთურთის გადამკვეთი უსწორესი ქუჩებით დაქსელილა სოფლები და საცხოვრებელი სახლები ალაზნის პირამდის გაუტანია. ასობით მზე დანთებულა წითელი კრამიტითა და ტყვიისფერი თუნუქით დახურულ სახურავებზე. ფანჯრის მინები ირეკლავენ ირიბად დაშენილ ნარინჯისფერ შუბებს და უკანვე ისვრიან. კავკასიონის უკვე თეთრად ნალესი მწვერვალებიდან წამოსულ სიოს ბლის და მსხლის ფოთლებისთვის ნირი შეუცვლია და ახლა ვეება, მეწამული მაშხალებივით ბრიალებენ. ოქრო, ლალი და ზურმუხტი გამოსჭვივის ვაშლისა და მსხლის ხეთა ვარჯებში.

თუშებს, რომელნიც მეცხვარედ დაბადებულან, თუშებს, რომელთაც ადამიანთა შორის, ალბათ, პირველად მოაშინაურეს ცხვარი, თუშებს, რომელთაც დღემდე ცხვარი ასმევდა, ცხვარი აჭმევდა და ცხვარი აცმევდა, თუშებს, რომელთა მეცხოველეობის მეურნეობა ახლაც 100 ათას სულამდე ცხვარს ითვლის, ალვნების შუა და მათ გარშემო დიდებული ვენახები გაუშენებიათ. მთათა ფერდობებიდან დაშვებული უზარმაზარი ზვრების ვაზთა მწკრივები მხოლოდ ალაზნის კალაპოტსღა შეუჩერებია. მე მათ დიდხანს, დიდხანს თვალმოუცილებლად დავცქერი და ჩემს ცნობიერებაში ეს მწკრივები ისე ალიქვება, როგორც ადამიანისაგან ღმერთისათვის წასაკითხად დაწერილი ბუნების დიდი წიგნის ბწკარები. და უკვე აღარ მიკვირს, წეღან გზაში კოსტა ასე რატომ ამაყობდა, როცა მეუბნებოდა: ამ უკანასკნელ წლებში ახმეტის რაიონმა მევენახეობაში მიღწეული წარმატებებისათვის სამჯერ ზედიზედ მოიპოვა რესპუბლიკური გარდამავალი წითელი დროშა და ჯერჯერობით არც ვაპირებთ ვინმეს დავანებოთო.

ქვემო ალვანში კანტორის წინ ორი ისეთი დიდი შენობის მშენებლობა მიდის, თავად დედაქალაქსაც დაამშვენებდა. მათ შორის ერთი იქნება კულტურის სახლის მთელი ანსამბლი, ხოლო მეორე ე. წ. „სავაჭრო ცენტრი".

ვუცქერი ყველაფერს ამას და ვრწმუნდები: ამ უკანასკნელ ათწლეულს ალვნისთვისაც რამხელა სიკეთე მოუტანია.

ოღონდ ერთი რამ მაწუხებს და არ შემიძლია, რომ ჩემს ძმობილ კოსტასა და მთელ თუშებს არ ვუთხრა: ზემო და ქვემო ალვანი არა მარტო ოჯახში ყმაწვილთა სიმრავლით იზრდება, არამედ უფრო მეტად თუშეთიდან ბარად სულ უფრო და უფრო მზარდი ჩამოსახლებით. მთიდან მოსახლეობის ამ განუწყვეტელ მიგრაციას ის მოსდევს, რომ მთაში ბევრ სოფელში და განსაკუთრებით პირიქით თუშეთში ხშირად წააწყდებით გულისმომკვლელ სურათს, გამოუკეტავად მიტოვებულ დაცარიელებულ სახლებს, სადაც ისეთი სიჩუმეა, რომ მარტო ქარისაგან ანჯამაზე აგლეჯილი კარის ჭრიალიღა ისმის. უკაცურია იქაურობა. ეს კი არ შეიძლება, ძმებო თუშებო! საქართველოს მთიანეთის მოშიშვლება არ შეიძლება, მითუმეტეს ახლა, ჩვენს ეპოქაში, როცა გზას და თანამედროვე ტექნიკას ყველგან შეუძლია მიიტანოს კულტურისა და ცივილიზაციის ყველა სიკეთე.

ახმეტა. სექტემბერი.



გარიკადების წინ. ნახატი მ. ჯანაშვილისა.

# მეგობრობის უქრობი შუქი

ფრ. ენგელსის დაბადებიდან 150 წლისთავისათვის

მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებლებმა — კარლ მარქსმა და ფრიდრიხ ენგელსმა არა მარტო თავიანთი თეორიული ნაშრომებით გააშუქეს კაცობრიობის წინსვლის გზა, არამედ პირადი ცხოვრებითაც მოგვცეს დაუვიწყარი მაგალითი იმისა, თუ რას ნიშნავს მეგობრობა ადამიანთა შორის.

თვით მათი პირადი ცხოვრებაც, მათი მეგობრობა გამსჭვალული იყო იმ ბრძოლის ინტერესებით, რომელსაც ეს ბუმბერაზები ეწეოდნენ მშრომელი ადამიანის განთავისუფლებისათვის.

კ. მარქსი და ფრ. ენგელსი პირველად ერთმანეთს შეხვდნენ პარიზში, 1844 წელს. აქ ხანმოკლე, მაგრამ მეტად თბილი და გულითადი საუბრების შედეგად მათი შეხედულებები, აზრები და იდეები სავსებით დაემთხვნენ ერთმანეთს და ასე გაინასკვა მათ შორის მეგობრობის მტკიცე კვანძი, რაც საფუძვლად დაედო ამ ორი გენიოსის ცხოვრებასა და მოღვაწეობას.

პირველივე შეხვედრიდან, როგორც პოლ ლაფარგი მოგვითხრობს, მარქსი და ენგელსი „განაგრძობდნენ ცხოვრებას საერთო სულიერი ცხოვრებით: მათ თითქმის ყოველდღე ჰქონდათ მიმოწერა მიმდინარე პოლიტიკურ ამბებზე ან მეცნიერების საკითხებზე, ერთმანეთს უზიარებდნენ საკუთარ მეცნიერულ დაკვირვებებს. როგორც კი ენგელსს თავისი სამუშაოდან განთავისუფლების საშუალება მიეცა, მან სწრაფად დატოვა მანჩესტერი და ჩავიდა ლონდონში, სადაც თავისი ძვირფასი მარქსის სახლიდან ათი წუთის სავალზე დაბინავდა. 1870 წლიდან მოყოლებული, მარქსის სიკვდილამდე ერთი დღეც არ ყოფილა ისეთი, რომ მათ ერთმანეთი არ ენახათ, რომ ერთ-ერთი მეგობარი არ სწვეოდა მეორეს".

1847 წელს მარქსისა და ენგელსის თაოსნობით აღმოცენდა „კომუნისტთა კავშირი", რომელიც მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის — კომუნისტური პარტიის შექმნის პირველი ცდა იყო. მარქსმა და ენგელსმა დაწერეს და 1848 წელს გამოაქვეყნეს კოლექტიური ნაშრომი, „კომუნისტთა კავშირის" საბრძოლო პროგრამა — „კომუნისტური პარტიის მანიფესტი".

ამ უკვდავმა მანიფესტმა სულ მალე ჰპოვა საყოველთაო აღიარება, გავრცელდა და გადაიქცა მსოფლიო პროლეტარიატის პროგრამად. ფრ. ენგელსი აღნიშნავდა: „ამჟამად „მანიფესტი" უეჭველად წარმოადგენს მთელი სოციალისტური ლიტერატურის ყველაზე ფართოდ გავრცელებულ, უაღრესად ინტერნაციონალურ ნაწარმოებს, საერთო პროგრამას, რომელიც აღიარებულია მილიონობით მუშების მიერ ციმბირიდან კალიფორნიამდე".

1848 წლის ბურჟუაზიული რევოლუციის დროს მარქსი და ენგელსი დაბრუნდნენ თავიანთ სამშობლოში — გერმანიაში; „ორივე მეგობარი, — წერდა ვ. ი. ლენინი, — რევოლუციურ-დემოკრატიული მისწრაფების სული და გული იყო. უკანასკნელ შესაძლებლობამდე იცავდნენ ისინი ხალხისა და თავისუფლების ინტერესებს რეაქციული ძალებისაგან".

1849 წლის მაისში, რევოლუციის დამარცხების შემდეგ, მარქსი გასახლებულ იქნა გერმანიიდან; იგი ჯერ პარიზში გადავიდა საცხოვრებლად, ხოლო აქ ცხოვრების აკრძალვის შემდეგ გადასახლდა ლონდონში, სადაც ცხოვრობდა სიკვდილამდე; ენგელსიც, რომელმაც სამჯერ მიიღო უშუალო მონაწილეობა შეიარაღებულ შეტაკებაში, აჯანყების დამარცხების შემდეგ გაიქცა გერმანიიდან და მარქსის მსგავსად ინგლისს შეაფარა თავი.

მარქსს ლონდონში ცხოვრება და მოღვაწეობა უხდებოდა მეტად მძიმე მატერიალურ პირობებში. მხოლოდ ენგელსის — ამ უახლოესი მეგობრისა და თანამებრძოლის სისტემატურ მატერიალურ დახმარებას გამოჰყავდა მარქსი მძიმე ეკონომიურ მდგომარეობიდან და აძლევდა მას საშუალებას გაეგრძელებინა მეცნიერული მუშაობა. ამის შესახებ მეტყველებენ ის მრავალრიცხოვანი წერილები, რომლებსაც მარქსი და ენგელსი ამ პერიოდში უგზავნიდნენ ერთმანეთს.

1851 წელს მარქსი ენგელსს სწერდა: ჩემი მეუღლე „ახლა ძალიან ავადაა... ამასთანავე მე სახლში ერთი გროშიც არ გამაჩნია, სამაგიეროდ წვრილი ვაჭრების, მეხორცის, მეფუნთუშის და სხვების ძალიან ბევრი ვალი მაქვს".

ენგელსმა დაუყოვნებლივ გაუგზავნა ფული და თანაც მისწერა: „დაბეჯითებით გთხოვთ, რომ ყველა მძიმე და აუცილებელ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მაცნობოთ. მე ყოველთვის მზად ვიქნები ჩემი შესაძლებლობის მიხედვით დამატებით გაგიწიოთ დახმარება".

ისედაც მძიმე და აუტანელ ეკონომიურ მდგომარეობაში მყოფ მარქსის ოჯახს თავს დაატყდა ახალი საშინელი უბედურება. ხანგრძლივი და მტანჯველი ავადმყოფობის შემდეგ, 1855 წლის გაზაფხულზე გარდაიცვალა მარქსის ერთადერთი ვაჟი. იმ დღეებში მარქსი სწერდა ენგელსს: ჩემი საყვარელი ბიჭის გარდაცვალების შემდეგ ჩვენი სახლი სავსებით დაცარიელდა და დაობლდა. იგი აცოცხლებდა და ახალისებდა ოჯახს. ჩემმა ოჯახმა, მართალია, ბევრი უბედურება გადაიტანა, მაგრამ მხოლოდ ახლა ვიგრძენი თუ რა არის ნამდვილი მწუხარება. მე სავსებით მოტეხილი ვარ და ცუდად ვგრძნობ თავს. შვილის დასაფლავების შემდეგ ისეთი საშინელი თავის ტკივილები მაქვს, რომ არ შემიძლია არც ფიქრი, არც რაიმეს გაგონება და გაკეთება. „ყველა ამ საშინელ ტანჯვაში, რომლებიც ამ დღეებში განვიცადე, ყოველთვის მასულდგმულებდა აზრი შენზე და შენს მეგობრობაზე და იმედი, რომ ჩვენ ამ ქვეყანაზე კიდევ შეგვიძლია გავაკეთოთ რაიმე გონივრული".

ამრიგად, უახლოესი მეგობრის — ენგელსის სისტემატურმა და უანგარო დახმარებამ მარქსს შესაძლებლობა მისცა გაეგრძელებინა დაძაბული მეცნიერული მუშაობა და დაემთავრებინა „კაპიტალი" — ესოდენ დიადი, შრომატევადი და ბუმბერაზული მეცნიერული ნაშრომი.

„ძველებური გადმოცემები, — წერდა ვ. ი. ლენინი, — მოგვითხრობენ მეგობრობის სხვადასხვა ამაღელვებელ მაგალითს; ევროპის პროლეტარიატს შეუძლია თქვას, რომ მისი მეცნიერება შექმნა ორმა სწავლულმა და მებრძოლმა, რომელთა ურთიერთობა აღემატება თვით ძველთა ყველაზე ამაღელვებელ თქმულებებს ადამიანთა მეგობრობის შესახებ".

ფ. ენგელსი 1849 წლიდან თითქმის 20 წელი მანჩესტერში ცხოვრობდა, იგი ხშირად ჩამოდიოდა ლონდონში თავის განუყრელ მეგობართან, მოინახულებდა მას, საათობით ისხდნენ და ერთმანეთს უზიარებდნენ და უთანხმებდნენ თავიანთ შეხედულებებს ცალკეულ თეორიულ საკითხებზე და პოლიტიკურ მოვლენებზე.

„მარქსის მთელი ოჯახი დღესასწაულობდა, — იგონებს პოლ ლაფარგი, — როცა ენგელსი თავისი ჩამოსვლის ამბავს შეატყობინებდა. მისი ჩამოსვლის მოლოდინში გაუთავებელი ლაპარაკი იყო მასზე, ხოლო ჩამოსვლის დღეს მარქსს მოუთმენლობის გამო მუშაობა არ შეეძლო. მეგობრები თამბაქოს ეძალებოდნენ და მთელ ღამეს ერთად ისხდნენ, რათა მოესწროთ ლაპარაკი ყველაფერზე, რაც კი მათი უკანასკნელი შეხვედრის შემდეგ მოხდა".

ფრ. ენგელსის აზრებსა და შეხედულებებს, — მოგვითხრობს პოლ ლაფარგი, — მარქსი უაღრესად პატივს სცემდა და აფასებდა. იგი პირდაპირ ამაყობდა თავისი მეგობრით, სიამოვნებით მომითხრობდა ენგელსის მაღალ ზნეობრივ და გონებრივ ღირსებაზე და პირდაპირ აღტაცებული იყო მისი მრავალმხრივი და მდიდარი მეცნიერული ცოდნით. ყველა წვრილმანი შემთხვევა, რასაც შეიძლებოდა საფრთხეში ჩაეგდო ენგელსის სიცოცხლე, მისი მეგობრის შეშფოთებას იწვევდა. ფრ. ენგელსი გატაცებული იყო ნადირობით. მარქსს ამის გამო თურმე არაერთხელ უთქვამს: მე შიშისაგან სულ ვცახცახებ, როცა გავიფიქრებ, რომ ენგელსს სულ ადვილად შეიძლება რაიმე უბედურება შეემთხვეს ნადირობის დროს, განსაკუთრებით, როდესაც იგი ნადირობით გატაცებული თავდავიწყებით მიაჭენებს ცხენს ველებზე და ყურადღებას არ აქცევს არავითარ დაბრკოლებას.

კ. მარქსი გარდაიცვალა 1883 წლის გაზაფხულზე. იმავე წლის ზაფხულში გამოქვეყნდა „კომუნისტური პარტიის მანიფესტის" ახალი გამოცემა. ამ გამოცემის წინასიტყვაობაში ენგელსი გულისტკივილით წერდა: „ამ გამოცემის წინასიტყვაობას, სამწუხაროდ, მარტო მე უნდა მოვაწერო ხელი. მარქსი, ის ადამიანი, რომლისაგანაც ევროპისა და ამერიკის მთელი მუშათა კლასი უფრო მეტადაა დავალებული, ვიდრე სხვა ვინმესაგან, — განისვენებს ჰაიგეტის სასაფლაოზე და მის საფლავზე უკვე ამოვიდა პირველი ბალახი".

მარქსის გარდაცვალების შემდეგ, — წერდა ვ. ი. ლენინი — მსოფლიო პროლეტარიატისა და სოციალისტური მოძრაობის მრჩეველი და ხელმძღვანელი მარტო ენგელსი იყო. რჩევა-დარიგებისათვის მას ერთნაირად მიმართავდნენ როგორც გერმანელი სოციალისტები, ისე ესპანეთის, რუმინეთის, რუსეთისა და სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობის მოწინავე წარმომადგენლები, „რომელთაც უხდებოდათ მოესაზრათ და აეწონ-დაეწონათ თავიანთი პირველი ნაბიჯები. ყველა ისინი ეწაფებოდნენ მოხუცი ენგელსის ცოდნისა და გამოცდილების მდიდარ საგანძურს".

დ. მგელაძე,

პოლიტექნიკური ინსტიტუტის სკკპ პარტიის ისტორიის კათედრის დოცენტი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მიკოლა ბაჟანი

## ერთი თავი პოემიდან

...და ვიპოვე ჩვენები
    წყნარ ოხკოლის მახლობლად,
ხოფლის სკოლის ეზოში...
    პავლო სადღაც წავიდა.
თურმე ბევრი იდავა,
    მაგრამ როდი ნაღვლობდა:
რადისტების კურსებზე
    ჩავირიცხე თავიდან.

მომცრო მწვანე თვალების
    ელვა ანაზდეული.
ანტენები გასწორდნენ
    და გაისმა კაკუნი.
დაკოჟრილი ხელების
    მოძრაობა ჩვეული.
მორზეს პულსი წყვეტილი.
    შრომა თავგადაკლული.

იყავ დაუღალავი
    და გახსოვდეს მიზანი.
იყავ, როგორც გასროლა
    ზუსტი, შეუცდომელი,
და გაიგებ, რას ამბობს
    პირობითი ნიშანი,
საიდუმლო სიტყვებში
    რას გულისხმობს რომელი!

წერტილები მიჰქრიან,
    ტირეები მისდევენ.
როცა სიგნალს მისცემენ
    ეს პატარა ხელები,
სადღაც ხარკოვ-ქალაქში
    ამაზრზენად იელვებს
და ცას შეელეწება
    შტაბი ესესელების.

სამყაროსთან საუბრობს
    ხმელი ხელი რადისტის:
წერტილები და ტირე,
    ტირეები, წერტილი...
ზოგჯერ მთელი სამყარო,
    თითქოს მესმის და ვიცი,
როგორც მორზეს ანბანი —
    მრისხანე და კეთილი.

და გადამყავს მის რიტმში
    ხმები დედამიწისა:
ფეთქვა ჩემი გულისა,
    პავლოს წყნარი ღუღუნი,
სევდიანი ღუღუნი,
    სიტყვას რომ ჰგავს ფიცისას,
და ნამქრიან ბურუსში
    მოტორების გუგუნი.

მესმის, ვიცი, რას ნიშნავს
    სუნთქვა ღრმა და ხანგრძლივი,
ამოხვნეშა სწრაფი და —
    მოკლე, როგორც წერტილი,
როგორც შუქი ნაპერწკლის,
    როგორც ელვის ძახილი.
იქნებ რისკი ჰგონიათ
    იმედგადაწყვეტილი.

იქნებ რისკი ჰგონიათ
    უგუნური... ეგონოთ!
პარაშუტის საკიდარს
    თავს მივაყრდნობ ეული.
ლელვა, ფიქრი და ჯავრი
    მინდა ერთად შევკონო
და შევიცნო: რას ფიქრობს
    გული გადარეული;

როგორ გამოვიარე
    მე წამების გზა გრძელი!
რა მასწავლა ამ სკოლამ,
    რა ვიხილე, რა ვიგრძენი!
ანდა მოხაგონარი —
    დღევანდელი და ძველი —
დამიგროვდა რამდენი
    ამ ექვსი წლის მანძილზე!

* * *

ყურებიან ქუდში და
    ქურქში გამოხვეული,
წევს ვაზნიან ყუთებთან
    ჩემი სუსტი სხეული...

რომ შეგროვდეს ერთბაშად,
    ერთ წერტილში, ერთ ცენტრში,
აზრები და გრძნობები,
    სიზმრები და ფიქრები;
რომ შეგროვდეს ერთბაშად,
    ერთ წერტილში, ერთ ცენტრში,
სულ მთლიანად, ბოლომდის,
    უკანასკნელ სიღრმემდის,

და შეირხეს უეცრად,
    ვით კომპასის ისარი,
მაგნიტური არისკენ
    როცა იგი იჩქარის;
მერე ყველა უჯრედი,
    ნერვი, კუნთი და ძარღვი
ერთ ძახილად გადიქცეს
    და შეერთოს ამ ძახილს, —

მაშინ — მჯერა, ვგრძნობ, ვიცი —
    მიპასუხებს ალტაი,
მიპასუხებს მშობელი,
    ბევრი ტანჯვის ამტანი;
დამეწევა ხმა დედის,
    ჩემი მაძიებელი,
როგორც ჩემი ცხოვრების
    შარადისი მხლებელი.

გულს თითები შევახე —
    ზუსტი, მკვეთრი, მკაფიო,
მიდის ჩემი სიგნალი,
    თითქოს ძველი ნაღველი.
მესმის: ჰორიზონტიდან
    ჩემკენ მოისწრაფვიან,
ჩემკენ მოისწრაფვიან
    ხმები, როგორც ტალღები.

გისმენთ... გისმენთ... მე გისმენთ...
    ჯერ პასუხი არ არის!
მაშ კვლავ დასცხე თავიდან,
    კვლავ მიეცი სიგნალი,
შორ ტაიგას აუწყე
    შენი ფიქრი ალალი:
იქნებ შეგეხმიანოს
    ციმბირიდან გრიგალი.

მწამს, ულრანი ტყეები,
    და ქედები მთებისა
წინ ვერ გადუდგებიან
    ძახილს განშორებისას.

ორი ტირე ერთბაშად,
    წერტილი და კვლავ ტირე.
ორი ტირე და უმალ
    სამი ტირე... ველი მზეს...
ლამის ტვინი გახურდეს
    და ბავშვივით ავტირდე,
არ ვეშვები: ცის თაღზე
    ვაკაკუნებ ზედიზედ.

— დედა! — ორი ტირე და
    მხოლოდ ერთი წერტილი.
— დედა! დედა! დედა! დე...
    გავიზარდე უშენოდ.
არც ჩივილი, არც კვნესა
    ბედით გულდაწყვეტილის.
შენი გოგო მზად არის,
    რომ სამშობლოს უშველოს!

აი, აგერ, ხომ ხედავ, —
    ჩემი პარაშუტია.
დახრახნილი სარკმელიც
    ჩვენი თვითმფრინავისა.
შემდეგ — ციდან ნახტომი,
    შემდეგ — ამავ წუთიდან —
თავდაყირა ტრიალი,
    მოლოდინი ავისა.

იქნებ გელის სიკვდილი?
    ორი ტირე. წერტილი.
დედა! კმარა, გვეყოფა...
    გადაცემას ვამთავრებ.
სადღაც თვალთა სიღრმეში
    მოჩანს გამოკვეთილად.
ვხედავ, ვხედავ გარკვევით,
    დედის წარბებს და თვალებს.

ამ უსაზღვროდ თბილ თვალებს,
    მაგრამ სევდით აღვსილებს,
ამ თოვლისფერ ჭაღარას,
    მზერას ველარ ვაცილებ:
ქალი თავშალწაკრული
    ღიმილს მათოვს სევდის წილ.
სადაც არის თენდება.
    დედაჩემი ხელს მიწვდის.

დაკოჟრებულ ხელისგულს
    აზის ნაჭრილობევი.
— შვილო, მხრებზე დამეყრდენ,
    უკვე დროა, რომ ადგე.
მე გიდგები თავდებად
    მთელი ჩემი ცხოვრებით...
აწრიალდა თბილ სკამზე
    თვით ივანე თომას ძე.

პავლო ფეხზე წამოხტა,
    ამომიდგა მხარში მე.
მოიყვანა წესრიგში
    მსწრაფლ საზურგე ლვედები.
ჰანჰიკები კარებზე
    გაიხსნა და მაშინვე
მომზადება გვებრძანა.
    ერთ ადგილას ვჩერდებით.

ისე უცებ მოვიდა,
    გარდუვალი რაც არის,
აღარ დარჩა ოცნების,
    ზრუნვის, ფაციფუცის დრო.
მარტო შენ ხარ. მარტო შენ.
    ერთადერთი და ცალი...
არა, პავლოც აქ არის.
    უშიშარი. უსიტყვო.

ის წინ მიდის. გაუშვი,
    როგორც ამ გზის გამხსნელი,
მე გავყვები. ივანე
    იყოს უკანასკნელი.
ცოფიანმა ქარებმა
    შემოალეს კარები
და სახეზე მეძგერა,
    ყინვა შეუბრალებლივ.

ახლა უკან დახევა
    არ იქნება, არა და
რა ქვასავით მძიმეა
    ჩემი გუდა-ნაბადი!
ყურადღება! სიმშვიდე!
    შეეჩვიე თანდათან.
ნახე რგოლი სად არის!
    მოსწიე და გამაგრდი!

დაიხარა ჭაბუკი
    ერთი წუთით... ერიჰა!
გადახტომა. ყლრიალი.
    ქანაობა. უფსკრული.
— სწრაფად! — მითხრა ვიღაცამ
    და უმალვე ხელი მკრა.
თუმცა წავდგი ნაბიჯი,
    თვალში ჩადგა უკუნი.

გადახტომა ჰაერში,
    თავდაყირა ტრიალი.
სუსხი ისე მეძგერა,
    ძვლებმა დაიჭახჭახეს.
ისევ ჰკივის შლეგურად
    ქარაშოტი ტიალი.
ხერხემალი მემტვრევა
    და ეს გული ცახცახებს.

ბორგავს მწვანე ქარბუქი,
    ცეცხლოვანი მორევი
სიკვდილისკენ მეწევა,
    მიმაქროლებს, მიმათრევს.
მეხვევიან გარშემო
    მოვარვარე ზოლები
და ჩემივე სხეული
    გზას შუქივით მინათებს.

თითქოს ასი ხელი მაქვს,
    ფეხიც ასად ქცეულა.
უეცარი სისუსტე,
    ვით ჩადგომა ქარიშხლის,
და მყის ორად გაიყო
    მთელი ჩემი სხეული.
ჯერ გუგუნი ხანგრძლივი,
    კვლავ სიჩუმე საშიში.

თავზე მრგვალი ჩრდილია
    გაშლილ პარაშუტისა.
მოძრაობა. ტორტმანი.
    საით მივქრი, რა მხარეს?
მაღლა არის წყვდიადი —
    შავად გათანგული ცა,
წყვდიადია ქვემოთაც.
    მე მათ შუა ვფართხალებ.

ამ თვალებმა ვერ გასჭრან
    თვალბედითი წყვდიადი,
მისი სიცარიელე,
    უძირო და უმზეო.
ერთი, დავიწყებული,
    მარტოდმარტო ვწრიალებ,
კვლავ ამ ორ წყვდიადს შორის ვარ
    მომწყვდეული უმწეოდ.

როდიონ ქორქია

# მარინეს გათხოვება

მოთხრობა

ჩვენს სოფელში ცხოვრობდა ერთი ქვრივი ქალი მაკრინე. სამი შვილი ჰყავდა და უჭირდა ოჯახის გაძღოლა. უფროსი ქალიშვილი, ფატი ასაკში რომ მოიყარა, მეზობლებმა ურჩიეს გაათხოვეო.

— ეჰ, უმზითვო ქალს ვინ წაიყვანს! — ამოიოხრა მაკრინემ.

— მე მოვაწყობ ამ საქმეს, — უთხრა ჩემმა ძიძამ და ერთ თავის შორეულ ნათესავს, ფოთელ მუშა ძუკუს შეუთვალა: შენთვის საცოლო მყავს, ჩამოდიო.

იმ ძუკუს პატარა სახლი ედგა თურმე ნაბადაში და მარტოხელა იყო. ეძებდა საცოლეს. შემოუთვალა: ამა და ამ დღეს ჩამოვალო.

ფატი ამ დროს თავის დეიდასთან იყო სტუმრად, მეზობელ სოფელში. აცნობეს: საჩქაროდ ჩამოდი, გაგათხოვეთო. მაგრამ ფატის დეიდამ შემოთვალა: მე უკვე მყავს სასიძო, აქ ვათხოვებო ფატის. ეს პასუხი სწორედ იმ დღეს მოვიდა, როცა ძუკუს ელოდნენ. გაეხარდა მაკრინეს, ხოლო ჩემი ძიძა უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა. დროც არ იყო რომ შეეტყობინებინათ ძუკუსთვის — ნუ ჩამოხვალო.

ჰოდა, ჩამოვიდა სასიძო. შეხედეს — მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილა: მაღალი, ტანადი, კოხტა ულვაშებიანი. ეცვა შავი ჩოხა-ახალუხი, მკერდზე თეთრი სირმა ჰქონდა გადაკრული. ერტყა ცხრაენიანი ქამარი. ქამარზე მოვერცხლილი ხანჯალი უბრჭყვიალებდა.

შეიკრიბნენ მეზობლები. ახალგაზრდები სასიძოს შემოეხვივნენ. დაიწყეს ნარდის თამაში. მოხუცებმა ბჭობა გამართეს: სირცხვილია ახალგაზრდა კაცის მოტყუება, რა ვქნათო? ბოლოს ასე გადაწყვიტეს: გავუმართოთ დიდი ვახშამი და რომ შეთვრება ვუთხრათ; ფატი ავად გამხდარა, ვერ ჩამოვიდა, როცა კარგად გახდება, გაცნობებთო.

— ცოდვა კია ასეთი ბიჭის ხელიდან გაშვება, — თქვა მაკრინემ, — ნეტავი მეორე ქალი მყავდეს გასათხოვარი.

— მე ვიშოვი მეორე ქალს, — მოისაზრა ჩემმა ძიძამ და საოცარი აზრი გამოსთქვა. — მარინე მივათხოვოთ. ძუკუს ხომ არც ფატი უნახავს და არც მარინე?

— ოჰ, ეს კარგი აზრია! — მოიწონეს მოხუცებმა.

მარინეც ერთი ღარიბი ოჯახის შვილი იყო. ჰყავდა დედა და ძმა. ედგათ ერთი უფანჯრო ბნელი სახლი. კეთილი, ჩუმი ადამიანები იყვნენ. თვითონ მარინე კი... ახლაც თვალწინ მიდგას მარინე.

შავთვალწარბა, შუა ტანისა, მამის სიკვდილის შემდეგ მუდამ თალხი კაბა ეცვა. ჯარობაში არასოდეს უცეკვია, რადგან არავინ იწვევდა საცეკვაოდ. ეკლესიაში ყველაზე უკან იდგა. და ეს იმიტომ ხდებოდა, რომ გულჩახვეული ქალი იყო. არ უყვარდა სხვებსავით სიმღერა-თამაში, ხუმრობა, ღამის თევაზე სიარული.

აზრი მოიწონეს და გადაწყვიტეს მარინეს ოჯახში წასვლა.

აირჩიეს ორი დარბაისელი გლეხი და სოფლის თავკაცს არტემ ხოშტარიას ეახლნენ. არტემი ჭკვიანი, გავლენიანი კაცი იყო. წიგნებს აძლევდა წერა-კითხვის მცოდნეებს და აქეზებდა: იკითხეთო. პირველად გაზეთი მე მის ხელში დავინახე. კარგად მახსოვს, ჩამოიტანა გაზეთი ფოთიდან და გლეხებს წაუკითხა: იმ წელს რუსეთ-იაპონიის ომი იყო — 1904 წელს. აი, ამ კაცთან მივიდა ის ორი არჩეული გლეხი და თხოვეს: მარინესას მიგვყევი, შენ უარს არ გეტყვიანო.

არტემი დათანხმდა, წაყვა. მისმა ჩარევამ გასჭრა. იშოვეს საპატარძლო. მაგრამ სად იშოვონ შესაფერი მორთულობა? საპატარძლოს ეს არ გააჩნდა.

აი, მაშინ იყო, რომ გახსნა სოფელმა გული. ერთმა ქალმა ქუსლებიანი ტუფლები აჩუქა, მეორემ — მხიარული კაბა, მესამემ — სარტყელი, მეოთხემ — სპილოს ძვლის თეთრი სავარცხელი. ასეთი სავარცხლით იმდროინდელი ქალიშვილები თავს იწონებდნენ ეკლესიაში, სტუმრობაში, ჯარობაში; ჩემმა ბიძაშვილმა ფირუზის ბეჭედი წაიძრო და თვითონ ჩამოაცვა ხელზე მარინეს.

ასე მორთეს და მოკაზმეს ქალიშვილი.

ეს ყველაფერი, ეს ორომტრიალი, კარგად მახსოვს. მე მაშინ ათი წლისა ვიყავი.

მოიყვანეს მარინე ჩვენსას. თავკუთხეში სასიძო და ახალგაზრდები დასხდნენ, ხატქვეშ. მეორე მხარეს მარინე და ქალიშვილები მოთავსდნენ, ჭაღარა ქალები სკამ და სკამ ჩამორიგდნენ. იქვე ჭაღარა კაცებიც, და ყველანი უყურებენ სასიძოსა და მარინეს.

სასიძო ყველას მოეწონა. მაგრამ მარინე? უყურებენ და ყველას სიხარული უციალებს თვალებში. ნუთუ ეს ის მარინეა? ბედმა თუ შესცვალა ეს აქამდე უბედო ქალიშვილი.

დიდი ლამპა კარგად ანათებდა და ვხედავთ: ზის მოკრძალებით შავგვრემანი, მხიარული კაბით და კოხტა ზედატანით მორთული მიმზიდველი ქალიშვილი. მიმზიდველია, ოღონდ რცხვენია, თავი დაუხრია.

— ასწიე, ნანე, თავი! — გასძახა ჩემმა ძიძამ.

მარინემ ასწია თავი, ტუჩები აუთრთოლდა. პატარა ყურების ბიბილოებზე საყურეები დაირხა. მოხდენილი კისერი ჰქონია მარინეს და რომ მოიღერა კისერი, რომ ამოისუნთქა ღრმად და მაღალი მკერდი შეუთამაშდა, სასიძომ ულვაშებზე იტაცა ხელი. აიგრიხა ისედაც აგრეხილი ულვაშები. თვალს ვერ აშორებს მარინეს.

მაგრამ ვინ იცის, ეგებ კოჭლია მარინე? ეგებ არ უვარგა გავლა-გამოვლა? ამიტომ ძიძა ეუბნება მარინეს:

— შვილო, მარი, წყალი დამალევინე შენს გახარებას!

წყალი დოქშია. დოქი მე მომატანინეს და ბუხრის პირს ჩამოდგეს. ჭიქა-ფინჯანი ბუხარზე დგას. და როცა გავიგონე, რომ ძიძას წყალი მოსწყურდა, გამოვიდე თავი, ვეცი დოქს. ღმერთო ჩემო, ძიძას წყალი სწყუროდეს და სხვამ მიაწოდოს? მაგრამ...

— შენ არა! შენ არა! შენი საქმე არაა, — მომაძახეს აქეთ-იქიდან.

თურმე წყლის მიწოდება მარინეს საქმე ყოფილა, მარინე რომ დარბაზში გაივლიდა, სასიძო დაინახავდა კოჭლი იყო თუ არა პატარძალი.

ჰოდა, ადგა მარინე. იცოდა, ახლა წყდებოდა მისი ბედი.

რომ ადგა, გასწორდა მხრებში, აიწურა. დინჯად, თავაწეულად გადასჭრა დიდი დარბაზი. ნელა, განგებ ნელა გაიარა. იცოდა, ასე იყო საჭირო. მივიდა ბუხართან, მძიმედ დაიხარა დოქის ასაღებად. ორი მსხვილი ნაწნავი ჩამოუგორდა ბეჭებიდან. გასწორდა წელში. ორი ნაწნავიც გასწორდა წელზე. ნელა ასწია ხელი და ნელა ჩამოიღო ჭიქა-ფინჯანი. ყელმოღერებული დოქიდან რომ ბროლის ჭიქაში კამკამა წყალს ასხამდა, თვითონაც მოიღერა ყელი. ყოველი მოძრაობა, ყოველი მიხვრა-მოხვრა ისე ჰქონდა გამოზომილი, თითქოსდა საგანგებოდ მომზადებულიყო ამისათვის.

და როცა სავსე ჭიქა ძიძისაკენ წაიღო, კოლოს ხორთუმივით მოკლე ჰქონდა ნაბიჯი. იცოდა, იცოდა მარინემ, ეს სავსე ჭიქა, ჩიტის ძილივით ეს ფრთხილი ნაბიჯები, სანთელივით მოქნილი ტანის კოხტად დაჭერა წყვეტდა ახლა მის ბედს.

და გადაწყდა კიდეც...

ასე მოაგვარა კეთილმა ხალხმა კეთილი საქმე.

ცას ჰკიდია ქსოვილის
რაღაც ერთი ნაჭერი —
პარაშუტის ფურცელი,
მასზე გრძელი ზონარი,
იმ ზონარზე, ვით პარკი
აბრეშუმის ჭიისა,
საცოდავად ვფარფატებ,
თითქმის ცრემლთა მთოვარი.

ოღონდ შემრჩეს გონება,
არ დავკარგო წამითაც,
რომ მჯეროდეს, ვსუნთქავდე,
მივაღწიო მიწამდე,
ოღონდ დავდგე ფეხზე და
ყოველივეს ავიტან, —
მალე დამავიწყდება
ეს ჯვარცმა და სიმწარე!

განა ჰაეროვანი
აბრეშუმის ქსოვილი,
ანდა მისი გუმბათი
დამიფარავს ავისგან!
თუმცა ყუმბარასავით
მძიმე არის ყოველი,
რაც კი მომაქვს მიწისკენ,
ლტოლვა, ფიცი და რისხვა;

ძირს, მიწაზე გათხრილი
ორმოების თავზემოთ,
მტკიცედ მიჭერს, მამაგრებს,
ხელისგული დედისა.
გარჯით გადაღარული,
საალერსო, საჩემო,
იგი აქაც მიფარავს
უკუღმართი ბედისგან.

ჩემდა გადასარჩენად
თვით სამშობლომ აღმართა
ხელისგული კეთილი
მილიონთა მაშვრალთა,
უძლეველმა, მზრუნველმა
ხელმა ჩემი ხალხისა,
ამ საშინელ მორევში
გზა მიწისკენ გამიხსნა.
იგი მიცავს ამ წუთშიც,
როცა დაბლა მივდივარ,
როცა საშიშროება
კვლავ უსაზღვროდ დიდია.

ამ ხელისგულს, ამ იმედს,
ძლევამოსილ ამ დაცვას,
ვხედავ ირგვლივ, ყოველგან,
რომ ხიფათი მაშოროს,
ვარ სიცოცხლის ნაწილი,
ვარ ძალა და ვარ მასა.
ფეხზე ვდგები! ვიცოცხლებ!
მიწავ! ხალხო! სამშობლოვ!

თარგმნა ხუტა ბერულავამ.

# მე და ფიქრია

## როლამ ჩაჩანიძე

მოთხრობა

მხატვარი
დ. ერისთავი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

შუაღამე იყო. ტელეფონის ზარმა დარეკა.

— გისმენთ.

— თქვენ ბრძანდებით, მერაბ?

ქალის ხმა იყო. ნაღვლიანი ხმა ყურმილში ცივი ქარის ზუზუნივით ისმოდა.

— მე გახლავართ.

— ლევანი, თქვენი მეგობარი...

— რომელი ლევანი?

— მანელიძე...

— თქვით, რა მოხდა!

დაიწყო გაუთავებელი რაღაც მიეთმოეთი, აბდაუბდა, მიკიბულ-მოკიბული.

მთელი ამ დომხალიდან ის დასკვნა გამოვიტანე, რომ ჩემი მეგობარი ლევანი სადღაც მცხეთასთან ავარიაში მოჰყვა. მცხეთის საავადმყოფოში მიბარებდნენ.

სულ ახალი დაქორწინებული ვიყავ. მე და ჩემს ცოლს ჩუღურეთში ერთი ოთახი გვეჭირა. არც სამზარეულო გვქონდა და არც დერეფანი. შეშა ცოტა იყო და ღუმელს მხოლოდ დილით ვანთებდით.

მეტი რა ჩარა იყო, ფეხები შარვლის ტოტებში გავუყარე.

— რა მოხდა? — მკითხა ცოლმა და ნათურა აანთო.

— არაფერი.

— არა, რაღაც ცუდი ამბავია, სად მიხვალ?

ნათურა ზედ სასთუმალთან გვედგა. მისი შუქი სახეზე სცემდა ფიქრიას. ელექტრონის ოქროსფერი ნაპერწკლები ფიქრიას ჩალისფერ თმებში თამაშობდნენ. ფიქრიას ძალიან ფერმკრთალი სახე ჰქონდა. ცისფერ, დიდრონ თვალებში შიში ჩადგომოდა.

— ხომ გითხარი, არაფერიც არ მომხდარა, სულ მალე მოვალ.

ლოგინში წამოჯდა. ჩალისფერი თმები ბეჭებს უფარავდნენ. თხელი ლამაზი ტუჩები უკანკალებდა.

ცოტა კიდევ და... უეჭველად ატირდებოდა.

ბეჭებზე ხელი მოვხვიე. ვაკოცე.

— იცი რა?

— არაფერი არ ვიცი.

— ლევანი ავარიაში მოყვა, მცხეთაში მივდივარ.

— რას ამბობ, ჩქარა წადი!

კიდევ ვაკოცე.

— არ იდარდო. არ ადგე, მალე მოვალ და ცეცხლს გავაჩაღებ. შეშა დილით გვეყოფა.

— ჰო...

ჩქარა ჩავიცვი. მერე ქურთუკიც ვიპოვე და ტყავის ქუდიც. გარაჟის გასაღები მოვძებნე ჯიბეში და კიბეზე დავეშვი.

სადარბაზოდან გამოვედი თუ არა, სუსხმა ყურის ბიბილოები მომაყინა. ჯიბიდან გასაღები ამოვიღე და გარაჟის კარს მივადექი. ვერა და ვერ მოვარგე არტაშასეულ ბოქლომს ეს ოხერი გასაღები. თითები მომეყინა.

— რა ქენი, ვერ გააღე?

მეორე სართულისაკენ ავიხედე. ფიქრია ღია ფანჯარასთან იდგა. ჩვენი სპილენძის ხუთნათურიანი ჭაღი აენთო, მხრებზე ქურქი ჰქონდა მოხურული და ნათურების შუქში მისი ჩალისფერი თმებიცა და ქურქიც ოქროსფრად ბზინავდა.

— ფანჯარა დახურე, გაცივდები.

— არა, არ გავცივდები.

— რომ გეუბნები, დამიჯერე.

— ცოტა ხანს ვიქნები, აი, უკვე გაიღო.

— ჰო, გავაღე.

მანქანა ნელა გამოვიყვანე და ჩემი ფანჯრის წინ დავაყენე. პირველი სართულის ფანჯრიდან არტაშამ გამოჰყო ჭაგარმოდებული თავი: ვინა ხარო? როცა ვუთხარი: მე ვარ-მეთქი, მაშინვე მიხურა ფანჯარა. მგონი, რაღაც ჩაიბურდღუნა კიდეც.

— ძია არტაშას გაეღვიძა?

— ჰო, ფანჯარა მიხურე, გეყოფა ახლა!

— ნელა იარე, გეხვეწები.

ქუდი მოვიხადე და დავუქნიე. ეზოდან რომ გავედი, მანქანა დავამუხრუჭე.

ფიქრიამ ფანჯარა მიხურა, მაგრამ არ წასულა, ისევ ფანჯარასთან იდგა. იგი ახლა დიდსა და მუქ აჩრდილს ჰგავდა, სადღაც შორს გზის მეორე მხარეს დამდგარ აჩრდილს.

გზას გავუყე.

მაგარი მოყინული იყო. მოსახვევში რამდენჯერმე მომიცურდა მანქანა. მაშინვე ყურებში ფიქრიას ხმა მომესმა. მუხრუჭს დავაწექი.

ძველი, ჯაბახანა მანქანა იყო. ძლივს მოვაბრუნეთ იმქვეყნიდან მე და ძია არტაშამ. არტაშა შოფერი იყო, და თავისი საქმე ესმოდა.

სასწრაფო დახმარებამ ჩამიქროლა წივილით, ისე დაფეთებული მოქროდა, კინაღამ შევასკდი. მანქანა ძლივს დავამუხრუჭე.

„ნეტავ ქალაქში ხომ არ მოჰყავდათ, ის უბედური, ჰა?"

თოვა დაიწყო. მაგრად თოვდა. მსხვილი ფიფქები აბრეშუმის პარაშუტებივით მოფარფატებდნენ ციდან.

ხიდზე ნელა გადავიარე, შელმართს ავყევი.

...ოი, ნაღვლიანი შენობის განათებულ მინებს ფიფქები დამფრთხალ პეპლებივით ასკდებოდნენ.

ზედ შესასვლელთან დავამუხრუჭე. გადმოვედი და სადარბაზოს მივაშურე.

კარი დაკეტილი იყო და სქელ მინაზე გასაღებით მძლავრად დავაკაკუნე.

სადღაც კიბის ქვეშიდან მთლად გათეთრებული მოხუცი გამოფრატუნდა. მინის იქიდან საეჭვოდ ამხედ დამხედა და მერე ხელის მოძრაობით მკითხა — ვინ ოხერი ხარ, რა გინდაო? ხელის მოძრაობითვე ვანიშნე, გააღე-მეთქი. მან კი ისევ წინანდელი გაიმეორა. ახლა ნერვიულად დავაბრახუნე მინაზე.

ოო, მომწყდი ერთიო...

ბოლოს მაინც გააღო.

— ჩემი ძმა მოიყვანეს, ავარიაში მოყვა.

მოხუცის სუსტი ხელები მოვიშორე და კიბისაკენ წავედი.

— ხალათი მაინც ჩაიცვი, მომხსნიან.

თეთრი ქათქათა ხალათი იღლიის ქვეშ ამოვიდე.

— მეორე სართულზე, მეშვიდე პალატა.

კიბეები ავირბინე. მეშვიდე პალატა ვიპოვე და შევვარდი.

ლევანი რკინის ძველ საწოლზე იწვა. სახე სულ ქათქათა ბინტით ჰქონდა დაფარული. სისხლის ლაქებს ვერ გამოეყონა. კარგად რომ დავაკვირდი, თეთრ ხვეულებს შორის ლურჯი თვალების კამკამი შევნიშნე.

— გადარჩა!

ახლა შევამჩნიე. ლევანის ფეხებთან მთლად მობუზული მანანა იჯდა.

— მოკვდა ვინმე?

— არა, მარტო თვითონ დაშავდა, ბოძს დაეჯახა.

ლურჯი თვალები სახვევებში ერთ წუთს გაქრნენ და მერე ისევ აკამკამდნენ. სახვევი აშრიალდა და ლევანის ჩურჩულიც გავიგონე.

— გადავრჩი!

— მანქანა სად არის?

— მილიციაში წაიღეს.

ერთი დარბაისელი კაცი შემოვიდა. ჭაღარა თმა შუაზე ჰქონდა გაყოფილი.

— ბატონებო, მაპატიეთ, ავადმყოფს ახლა მოსვენება უნდა, საშიში არაფერია, გთხოვთ მიბრძანდეთ!

ცისფერ თვალებს ხელის აქნევით დავემშვიდობე და დერეფანში გამოვედი. ძალიან მომინდა მოწევა და თავიც აღარ შემიკავებია, სიგარეტს მოვუკიდე. ლურჯად შეღებილ კედლებს შორის გავიარ-გამოვიარე.

მანანაც გამოვიდა.

— შენ რას იზამ, დარჩები? — ვკითხე.

— არ ვიცი რა ვქნა?

— რა ქენით და შინ მიბრძანდით, კარგად გამოიძინეთ და შემდეგ მობრძანდით, — თქვა იმ დარბაისელმა კაცმა თმა რომ შუაზე ჰქონდა გაყოფილი.

მანანამ გაოცებით შეხედა.

— ჰო, ასეა, აქ რა უნდა გააკეთოთ. იგი ახლა დაიძინებს...

— მაშინ დილით მოვალ.

— არა, დილით არა, სიტყვას გაძლევთ, თქვენი მეუღლე შუადღემდე იძინებს. მერე მობრძანდით.

თავის დაკვრით დაგვემშვიდობა და დერეფანს გაჰყვა.

— წავიდეთ?

— ჰო, აბა რა ვქნათ, — თქვა მანანამ.

თავი გადავაქნიე მხოლოდ და წინ წავედი.

ის ბერიკაცი ისევ კართან იდგა. ხალათი იღლიიდან გამოვათრიე და მოხუცს გავუწოდე. მერე ჯიბეში ფული მოვიქექე. ცოტა ქესატად კი ვიყავი, მაგრამ იმ კაცს რას ვერჩოდი!

— ნუ წუხდებით, ბატონო.

— დილით ხაში მიირთვით.

— დიდი მადლობა.

კარი გამოვაღე. სუსხი მომასკდა. მანანა მთლად მუჭისოდენა გახდა. სანამ კართან ვჩალიჩობდი, სულ მიყვიროდა:

— ჩქარა, გავიყინე...

როგორც იყო, დაჯდა ჩემს გვერდით.

მანქანაშიც არ იყო ბევრად უკეთესი.

— გავითოშე, რა ჯოჯოხეთური ყინვაა. ფეხები ისე მაქვს, რომ ვერაფერს ვგრძნობ. გათბობა არა გაქვს?

— არა.

— რა გეშველება?

ქურთუკი გავიძვრე.

— ფეხებზე დაიხვიე.

— რას ამბობ, გაგიჟდი!

— რომ გეუბნები ასე ჰქენი, გესმის? მე არა მცივა, სრულებითაც არა მცივა.

— ბიჭო, მოკვდები!

ჩვენი თვალები ღამეში ერთმანეთს შეხვდნენ.

მანანამ ქურთუკი ფეხებზე დაიხვია.

* * *

მაშინ დიდი ზამთარი იყო ბაკურიანში. იგი ცოტა მოგვიანებით ამოვიდა, მე კი ველოდი. პატარა ოთახში ვიდექი და ხელებს მაყალზე ვითბობდი.

კარის გაღება არ გამიგია. თვალებზე პატარა, ცივი ხელები რომ გადამეფარა, მაშინ ვიგრძენი მისი სუნთქვა.

— მანანა შენა?

პატარა ხელები დავუკოცნე, მერე შუბლი, ტუჩები.

რა კარგი იყო მაშინ...

მერე წავედით. ძალიან შორს დავიკარგეთ წიწვნარში. ხანდახან ორმოებში ვვარდებოდით და წელამდე ახალ თოვლში ვფართხალებდით.

იგი გულაღმა იწვა თოვლში.

ვკოცნიდი...

— ფეხებზე მცივა.

ქურთუკი გავიძვრე და თვითონ შემოვახვიე.

— გავთბი, შენ არ გცივა?

— არა, გინდა ჯემპრსაც გავიძრობ, მაისურის ამარა ვიქნები.

— სულ მთლად ნუ გაგიჟდები.

რა კარგი იყო მაშინ...

მერე წავიდა დღეები და ლევანი მოვიდა.

მერე მანანა წავიდა.

დავრჩით მე, თოვლი და ცივი ზამთარი.

ეულად დავილრინებოდი მარტოხელა დათვივით.

აღარ იყო კარგი...

* * *

ბეჭზე მანანას თავის შეხება ვიგრძენი. ახლოს მესმოდა ქალის მშვიდი, სუსტი სუნთქვა. თმები გაყინულ ლოყაზე მეხებოდნენ და მწვავდნენ.

მანქანა პაინც არ გავაჩერე, როგორც იყო სურვილი მოვთოკე, გაზს კი მოვუმატე...

ფიქრიას ხმა მომესმა.

გაზს მოვუკელი.

მოსახვევში დავამუხრუჭე. შავმა თმებმა ლოყა დამწვეს. ის იყო ხელი უნდა მომეხვია.

რა მოხდა?

— წინ ხე აგდია. წავიღებ, დავაპობ, მე და ფიქრიას მთელი ორი დღე გვეყოფა.

— რატომ უნდა იწვალო, ორთქლის გათბობა არა გაქვთ?

— არც ორთქლი და არც გაზი. სინათლე კი გვაქვს ღვთის წყალობით. ხანდახან იმასაც გამოგვირთავენ ხოლმე. ყოველ შემთხვევისათვის ლამპა არ გადაგვიგდია.

— ალბათ კარტოფილის სანთელსაც არ ივიწყებთ?

მანანას ხმაში ირონია იყო.

— ჰო, რასაკვირველია, კარტოფილი განა მარტო საჭმელადაა კარგი.

მორი მაგრად დაყინოდა ასფალტს, ძლივს ავაძრე. უკან ჩავაგდე.

დავჯექი თუ არა, მანანამ ისევ მომადო თავი.

— ასე კარგია, დავიძინებ.

— ნეტავ ბალიშიც წამომეღო.

— ნუ დამცინი, ძალიან დავიღალე. შუადღისას გამოვედით ქუთაისიდან. მთელი გზა არ მიძინია.

— საცაა მივალთ და დაიძინებ.

— ჩემთან უნდა მიმიყვანო?

— აბა სად?!

— არა, ჩემთან არა, მარტო ვერა ვძლებ, მეშინია. ფიქრია ხომ შინაა?

— რასაკვირველია.

— ჰოდა, თქვენთან წამოვალ, შენი ჭირიმე. ფიქრიასთან დავწვები.

— როგორც გნებავს.

ჩაეძინა. ძალიან გულიანად ეძინა და ეზოში რომ შემოვედი, გაღვიძება დამენანა. მეტი რა გზა იყო.

— ჰო, სად ვართ?

— ჩავიდით.

მანქანა გარაჟში არ შემიყვანია, იქვე დავტოვე.

ფიქრია ფეხის ხმაზე მცნობდა ყოველთვის, კართან მხვდებოდა. ახლა არ მსურდა, რომ გამეღვიძებია. ძალზე ფრთხილად მივაბიჯებდი საფეხურებზე. უკან მანანა მომყვებოდა.

ფიქრიას მაინც გაეგო ფეხის ხმა და კართან დამხვდა.

— როგორ ჩუმათ მოიპარებით? ლევანი როგორაა?

— გადარჩა, საშიში არაფერია.

ფიქრიამ მანანა გადაკოცნა.

— მთელი ღამე არ მიძინია დარდით. საწყალი ბიჭი.

— ქუთაისიდან მოვდიოდით, ელექტრობოძს დავეჯახეთ.

— ღმერთო!

— იღბალზე ჩქარა არ მოვდიოდით.

— შენ ხომ არაფერი დაგიშავდა?

— არა, ლევანი საჭეს შეასკდა, შუბლი დაჰკრა. რამდენი სისხლი დაკარგა.

— ნუ ყვები, შენი ჭირიმე.

— ცივა თქვენთან, როგორ ცივა!

— ამ წუთში ღუმელს დავანთებ.

ვთქვი და თუჯის ღუმელში შეშა შევყარე.

— ცუდია, ორთქლის გათბობა რომ არა გაქვთ.

— რას იზამთ, ასე აუშენებიათ.

ღუმელში ცეცხლი გაძლიერდა. მანანამ ხელები მიუფიცხა.

— როგორ მეძინება.

ფიქრიამ შემომხედა. მივხვდი რისი თქმაც სურდა.

— აი ლოგინი მზადაა, ჩაწექი.

— თქვენ?

— ჩვენც მოვთავსდებით.

— სად?

— ვიშოვით ადგილს.

— აბა, მერაბ კედლისაკენ შებრუნდი, მანანამ უნდა გაიხადოს.

კედლისაკენ შევბრუნდი.

ნელა შრიალებდა კაბა. ახლა ალბათ ბეჭებს ასცდა. იქ, მარცხენა ბეჭს ქვემოთ მანანას დიდი, შავი ხალი აქვს. ეს მაშინ, ზღვაზე რომ ვიყავით მაშინ შევამჩნიე. ახლა კაბა მთლად გაიძრო. ალბათ პერანგის ამარა დგას. მერე საბნის შრიალი გაისმა.

— ძილინებისა, ხალხნო!

თავი მიდო თუ არა, მაშინვე დაიძინა. გულიანად დაიძინა.

მე და ფიქრია ღუმელთან ვიჯექით.

— გეძინება? — მკითხა.

— არა, შენ?

— არც მე.

— მოდი ჩაიცვი.

— მერე?

— გარეთ დიდებული თოვლია. გავისეირნოთ. მერე სადმე ვიგუნდაოთ.

— დიდებულია. შარვალს ჩავიცმევ.

— ჰო, მასე ჯობია.

სანამ ფიქრია იცვამდა, ეზოში ჩავედი. მანქანა ზედ არტაშას ფანჯარასთან იდგა და ცოტა წინ გავწიე.

ფიქრია ჩამოვიდა და გვერდით მომიჯდა.

— ხომ მიხდება შავი ჯემპრი?

შუქი ავანთე.

— ძალიან.

გადავიხარე და მაგრად ვაკოცე.

მანქანა დავქოქე, ნელა წავიყვანე.

— ქალაქგარეთ გავიდეთ, — ვთქვი მე.

— ჰო, კომკავშირის გორაზე ავიდეთ...

— კარგი.

ნელა გავლიეთ ქალაქი. მერე შეღმართს ავუყევით. მანქანა პარკის შესასვლელს მივაყენე. კარი გავაღე.

— ჩავიდეთ.

— რა კარგი თოვლია!

— მაშ, მართლაც დიდებული თოვლია.

თავში გუნდა მომხვდა. ფიქრია კისკისებდა. მეორეც მომხვდა.

— ვაი, რას ჩადიხარ?

მესამე რომ მომხვდა, ფიქრიას დავედევნე.

ფიქრია უკვალო თოვლში გარბოდა და პატარა ნაფეხურებს ტოვებდა.

დავეწიე და თოვლში ჩავკეცე.

— გავიგუდე, მეყოფა.

ის გულაღმა იწვა. აჩქარებით სუნთქავდა.

ჩალისფერ თმებზე ხელები მოვხვიე და ფიქრიას ცხელ ტუჩებს დავეწაფე. მერე გვერდით მივუწექი. ორივენი გულაღმა ვიწექით და ცას გავყურებდით. ღრუბლები გუნდგუნდად იხვეოდნენ და ფიქრიამ თქვა: დამარცხებული არმიებივით გარბიანო.

ასე ვიწექით დიდხანს, ვტკბებოდით ბუნების ჩუმი, შეუცნობი იდუმალებით.

მერე ღრუბლებს შორის მზის სხივები ვამოჭიატდა.

ნაზი, ზამთრის ულონო მზის სხივები.

ფიქრიამ თოვლი დამიფერთხა და მითხრა:

— ქვეყნად ჩვენ ვართ, მე, შენ, მზე და თოვლი.

ფიქრია კისკისებდა და მის ჩალისფერ თმებში ოქროსფერი სხივები ცელქობდნენ.

— წავიდეთ? — ვკითხე მე.

— არა, აქ კარგია. დიდხანს ვიყოთ. დიდხანს ვიყოთ ამ სუფთა ჰაერზე. ამ სილამაზეში ძალიან დიდხანს... სანამ არ მოგვბეზრდება.

ფიქრიამ ხელები კისერზე შემომაჭდო. მე წელზე მოვხვიე და ჰაერში ავწიე.

მსუბუქი მეჩვენა. ძალიან მსურდა მასთან ერთად მეფრინა, მეფრინა იმ დაგრაგნილ ღრუბლებში, ფიქრიამ დამარცხებულ არმიებს რომ შეადარა. მზის ფერმკრთალი, დიდი დისკო თავს გვადგა, ოქროსფერი სხივებით გვათბობდა.





# მხოლოდ გული ხედავს კარგად

ის იყო უნდა შევსულიყავ „ზარია ვოსტოკას“ შენობაში, როცა პროსპექტზე ნაცნობ სახეს მოვკარ თვალი. ახოვანი ვაჟკაცი უამრავ ხალხში ერთი თავით მაღალი მოჩანდა. ძველებურად შეკერილი აბრეშუმის კიტელი ეცვა. შავი სათვალე ეკეთა. ხანდაზმულობის მიუხედავად, წელში გამართული, დარბაისლურად მოაბიჯებდა. ოღონდ მის სიარულში მაინც იგრძნობოდა დაძაბული სიფრთხილე, რომ უდროოდ დაქვეითებულ მხედველობას არ ეღალატნა.

დიდი ხანი იყო აღარ მენახა ვანო ბაბალაშვილი — რევოლუციური ბრძოლების ვეტერანი, სიღნაღის მაზრაში ბოლშევიკური ორგანიზაციის ერთ-ერთი დამაარსებელი. ისე კი დროდადრო მესმოდა მისი ამბავი, ვიცოდი, რომ მხედველობის დასუსტებას უჩიოდა, ერთხანს ვეძებდი კიდეც, მაგრამ ვერ მივაგენი. გამიხარდა, რომ ჩვენი რესპუბლიკის დიდ საიუბილეო დღეებში ასე შემთხვევით გადავეყარე.

ფეხი შევაჩერე და დავუცადე. როცა მომიახლოვდა, ღიმილით გზა გადავუჭერი — იქნებ ეცნო თავისი თანასოფლელი. ერთი შეყოყმანდა და გვერდის ავლა დააპირა. მაშინ კი ხელი წავატანე და გამოვეცნაურე.

ძალიან გაუხარდა. უწინდებურად მხრები დამიჭირა, ღონივრად შემაქანა და მისაყვედურა:

— ბიჭო, ასე უნდა უფროსის დავიწყება?! მე რას მიყურებ, ნახევარ კაცს. კარგად მახსოვხარ პატარაობიდან. მაგრამ აი, გიცქერი და ბუნდოვან ლანდს ვხედავ. ისევ ხმა, თორემ...

მე ნუგეშისცემა დავუწყე. გავიხსენე ეგზიუპერის სიტყვები, რომ „მხოლოდ გული ხედავს კარგად, თვალისათვის კი მთავარი ხშირად დაფარულია ხოლმე“.

— ეჰ, ნუგეში კარგია, მაგრამ საქმეს რას უშველის... მაინც მინდოდა შენი ნახვა, მოდი, შინ გამომიარე, — და თავისი მისამართი მომცა.

ამის შემდეგ დავშორდით ერთიმეორეს. მეორე დღეს დრო ვიხელთე და ავუყევი ჩუღურეთს, შოთა გამცემლიძის სახელობის ქუჩის შესახვევს.

მივდიოდი აღმართ-აღმართ თბილისის ამ უძველეს უბანში და ვიგონებდი ჩემს ბავშვობას და სიღნაღს. ვფიქრობდი — ვანო ტრადიციის კაცია და აკაც ჩვეულ გარემოში ცხოვრობს. კარგად ვერ ხედავს, მაგრამ ალბათ გულით გრძნობს...

არსენალის მთის ფერდობიდან მტკვრისაკენ ჩამავალ ოღროჩოღრო ქუჩაზე თურმე ორი „27“ ნომერი ყოფილა. კითხვა-კითხვით მივაგენი ვანოს ბინას. შესასვლელი და ეზოც ჩვენებური გამოდგა: გარეთ ღორღი და ნაღვარევი, შიგნით — ხეხილი, ყვავილი, სარეცხი, აივნებზე — საოჯახო ნივთები, მოაჯირზე დაყრდნობილი მეზობლების ხმამაღალი ბჭობა.

ვანოს ტელეფონი არ ჰქონია და გაუფრთხილებლად მივადექი. მიწისპირა აივანზე იჯდა და ჩაფიქრებული უსმენდა საღამოს ქუჩის ყრიამულს. იქვე იდგა მერი, ვანოს ქალიშვილი. მასპინძლები უმალ შინ შემიძღვნენ და დაიწყო მთისა და ბარის ამბების ურთიერთ გამოკითხვა.

დიდხანს ვერ აეწყო ჩვენი საუბარი. მე მისი საბრძოლო თავგადასავალი მაინტერესებდა, ის კი ამ პაპანაქება სიცხეში თავის პატარა ვენახში მოკრეფილ მარწყვს მაძალებდა და ნაცნობ-მეგობრების ამბავს მეკითხებოდა. ბოლოს სიტყვა მოსე ვარამაშვილზე ჩამოვუგდე. ამ დაუვიწყარი ადამიანის სახელი რომ ვახსენე, ვანო ერთხანს ჩაფიქრდა, მერე მითხრა:

— ჩემო გრიგოლ, მართალია, ვერ ვკითხულობ, მაგრამ სხვებისგან მესმის, რომ კახეთის რევოლუციურ წარსულზე, საბჭოთა ხელისუფლებისათვის ჩვენს ბრძოლაზე ცოტა იწერება... ძველი კომუნისტები მისაყვედურებენ, რატომ არაფერს ამბობო? მაგრამ თავიდან არ ვყოფილვარ არამკითხე და ახლა მით უფრო არ შემფერის...

— სიმართლის თქმა, ბატონო ვანო, საძრახისი როდია. აღარც ამდენი მოკრძალება და მორიდება ვარგა, — შევაწყვეტინე სიტყვა და გავუმეორე, — აი თუნდაც მოსედან დავიწყოთ.

— რა თქმა უნდა, მუდამ ასეც უნდა იყოს, როცა ლაპარაკია სიღნაღის მაზრის რევოლუციურ წარსულსა და იქაურ კომუნისტებზე. მოსე ვარამაშვილი ჩვენი ნაცადი წინამძღოლი იყო ორგანიზაციის ჩასახვის დღიდან. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ხომ მან ბევრი რამ გააკეთა არა მარტო მაზრისა და მთლიანად კახეთის, არამედ რესპუბლიკისათვისაც.

ძველი ბოლშევიკი, 1907 წლიდან პარტიის წევრი მოსე ვარამაშვილი ბავშვობიდანვე იცნობდა გულმართალ და უტეხი ხასიათის ყმაწვილს — მჭედელ ლევანას ბიჭს ვანოს. სწამდა მისი ერთგულება სახალხო საქმისადმი და პატარ-პატარა დავალებებს აძლევდა.

მამით ადრე დაობლებულმა ვანომ ხელმოკლეობის გამო თავის დროზე სწავლა-განათლება ვერ მიიღო, მაგრამ როცა 1916 წელს ჯარში გაიწვიეს, უკვე იცოდა ვინ და რისთვის აწარმოებდა ომს. მალე იგი არზრუმში მოხვდა, თურქეთის ფრონტზე. თებერვლის რევოლუციის შემდეგ ვანო ხელახლა წაიყვანეს ჯარში. გროზნოს მახლობლად, ჯარისკაცთა მიტინგზე მან მოისმინა სიტყვა ბოლშევიკი ოფიცრისა, რომელიც გაწამებულ ჯარისკაცებს განუმარტავდა, თუ რა მიზნით აგრძელებდა დროებითი მთავრობა ომს; ამის შემდეგ ვანომ დამით პროკლამაციები გაავრცელა ყაზარმაში, თანასოფლელები შეაგულიანა და მათთან ერთად სამშობლოსკენ გამოსწია.

ახლა ის თვითონ ეწვია სიღნაღში მოსე ვარამაშვილს, მისი დავალებით, 1918 წლის 3 აპრილს სოფ. ანაგაში მაზრის ბოლშევიკების პირველი არალეგალური დამფუძნებელი კრება მოიწვიეს.

1919 წელს, შეიარაღებული აჯანყებისათვის მზადების პერიოდში, ვანომ სოფ. კოლაგის პარტუჯრედთან შექმნა მრავალრიცხოვანი პარტიზანული რაზმი, რომელიც პირველი უნდა შეჭრილიყო სიღნაღში და ხელში ჩაეგდო იარაღის საწყობი. აჯანყების გადადებისა და ლაგოდეხში ადგილობრივი გამოსვლების სისხლში ჩახშობის შემდეგ ვანო ფარულად თბილისში მიემგზავრება, ბორის ძნელაძის ძმას ვარლამს უკავშირდება და მისგან იღებს შემდგომი მოქმედების მითითებებს.

მალე მოსე თბილისში იქნა გაწვეული. მაზრის არალეგალურ კომიტეტს ვანო უდგება სათავეში. 1920 წლის აპრილში, აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების გამო, მენშევიკურმა მთავრობამ ახალი მობილიზაცია გამოაცხადა. ერთ დღეს ვანოს აცნობეს, რომ უბნის კომისარს გურჯაანიდან ახალწვეულები მიჰყავდა სიღნაღში. ანაგაზე გავლისას მან მგზნებარე სიტყვით მიმართა მომავალ ჯარისკაცებს, რის შედეგადაც ისინი დაიმალნენ და შინ დაბრუნდნენ. სამაზრო ერობის თავმჯდომარის მათე ახმეტელაშვილის ბრძანებით ვანო დააპატიმრეს. მაგრამ 7 მაისს მენშევიკების მთავრობამ სამშვიდობო ხელშეკრულება დადო საბჭოთა რუსეთთან და კომუნისტური პარტიის ლეგალიზაციასთან დაკავშირებით, სხვა ბოლშევიკებთან ერთად, ბაბალაშვილიც გაანთავისუფლეს.

ამის შემდეგ ვანოს თუქურმიშაში (ახლანდელი წითელწყარო) ვხედავთ. იქ დაუკავშირდა ადგილობრივ ბოლშევიკებს და გააჩაღა მუშაობა ჯარისკაცებს შორის. მიჩენილმა ჯაშუშებმა მას კრებაზე მიუსწრეს. ბოლშევიკი-აგიტატორი დააპატიმრეს, მაგრამ სასჯელის მოლოდინში, ამხანაგების დახმარებით, ვანო გაიქცა.

ისევ ღრმა იატაკქვეშეთი. ანაგაში გიო ხელაშვილის საბძელსა და მალხაზ დავითაშვილის ხოდაბუნებში თავის შეფარება. მოჩვენებითი ლეგალიზაცია დამთავრდა, რეპრესიები და ტერორი მძვინვარებს. მაგრამ თბილისში, მოსე ვარამაშვილის კონსპირატიულ ბინაზე შეხვედრები გრძელდება. მალე მოსეც დააპატიმრეს. შემდეგ მისდგნენ მაზრის პარტიულ აქტივს. მიუხედავად ამისა, გამოცდილი სიღნაღელი კონსპირატორები მოხერხებულად მოქმედებენ — მოსეს ქუთაისის ციხეშიც უკავშირდებიან, ახალ ძალებს იკრებენ და რაზმავენ მასებს გადამწყვეტი იერიშისათვის.

1921 წლის თებერვლის დამდეგს სამაზრო კომიტეტი, დიდი მსხვერპლის მიუხედავად, მაინც ახერხებს აზერბაიჯანში მე-11 არმიის ნაწილებთან დაკავშირებას, ხოლო 19 თებერვალს ცალკეული პარტიზანული ჯგუფები უკვე მხარში უდგანან წითელ მებრძოლებს მაწიმთან ბრძოლის დროს.

სიღნაღი პირველი სამაზრო ცენტრი იყო, სადაც ფეხი შედგეს აჯანყებულ მშრომელთა დასახმარებლად წამოსულმა წითელი არმიის მებრძოლებმა. სულ მალე შეიქმნა სამაზრო რევკომი. ვანო ბაბალაშვილი, თავის თანამებრძოლებთან ერთად, ახალი ქვეყნის მშენებელთა პირველ რიგებში ჩადგა. საბჭოთა წყობილება რომ მოღონიერდა, დადგა ვანოს სწავლის დროც. ერთხანს განათლების ფრონტზეც მოღვაწეობდა, იყო სამაზრო ალმასკომის თავმჯდომარე, საოლქო ალმასკომის თავმჯდომარის მოადგილე, პარტიული ყრილობების მონაწილე, ხელისუფლების უმაღლესი ორგანოების წევრი და სხვა.

სადაც არ უნდა გაეგზავნა პარტიას, ვანო ყველგან ერთგულად და თავგანწირვით იბრძოდა ხალხის კეთილდღეობისათვის. ორმოციანი წლების დასაწყისში მან უმაღლესი განათლებაც მიიღო და წლების მანძილზე ნაყოფიერ პარტიულ და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა თბილისში.

მაგრამ მძიმე წარსულსა და ხანგრძლივ იატაკქვეშეთს უკვალოდ არ ჩაუვლია. ვანოს თვალის სინათლე დააკლდა, მაგრამ გული ხალისით სავსე აქვს. სამოცი წლის დაუღალავი ბრძოლისა და შრომის შემდეგ ღვაწლმოსილი ვეტერანი მაინც მწყობრშია. ვანოს მუდამ პირველს ნახავთ პარტიულ კრებაზე. აქტიურ მონაწილეობას იღებს საკითხების განხილვაში. მას ეკითხებიან, რჩევას სთხოვენ. მერის და მეგობრების დახმარებით იცნობს, ჩინებულად ერკვევა და საკუთარ აზრს გამოთქვამს თანამედროვეობის ყველა საკითხზე.

უკვე შუაღამე იყო, როცა გამოვემშვიდობე კაცურ კაცს.

**გრიგოლ იარალოვი**

# მოგონებანი

გიორგი ქუჩიშვილი მუდამ ღრმა შთაგონებით ალხავსე, მაღალი გრძნობის პოეტი და მგზნებარე პატრიოტი იყო. ამიტომაც იგი უდიდესი პატივისცემითა და სიყვარულით სარგებლობდა როგორც მკითხველთა, ისე მწერალთა შორის. „თვალში რომ ჩამვარდნოდა, ხელს არ მოვისვამდი“, — წერდა მასზე იოსებ გრიშაშვილი, რომელმაც თავისი გულითადი მეგობრის პორტრეტი თვალსაჩინოდ წარმოგვიდგინა მოგონებაში „მე და ქუჩიშვილი“.

1955 წლის ზაფხულში გერონტი ქიქოძე კიკეთში ისვენებდა. მწერალთა აგარაკის ეზოში მშვენიერი ტყე იყო და იქ ხშირად ვიყრიდით თავს. ჩვენ ყველანი მოხიბლული ვიყავით გერონტის დიდი ერუდიციით და დამაჯერებელი საუბრით. პირადად მე ძალიან მაინტერესებდა მისი აზრი ჩვენს თანამედროვე მწერლებზე. ერთხელ საუბარი ჩამოვარდა გიორგი ქუჩიშვილის პოეზიაზე.

— გიორგი ქუჩიშვილმა, — თქვა გერონტიმ, — დიდად გაამდიდრა ქართული პოეზიის სამყარო შრომისა და ბრძოლის მოტივებით. მაგრამ იგი ჭეშმარიტი ლირიკოსიც არის. მისი პოეზიის ეს მეტად მნიშვნელოვანი და ფრიად საინტერესო მხარე კრიტიკის მიერ ჯერჯერობით სათანადოდ შესწავლილი და დაფასებული არ არის, ეს კი სამწუხაროა. გიორგი ქუჩიშვილი არაჩვეულებრივი ძალით გრძნობს ხალხურ პოეზიას, აქედან გამომდინარეობს მისი ლექსის დიდი მხატვრული უშუალობა. მას აქვს ფილოსოფიური ლექსებიც. როდესაც ვკითხულობ მის ანდერძსა და ეპიტაფიებს, მახსენდება ფრანგი პოეტი ფრანსუა ვიონი. ეს პარალელი ვინმეს შეიძლება უცნაურიც ეჩვენოს, მაგრამ საქმე ის არის, რომ ქუჩიშვილის ცხოვრების ადრინდელი წლები ძალიან გავს ამ მრავალტანჯული პოეტის თავგადასავალს.

გერონტი ქიქოძემ თქვა ისიც, რომ გ. ქუჩიშვილის ლირიკულ პოეზიაზე აუცილებლად დავწერ წერილსო. 1956 წელს მან ეს დაპირება შეასრულა კიდეც, გამოაქვეყნა წერილი, რომელიც ქუჩიშვილის მთელი ლირიკული სამყაროს შემეცნების გასაღებს წარმოადგენს.

გიორგი ქუჩიშვილის პოეზია მაღალი ჰუმანური იდეებისა და წრფელი ადამიანური გრძნობების გამოხატულებაა. მას თამამად შეიძლება ვუწოდოთ სახალხო პოეტი, რადგან მისი ლექსი მუდამ ხალხის გულის ამოძახილი იყო. ამ ლექსებს დღესაც მღელვარებით ვკითხულობთ. ერთი სიტყვით, გ. ქუჩიშვილის ლექსი „გა[illegible]ბაა ჭეშმარიტებისა და ცხოვრებისა“. სწორედ აქაა პოეზიის სიდიადე და ხალხურობა.

ქუჩიშვილს მუდამ კარგად ესმოდა, თუ რაოდენ რთული და საპატიო პოეტის პროფესია. ის ნამდვილი პოეტი-ტრიბუნი იყო და მთელი არსებით გრძნობდა, რომ უიდეო და უშინაარსო ხელოვნება ფუჭი და არაფრის მაქნისია. პოეტი ამას ხაზგასმით აღნიშნავდა: „ურგია ლექსი უაზრო, დუნე, უსისხლო, უფხო, უხერხემლო, თუ ვერ გაუძლოს მძაფრ საუკუნეს, თუ ფოლადივით ვერ იზრიალოს, — სჯობს ნაგვის ყუთში გადაისროლო, ან სათამაშოდ ბალღს მისცე მხოლოდ!“ გ. ქუჩიშვილს ღრმად ჰქონდა შეგნებული თავისი მწერლური მოვალეობა. უდიდესი პოეტური აღმაფრენით ჰქმნიდა ნაწარმოებებს თანამედროვე ცხოვრებასა და სინამდვილეზე, ჩვენი დღეების მშვენიერებაზე, მეგობრობაზე, სიყვარულზე, სიცოცხლეზე, ბუნებაზე. ერთი სიტყვით, ეს ნაწარმოებები სავსებით უპასუხებენ თანამედროვე ადამიანის მოთხოვნებსა და იდეალებს.

გიორგი ქუჩიშვილს პირველად სამამულო ომის წლებში შევხვდი. 1941 წელს ავჭალის შუშის ქარხნის კლუბში საქართველოს მწერალთა კავშირისა და ზემო ავჭალის საშუალო სკოლის თაოსნობით მოეწყო დიდი ლიტერატურული საღამო. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა ბესარიონ ჟღენტი. მისი სიტყვა გამსჭვალული იყო მტერზე გამარჯვების ღრმა რწმენით. ამავე რწმენით იყო აღბეჭდილი ერემია ქარელიშვილის სიტყვა და ქართველი პოეტების მიერ წაკითხული ლექსები. გიორგი ქუჩიშვილმა წაიკითხა ორი ლექსი, კითხულობდა მისთვის ჩვეული ტემპერამენტით და მგზნებარებით. მისი შინაგანი წვა, პატრიოტული აღტყინება ჩვენ, მსმენელებს, სულსა და გულში უქრობ ცეცხლად გვედებოდა.

მეორე ასეთივე შინაარსის ლიტერატურული საღამო გაიმართა დიღომში, 1941 წლის 10 დეკემბერს. ამ საღამოში მონაწილეობა მიიღეს ალექსანდრე აბაშელმა, გიორგი ქუჩიშვილმა, სოლომონ თავაძემ, ალექსანდრე ქუთათელმა, კონსტანტინე ჭიჭინაძემ, სიმონ ჩიქოვანმა, ვიქტორ გაბესკირიამ, სიმონ წვერავამ, ალეკო შენგელიამ და ანდრო თევზაძემ.

მთელი საღამოს განმავლობაში სულ იმას ვცდილობდი გიორგის ახლოს ვყოფილიყავი. ეს შენიშნა პოეტმა და მკითხა: პოეზია ძალიან გიყვართ? რა თქმა უნდა, — ვუპასუხე და მისი რამდენიმე ლექსი ზეპირად წარმოვთქვი, რაც ძალზე ესიამოვნა. — იცით, — მითხრა მან, — ლექსი ადამიანის ზნეობას აკეთილშობილებს, იგი გვჭირდება ბრძოლაში, შრომაში, ლხინში, ჭირშიც კი. მაგრამ თუ ლექსი დაწერილი არ არის განცდით და რწმენით, მაშინ მისი ზეგავლენის ძალა სრულიად უმნიშვნელოა.

1942 წლის შემოდგომაზე საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს ევაკოსამმართველოს თბილისის განყოფილების უფროსი გრიგოლ ხურცილავა (ამჟამად მუშაობს გამომცემლობა „განათლების“ მთავარ რედაქტორად) და მე, როგორც ამ სამმართველოს რწმუნებული, თბილისის სადგურზე ევაკუირებულთა მორიგ ეშელონს ვუცდიდით. ბაქანზე შევნიშნე მწერალთა ერთი ჯგუფი, მათ შორის გ. ქუჩიშვილი; ისინი ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტზე მიდიოდნენ. მაშინვე მათთან მივედი და გიორგის გამოვესაუბრე. მის გამოხედვაში, თვალებში ნათლად გამოსჭვიოდა იმედი, ვაჟკაცური სული, შემართება, მტრის დამარცხების ღრმა რწმენა. როგორც ცნობილია, ქართველ მწერალთა ბრიგადამ დიდი სამსახური გაუწია ფრონტს. გ. ქუჩიშვილის პოეტური სიტყვაც ამ მძიმე დღეებში ომახიანად ჭექდა და საბჭოთა არმიის ჯარისკაცებს გმირული სულისკვეთებით აღანთებდა.

გიორგი უაღრესად პრინციპული და ფაქიზი სულის ადამიანი იყო. მას საოცრად ეჯავრებოდა კაცი, რომელიც ერთს ფიქრობს და მეორეს ლაპარაკობს, ვინც თავის ნამდვილ სახეს მალავს, ერიდებოდა რწმენადაკარგულ ადამიანებს, ნიჰილისტებსა და ცინიკოსებს.

გიორგი ქუჩიშვილი ბუნებამ დიდი სიკეთით დააჯილდოვა და ის მუდამ მზად იყო ყველასათვის ძმური ხელი გაეწოდებინა.

* * *

აკაკი ბელიაშვილმა ბევრი საჭირო და სასარგებლო ნაწარმოები შექმნა თანამედროვე და ისტორიულ თემებზე. მკითხველი კარგად იცნობს მის წიგნებს და სათანადოდ აფასებს კიდეც მწერლის ამაგსა და ღვაწლს ქართული კულტურის წინაშე.

ამას წინათ ერთ ფაბრიკაში ლიტერატურული საღამო მოეწყო. იქ ნათლად დავრწმუნდი, აკაკი ბელიაშვილის ისტორიულ რომანებს მკითხველი კვლავ გატაცებით ეწაფება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ მწერლის მეტყველება ძალზე ლაღი, თავისუფალი და ბუნებრივია.

აკაკი ბელიაშვილი გატაცებით წერდა თანამედროვეობაზე, ჩვენს ადამიანებზე, განსაკუთრებით აღელვებდა მას ქართველ მეფოლადეთა ცხოვრება. რუსთავი, — ამბობდა იგი, — დიდი ისტორიული მოვლენაა, ქართველ მეფოლადეთა მამაცური შრომის მხატვრული ასახვა კი ჩვენი უწმინდესი მოვალეობააო.

ამ დიდი თემის მხატვრულ ასახვას აკაკი ბელიაშვილმა ყველაზე დიდი ამაგი დასდო — დაწერა მშვენიერი რომანი „ვეფხია ხალიბაური“, რომელიც ჩვენმა კინოსტუდიამ შემდეგ ეკრანზე გადაიტანა. ეს რომანი მეც ძლიერ მომეწონა და „ლიტერატურულ გაზეთში“ წერილიც გამოვაქვეყნე. მეორე დღეს აკაკი მწერალთა კავშირის დერეფანში შემხვდა და გამაჩერა.

— შენი წერილი წავიკითხე, რა თქმა უნდა, მესიამოვნა. პერსონაჟების ბუნება სწორად გაქვთ გაგებული. მაგრამ არჩილზე რატომ არაფერს ამბობთ? ის ხომ ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირია?

მე ვუთხარი, რომ ამ პერსონაჟს, ცოტა არ იყოს, რეზონიორობის ელფერი გადაჰკრავს-მეთქი.

— მერე, რატომ მომერიდე, რატომ არ აღნიშნე ეგ ამბავი! ვისაც პირდაპირი, თუნდაც მკაცრი კრიტიკა აშფოთებს, იცოდე იმას თავისი თავის იმედი არა აქვს.

მართალი გითხრათ, გამიკვირდა და გამიხარდა კიდეც აკაკის ეს სიტყვები. რა დასამალია და, ჩვენში ასეთ რამეს იშვიათად გაიგონებ — ბევრს არ უყვარს კრიტიკა და ყოველ, თუნდაც უბრალო შენიშვნას ღვთის რისხვად და შეჩვენებად მიიჩნევენ ხოლმე.

აკაკი იმ დღეს დიდხანს მესაუბრა ჩვენს კრიტიკაზე, ბოლოს თქვა:

— კრიტიკას დიდი როლი ეკისრება. იგი გვეხმარება, ორიენტაციას იძლევა. ერთი ფრანგი მწერალი ამბობს: ცხოვრების რიტმს, პოეტურ სულსა და შთაგონებას მოკლებული კრიტიკა განწირულიაო. კრიტიკული წერილი ისე უნდა იკითხებოდეს, როგორც ლექსი, მოთხრობა, რომანი. მხოლოდ ამგვარი კრიტიკა მოიხვეჭს ავტორიტეტს და დაიმსახურებს ნდობას.

აკაკი ბელიაშვილი დაუცხრომელი კაცი იყო და თავის ყოველ ნაწარმოებში თავის სულს აქსოვდა. ერთხელ გაზეთში მისი წერილი წავიკითხე ქვასროლიებზე, იმ პატარა ბიჭებზე, რომლებიც გართობის მიზნით მატარებლებს ხვდებიან და ქვებს უშენენ. გამიკვირდა, ვიცოდი, რომ ახალ რომანზე მუშაობდა და ამ საქმისათვის როგორ მოიცალა-მეთქი. ამის შესახებ, პირველივე შეხვედრისთანავე ვუთხარი:

„ჯერ ერთი, — მითხრა მან, — მწერლისათვის არ არსებობს დიდი და პატარა თემა. მეორე, ქვასროლიებს დიდი ზიანი მოაქვთ. ეს პატარა ბიჭები თავს იქცევენ, ადამიანის სიცოცხლეს კი ხიფათში აგდებენ. აი რატომ მივაქციე ყურადღება ამ ამბავს“.

აკაკი ბელიაშვილი ფართო დიაპაზონის მწერალი და საზოგადო მოღვაწე იყო. მისი შემოქმედება მიმართულია თანამედროვეობისა და მომავალი თაობის საკეთილდღეოდ.

ვლადიმერ ჯიბუტი



ეროვნული ბიბლიოთეკა

რა ხდება ქვეყანაზე.

ფოტო ს. ედიშერაშვილისა.





ეროვნული ბიბლიოთეკა

# ნელი ოქროპირიძე

ამ ორიოდე წლის წინ რუსთაველის პროსპექტზე, სამხატვრო სალონში ნელი ოქროპირიძის სურათების გამოფენა-გაყიდვა მოეწყო. ძალიან დამწყდა გული, რომ იმ უამრავ სურათებიდან ვერც ერთის ყიდვა ვერ მოვასწარი და შემშურდა მათი, ვინც ხიხარულით გააქანა შინისაკენ ის ძვირფასი ნაკეთობანი.

მაინც, რა იყო: გამოჭრილი, მიკერებულ-მოკერებული, მუყაოზე დაკრული ფერადი ქაღალდები, ბუმბული და სხვადასხვა ნაჭრის ნაკუწები.

მაგრამ შეხედავდი და სული ისე აგევსებოდა სილაღით, თითქოს... თითქოს კი არა, ნამდვილად დიდებული სანახაობა იყო.

მე არ მინდა სიტყვა აპლიკაცია ვიხმარო ამჯერად. აპლიკაცია კი არა, ნელი ოქროპირიძეს ქაღალდის თვითეულ ნაკუწისათვის, მტრედისა თუ ქათმის ბუმბულისათვის, ბურბუშელისათვის სული ჩაუდგამს, დიდი ხელოვნების ნაწარმოებად უქცევია.

რაოდენ მახვილი თვალი უნდა ჰქონდეს მხატვარს, რომ სხვათა თვალისათვის ბევრჯერ შეუმჩნეველი საგანი გამოიყენოს ისე შთამაგონებლად, რომ გაკვირვება და აღტაცება გამოიწვიოს!

ეს მხატვრის დიდი გემოვნების, მისი გონების, ნიჭის გამარჯვებაა.

ვუსურვოთ ნელის ახალი შემოქმედებითი წარმატებანი. ალბათ მალე კვლავ უამრავ ნაწარმოებს გამოჰფენს და სიხარულით აგვავსებს.

თენგიზ გოგოლაძე












ეროვნული ბიბლიოთეკა

ფოტორეპროდუქციები
შ. ჩხეტიანისა.













წვიმიანი დღე თბილისში.

ფოტო თ. არჩვაძისა.



# საქებარ მარგია

დილაადრიანად გავემგზავრეთ ტეხურის საბჭოთა მეურნეობაში. დაღლილი ვიყავ და ჩამძინებოდა. არ ვიცი რამდენ ხანს ვიმგზავრეთ. შოფერმა გამომაღვიძა.

— მეურნეობის ტერიტორიაზე შევდივართ, — მითხრა იურიმ, — მაგრამ კანტორამდე კიდევ კარგი ძალი გზაა.

ვეება, ცათაბჯენილი ევკალიპტების ხეივნით მივდივართ, სწორ, მოასფალტებულ გზატკეცილზე; ირგვლივ ხეების და ყვავილების საამო სურნელი დგას, სადღაც შაშვი გალობს. იურის ვთხოვე ნელა წაეყვანა მანქანა. მან ირონიულად გააქნია თავი, ჩაიღიმა და სვლა შეანელა. მისი ღიმილი თითქოს მეტყველებდა: „საკვირველი ხალხია ეს ჟურნალისტები, აბა რა დაინახა აქ ისეთი! ევკალიპტები, ბამბუკი, ჩაი, ციტრუსები... განა მთელი კოლხეთი ასეთი არ არის“. შოფერი ასე ოცდაერთი-ოცდაორი წლის იქნება, და, რა თქმა უნდა, უჭირს იმის წარმოდგენა, რომ ოდესღაც ეს ადგილები გაუვალი ჭაობითა და ტყით იყო დაფარული. აქ იმალებოდა მამაცი მაცი ხვიტია და ათავისუფლებდა სამეგრელოს თავად-აზნაურებისგან თურქ ვაჭრებზე გაყიდულ ყმებს. ის ჭაობები მაშინ მათი მხსნელი იყო.

იურიმ სიმღერა წამოიწყო; ალბათ არ არის ნელ სვლას ჩვეული, ამიტომ დაიწყო სიმღერა. ეს რუსი ყმაწვილი აქ დაიბადა და გაიზარდა, ამიტომ ყველას იცნობს ზუგდიდიდან დაწყებული, ცხაკაიათი და ფოთით დამთავრებული. თავის თავს ჩემს გიდად სთვლის და საკმაოდ კარგად მიხსნის ყველაფერს, რასაც შევეკითხები. თავი სერიოზულად უჭირავს; ასე მგონია, საგაზეთო კორესპონდენციას ვკითხულობ, ისე აქვს გაზეპირებული პასუხები ჩემს გიდს.

— შეხედეთ, — მეუბნება იური, — პლანტაციები გარშემორტყმულია ქარსაცავი ხეებით. დააკვირდით, აქ ხეების სამი რიგია: ალვის ხეები, ცაცხვის და ისევ ალვის. სამივე რიგი საიმედოდ იცავს პლანტაციას. რიონის ხეობიდან ძლიერი ქარები მოვარდება ხოლმე.

— შენ ნამდვილი აგრონომივით ლაპარაკობ, იური!

— სხვაგვარად არც შეიძლება, — თავმომწონედ მომიგო მან, — შემოდგომაზე სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში ვაპირებ შესვლას.

უცებ დაამუხრუჭა მანქანა. კინაღამ წინ წავვარდი და თავით დავეტაკე სარკმელს. გაოცებულმა და, ცოტა არ იყოს, გამწყრალმა შევხედე იურის, მან კი გზისკენ მიმითითა. მანქანის წინ ტანმორჩილი დედაბერი იდგა, ხელში უშნოდ გამოჩორკნილი ჯოხი ეჭირა. დავაკვირდი. თვალს არ დავუჯერე. ჩემი ძველი ნაცნობი იყო, სოფელ ჯვარის კოლმეურნე, ასოცდაოთხი წლის საქებარ მარგია.

— გამარჯობათ, საქებარ, საიდან სად?!

საქებარმა ხელით შუბლი მოიჩრდილა, თვალი მოჭუტა და ცნობისმოყვარეობით ამათვალიერ-ჩამათვალიერა. მანქანიდან გადმოვხტი და ორივე ხელი გავუწოდე მოხუცს.

— აა, შენა ხარ, შვილო, — გაუხარდა საქებარს და ბეჭებზე თავისი გამხმარი, ძარღვებიანი ხელი მომიცაცუნა, — აი, ხომ ხედავ, ისევ შევხვდით ერთმანეთს... ჯვარიდან მოვდივარ სტუმრად ჩემს საყვარელ დოროთესთან.

— თქვენი ნათესავია თუ?

— ამ ქვეყნად ჩვენ ყველანი ნათესავები ვართ... იმ ქვეყნისა კი რა მოგახსენო, შენ უკეთ გეცოდინება.

— კი მაგრამ, ნუთუ ფეხით...

— ჩემი ფეხები ამ მანქანის ბორბლებსა ჰგავს. ჰო, ფეხით მოვდივარ, ამიტომ ვცხოვრობ ამ ქვეყანაზე ასე დიდხანს. გზაში თუ ძალიან დავიღალე, აი, ასეთი კეთილი ბიჭები, როგორიც შენი შოფერია, გააჩერებენ მანქანას და ცოტას ქე გამატარებენ სოფლიდან სოფლამდე.

ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა. ვერ წარმომედგინა, რომ ამ ხნის ქალი ასე იოლად გამოივლიდა ესოდენ გრძელ გზას.

— ძალიან გამიხარდა, შვილო, შენი ნახვა, — მითხრა საქებარმა, როცა მანქანაში ჩაჯდომაში ვეხმარებოდი, — წავიკითხე შენი დაწერილი წიგნი ჩემზე. ღმერთო ჩემო, რატომ შეწუხდით ასე, — მოულოდნელად თქვენობით დაიწყო ლაპარაკი, — ამდენი ქება გაგიგონია, შე კაი კაცო, არ ვარგა, არა! კიდევ კარგი, რომ ოცი წლისა არა ვარ, თორემ თავბრუ დამეხვეოდა. ისე კი, ახალგაზრდები უნდა აქო, შვილო, ეს მათ უფრო წაახალისებს. აბა, მე რათ მინდა ქება, თუ ღმერთთან გინდა წარმადგინო ასე... ჰო, სწორი ხარ, შეიძლება არც მიმიღოს იმ დალოცვილმა, მითხრას ამდენ ხანს სად დახეტიალობდი, საქებარ, დროზე ვერ მოხვედი შინო! აჰა!

შოფერს სიცილი აუტყდა (იურამ ისევე იცის ქართული, როგორც მშობლიური ენა).

— რა გაცინებს, ბიჭო, ტყუილს ვამბობ, თუ? — გაუწყრა იურას ბებია საქებარი, მერე ისევ მე მომიბრუნდა:

— დოროთესთან მიდიხარ? ალბათ გაზეთში უნდა გაწერო. დაწერე, შვილო, დაწერე, ოღონდ კარგად დაწერე, დოროთე ნამდვილი მშრომელი და ბრძენი კაცია. ხომ ხედავ, რა სამოთხე აგვიშენა ამ ოდესღაც გაუვალში? ტყუილად ხომ არ მისცეს გმირობა. ჩვენმა მთავრობამ იცის კაცის დაფასება. აბა ჩემისთანა მომუშავე ვის რათ უნდა?

— კიდევ მუშაობთ, ბებია საქებარ?

— რას მიქვია კიდევ? აბა შენ უნდა მაჭამო პური? მაგისთანა რამე მეორე ჯერ არ წამოგცდეს ჩემთან, როგორ თუ არ ვმუშაობ! ყოველ წელიწადს ვკრეფ ჩაის. ვიცი, ყოველ წელიწადს სულ უფრო ცოტას ვკრეფ, მაგრამ რას იზამ, ვბერდები... ეხ, რა არ გადამხდენია, რა არ მინახავს...

— მაცი ხვიტია თუ გახსოვს, საქებარ?

— მაციც მახსოვს, ეკა ჭავჭავაძე ოსურპატონიც და უტუ მიქავაც... მოვწონდი მე იმ ყაჩაღს.

იურის ისევ ჩაეცინა ულვაშში, მაგრამ ჩემი მწყრალი გამოხედვა რომ დაინახა, სახე მოგვარიდა.

— ო, რა ვაჟკაცი იყო ორივე, მაციც და უტუც, მაგრამ უტუ უფრო დინჯი იყო, წერა-კითხვა იცოდა, ბრძენს ვეძახდით. მაცი კი, ვო მაცი!.. აქ, ამ ჭაობებში ისე გაძვრებ-გამოძვრებოდა რომ... შიშის ზარს სცემდა თურქებს და ჩვენს ბატონებს.

საქებარი გაჩუმდა, ფიქრს მიეცა, ალბათ ასი წლის წარსულს იგონებდა, როდესაც გრძელნაწნავიან ცუგრუმელა გოგოს უტუ მიქავა ეტრფოდა და შეიძლება მაცი ხვიტიაც, ვინ უწყის, რა იყო ასი წლის წინათ!

— ერთი წელია, რაც აქ არ ვყოფილვარ, — ისევ დაიწყო საქებარმა, — და შეხედე რამდენი რამე გაუკეთებია ამ დალოცვილ დოროთეს... აფერუმ მე და ჩემმა ღმერთმა, აფერუმ, დოროთე. ასეა, როცა ადამიანს შრომა უყვარს. შეხედე, შეხედე, დიდუ, დიდუ, ამას რას ვხედავ, ნანაია მარჯა! — ხარხარებდა საქებარი, — შეხედეთ დოროთეს ტრაქტორი მიჰყავს, ტრაქტორი!

მეგონა მოხუცს ეჩვენება-მეთქი, მაგრამ არა, როგორც იურიმ დამიმოწმა, დოროთე შამათავა, სოციალისტური შრომის გმირი, ამ მეურნეობის დირექტორი მართლა იჯდა ტრაქტორის საჭესთან.

— ვო, დოროთე, ბიჭო, ჩამოდი მაგ ეშმაკის კერძიდან, დირექტორს არ ეკადრება. შეხედე რა სტუმრები მოგიყვანე!..

არ ვიცი გაიგონა თუ არა შამათავამ მოხუცის ძახილი, მაგრამ ტრაქტორი გააჩერა, კაბინიდან ოცი წლის ბიჭივით გადმოხტა ქერა, ჯმუხი, შუახნის ვაჟკაცი და ჩქარი ნაბიჯით გამოემართა ჩვენსკენ.

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — მომესალმა დოროთე შამათავა. იგი გაფრთხილებული იყო ჩემი ჩამოსვლის თაობაზე და გახარებული მომიახლოვდა. — ოო, საქებარ, გამახარე ასეთი სტუმრით. შენც ხომ მოსკოვიდან არ მოყვები?! — გაეხუმრა მოხუცს, მერე, თითქოს მის წინ თავს იმართლებსო, მოიბოდიშა. — ჩვენი ტრაქტორისტის ცოლს ვაჟი შეეძინა და აბა როგორ არ გამეშვა სოფელში. სხვა ტრაქტორისტებს საქმე ყელამდე აქვთ და მე მივუჯექი საჭეს. ახალგაზრდობა გავიხსენე.

— ხელი შეგიშალეთ, მგონი...

— რასა ბრძანებთ, ერთი საათის სამუშაო დარჩა, სადილის შემდეგ მოვათავებ. წამობრძანდით, ბატონო!

ახალი წაკითხული მქონდა ჩემი მასპინძლის — დოროთე შამათავას წიგნი „კოლხეთის ათვისების პერსპექტივები“ და ბევრი რამ ვიცოდი ამ საბჭოთა მეურნეობაზე.

— დოროთე, შვილო, — არ მაცალა საქებარმა სიტყვის თქმა, — შენზედაც დაწერს ეს კაცი. წაიკითხე რეები დაუწერია ჩემზე? შეიშლები რომ წაიკითხო. ღმერთო, ვის რა ჭირად უნდა ჩემი გაჯახირებული თავი, ცალი ფეხი უკვე სამარეში მიდგას. შენზე კი უნდა დაწეროს, აუცილებლად უნდა დაწეროს, ყველამ იცოდეს რა კაცი ხარ...

საბედნიეროდ, ამ დროს დოროთეს მეუღლე მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და საქებარი სახლში შეიყვანა, ჩვენ კი მეურნეობის დასათვალიერებლად წავედით.

ბაღში შევედით. ბაღი ვარსკვლავის ფორმითაა დაგეგმილი. ხეხილის ხეივნები ვარსკვლავის ქიმებივით მიემართებიან სხვადასხვა მხარეს. ეს ვალენტინა ტერეშკოვას სახელობის ბაღია, შემდეგ ნონა გაფრინდაშვილის, ნანა ალექსანდრიას, იური გაგარინის სახელობის ხეივნები იწყება. მთავარ ხეივანს მშვიდობის ხეივანი ჰქვია. მთელი ბაღი კი შოთა რუსთაველის სახელს ატარებს.

ბაღიდან ვენახში შევედით, იქიდან ჩაის პლანტაციაში, კიდევ იქიდან ფორთოხლის, მანდარინის და ლიმონის პლანტაციებში.

— დიდი მეურნეობა გაქვთ, ბატონო დოროთე!

— კიდევ უფრო გავადიდებთ ახლო მომავალში.

— ჰო, მე ეს თქვენს წიგნში წავიკითხე. დიდი ვალდებულებები აგილიათ.

— ჩვენ პატარა მასშტაბებით აღარ ვცხოვრობთ.

— და არც პატარა მასშტაბებით მუშაობთ, არა?

— კარგად ბრძანებთ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდაათი წლის თავს სხვანაირად ვერ შევხვდებით. დიდ დღესასწაულს დიდი საქმეები უყვარს...

მუშათა საცხოვრებელ სახლებს მივუახლოვდით. მეურნეობის ცენტრალურ ტერიტორიაზე, შიგ პარკში გაშენებულია პატარა კოტეჯები. აქ ცხოვრობენ უხვი მოსავლის ოსტატები; ისინი, ვინც ქვეყანას ჩაისა და ციტრუსებს აძლევენ. პარკში ბავშვები შემოგვეხვივნენ, ცეკვავდნენ, მღეროდნენ, ლექსებს კითხულობდნენ.

კიდევ დიდხანს ვსეირნობდით ხეივნებში, პლანტაციებში, ხეხილის ბაღში და ვფიქრობდი ხალხის ოცნებაზე, რომელიც განხორციელდა. არა, კოლხეთიდან არ მოუტაცნიათ ლეგენდარულ არგონავტებს ოქროს ვერძი. აქ ახლა ახალი ლეგენდა იქმნება. ამ ლეგენდას შრომის ადამიანები ჰქმნიან. ეს იქნება ცოცხალი ლეგენდა, თუ შეიძლება ასე ითქვას. არა, ოქროს ვერძი არ მოუტაცნიათ და ვერც მოსტაცებენ მას საქართველოს.

ნიკოლოზ მიქავა

**კაპიტონ ნემსაძე**

## მზე, განთიადო



ამომავალო, გაზაფხულის მზეო დიადო,
შენი მკლავები, უსაზღვრონი,
მსოფლიოს მწდომი
მოხვიე მამულს, ჩემს სამშობლოს
საგანთიადოს,
რომ მისი მოდგმა, ნაშიერი
ქართველთა ტომი
იდგეს მარადის,
სანამ შენვე იქცევი ფერფლად...
შენს სადიდებლად
— ო, განთიადო!

## ჩვენ და ნისლები

თეთრი ნისლები გავდნენ სიზმრად
მოფრენილ გედებს;
წაშალეს ტყენი, წაშალეს მთები,
მოედვნენ ქედებს;
და თვალუწვდენი ოკეანე
უხმოდ გაშალეს...
არც იალქანი, არც ზვირთი ერთი,
და უფსკრულებით გათიშულნი,
თითქოს შევერთდით!

## ჰანგი

გადამისროლა ქალაქმა მთებში
და ქალამნებით გაველ ღრუბლებში...
ორად გაიყო ზეცა მაღალი,
გამოჩნდა გზები ახალთ-ახალი,
და როცა ზესკნელს მოვავლე თვალი,
ქართულ ჰანგების ხმა უნაზესი
შემომესმა, და სამშობლოსკენ
ავიღე გეზი.

## ქარი და ია

ყრუდ ჩაძინებულ დედამიწას
დააცხრა ქარი,
მისწვდა, გაუღო ელვარე მზეს
ღრუბელთა კარი,
რა ბრძოლით დაცხრა და დამშვიდდა
ირგვლივ ტყე-ველი,
მაშინ მოვიდა სინატიფით
ყელ-გადამტყდარი,
უბიწოების, სურნელების
კდემით მფრქვეველი,
სამშობლოს მიწის პირველი რძით
ბაგედამტკბარი,
ია, თვალღია, ლაჟვარდების
ჩუმი მხმობელი,
სულ პაწაწინა და სიკვდილის
დამამხობელი!



# მადლობა და სურვილები

კურორტი მენჯი მდებარეობს სამკურნალო წყლებით განთქმულ კოლხეთის დაბლობის შუაგულში. ზღვისა და მთის ჰაერის შესანიშნავი შერწყმა საშუალებას იძლევა ავადმყოფებმა აქ წლის ყოველ დროს იმკურნალონ.

კურორტ მენჯს დასავლეთით ჩამოუდის მდინარე ცივი, რომლის ნაპირებთანაც გამოდის მინერალური წყაროები; წყაროებს გოგირდის სუნი აქვთ. XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ადგილობრივმა მცხოვრებლებმა დაიწყეს ამ წყლის გამოყენება სხვადასხვა დაავადებათა სამკურნალოდ. მაგრამ მის მეცნიერულ შესწავლას მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიექცა ჯეროვანი ყურადღება.

ამიერიდან მენჯი გადაიქცა ერთ-ერთ შესანიშნავ სამკურნალო კერად.

მენჯში ყოველწლიურად 12-13 ათასი ავადმყოფი მკურნალობს. კურორტმა სახელი გაითქვა არა მარტო რესპუბლიკაში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც. აქ სამკურნალოდ ჩამოდიან საბჭოთა კავშირის ყველა კუთხიდან. ძალიან ბევრ მძიმედ დაავადებულს უგრძვნია თავი კარგად აქ მკურნალობის შემდეგ. ამას თქვენ შეიტყობთ ავადმყოფთა წერილებიდან, რომლებიც კურორტის დირექციას მოსდის, იმ ჩანაწერებიდან, რომლებიც ავადმყოფებს შთაბეჭდილებათა წიგნებში დაუტოვებიათ.

კურორტმა მენჯმა ღირსეულად მოიპოვა საყოველთაო სიყვარული; აქ ერთი რამ უნდა აღინიშნოს: არიან ცალკეული ადამიანები, რომლებიც ანგარიშს არ უწევენ იმ გარემოებას, რომ კურორტი მენჯი სპეციალიზებული სამკურნალო სანატორიუმია გულსისხლძარღვთა და საყრდენ-სამოძრაო ორგანოებით დაავადებულთათვის, იმათთვის, ვისაც აწუხებს გულის მანკი, გულის კუნთის ქრონიკული ანთება, პერიკარდიტი, ათეროსკლეროზი, ჰიპერტონია, სახსრების ქრონიკული რევმატიული ინფექციური ანთება, იშიაზი, რადიკულიტი და პერიფერიული ნერვიული სისტემის სხვა ქრონიკული დაავადებანი, ანდექსიტები, ოფორიტი, ეროზია, სტერილობა, ქალური დაავადებანი, ეკზემა და ფსორიაზი; ამიტომ მენჯის სანატორიუმში უნდა მოდიოდნენ მხოლოდ ის ავადმყოფები, რომელთაც აქ ჩამოთვლილი ავადმყოფობის დიაგნოზი აქვთ. ბოლო უნდა მოეღოს თვითმკურნალობასაც, როცა ცალკეული ავადმყოფები ექიმის დანიშვნის გარეშე იწყებენ აბაზანების მიღებას, ანდა არ იცავენ მკურნალობის რეჟიმს. ბევრი ავადმყოფი დანიშნულ ვადაზე ორ და სამჯერ მეტ დროს რჩება წყალში, რითაც საргებლობის ნაცვლად თავისთავს ზიანს აყენებს, შემდეგ კი იწყებს უსაფუძვლო ჩივილს.

სწორედ ამ საკითხებზე ავადმყოფებს სისტემატურად ესაუბრება სანატორიუმის მთავარი ექიმი გ. კალანდარიშვილი. აქ ჩამოსულთა დიდი უმრავლესობა მტკიცედ იცავს სანატორიუმის რეჟიმს და მკურნალობის წესებს, ამის შედეგად კმაყოფილები ბრუნდებიან შინ. მე თვითონ ვნახე ერთი ქობულეთიდან ჩამოსული ქალი, რომელსაც იშიაზ-რადიკულიტი ისე აწუხებდა, რომ უყავარჯნებოდ და დახმარების გარეშე უჭირდა სიარული; ოთხი აბაზანის მიღების შემდეგ თავი უკეთ იგრძნო, მკურნალობის დამთავრების შემდეგ გადაყარა ყავარჯნები და გახარებული წავიდა შინ. ასეთი შემთხვევები სანატორიუმის არსებობის ისტორიაში უამრავზე უამრავია.

შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა ავადმყოფთა ჩანაწერებით. ისინი მხურვალე მადლობას უხდიან შესანიშნავ აქაურ ექიმებს, მედიცინის დებს და სააბაზანოში მომუშავეებს.

სანატორიუმში კარგად არის დაყენებული კულტურული დასვენება; სასადილოში მომუშავენიც დაინტერესებული არიან დროულად მოემსახურონ ავადმყოფებს გემრიელი და სუფთად დამზადებული საჭმელებით. ლამაზია დღისითაც და ღამითაც ლამპიონებით განათებული სანატორიუმის კორპუსები; როგორც გადმოგვცეს, ახლო მომავალში მეორე კორპუსი კიდევ უფრო გაფართოვდება და სახეს შეიცვლის.

როგორც უკვე ვთქვით, აქ ჩამოსულ ადამიანს მადლობის მეტი არაფერი ეთქმის ამ გამრჯე და კეთილი ადამიანების მისამართით. მეც ამ გრძნობამ დამაწერინა ეს წერილი, მაგრამ მინდა კიდევ უფრო უკეთესი პირობები შეიქმნას ავადმყოფთათვის და ამ მიზნით ორიოდე ჩემი წინადადება და მოსაზრება მინდა წარვუდგინო სანატორიუმის ხელმძღვანელებს; ეს არის არა მარტო ჩემი, არამედ სურვილები იმ ადამიანებისა, რომლებიც ჩემთან ერთად ამ სანატორიუმში მკურნალობდნენ.

ამჟამად პირველ კორპუსში ტელეგადაცემების საყურებლად გამოყენებულია მეორე სართულის ფოიე, ბილიარდის სათამაშოდ კი — მესამე სართულის ფოიე. ერთიც და მეორეც კარგი იქნებოდა თუ მოეწყობოდა ისეთ ადგილას, რომ ხმაურით აღარ შეწუხებულიყვნენ ახლო პალატებში მყოფი ავადმყოფები. ასევე უნდა გამოიყოს ოთახები ჭადრაკისა და ნარდის სათამაშოდ, ჟურნალ-გაზეთების წასაკითხად; ამას გარდა, ნუთუ არ შეიძლება შხაპები თვით კორპუსის შიგნით მოეწყოს. ამით იმას მივაღწევთ, რომ ცუდი ამინდის შემთხვევაში ავადმყოფები აღარ გაცივდებიან.

პირველი კორპუსის წინ ჯერ კიდევ დგება ჭაობები, ჩნდება კოლოები, რომლებიც იჭრებიან სანატორიუმის ეზოსა და ოთახებში, ამ საქმეში სანატორიუმს უნდა დაეხმარნენ რაიონის ხელმძღვანელები.

როგორც კორპუსებს, ისე სააბაზანოს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს კარგი რემონტი. ბევრ ადგილას ჩამონგრეულია ჭერი და კედლები, ჩამტვრეულია მინები. კარ-ფანჯრებს მომტვრეული აქვს საკეტები, დაჟანგებულია მილგაყვანილობანი, გაჭუჭყიანებულია კედლები და სხვა.

სასადილოს ჭურჭელი აკლია. ამის გამო მიმტანები წვალობენ, ავადმყოფები კი ნერვიულობენ. ესეც არ არის ძნელად მოსაგვარებელი საქმე.

სანატორიუმის ხელმძღვანელობა, მისი მუყაითი და დაუზარელი მუშაკები ვფიქრობთ გაითვალისწინებენ ამ მცირე შენიშვნებს.

**თამარ სვინტიძე**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# მოგზაურობა საუკუნეთა სიღრმეში



იშთარის ჭიშკარი ბაბილონში.

## 4. ნაბუქოდონოსორის სატახტო ქალაქში

კონსტანტინე წერეთელი

1970 წლის 1 თებერვალი განსაკუთრებით დატვირთული აღმოჩნდა. ამ დღეს უნდა დამეთვალიერებინა შიიტ-მუსლიმანთა წმინდა ქალაქი ქერბალა, შემდეგ სირიის უდაბნოში უხაიდირის სასახლე და, ბოლოს, ბაბილონი, რომლის დიდებამ მრავალი საუკუნის შემდეგ ჩვენამდეც მოაღწია. გეგმით გათვალისწინებული მარშრუტის გავლას დილიდანვე შევუდექით. ამინდიც ბრწყინვალე იყო. მოვინახულეთ ქერბალა, უხაიდირი და ისევ ქერბალაში დავბრუნდით. აქ ვისადილეთ და ქალაქ ჰილასაკენ გავეშურეთ, რომლის მახლობლად არის ბაბილონის ნაქალაქევი, რომელიც ჰილას გუბერნიაში შედის. გუბერნატორმა იცოდა ჩვენი სტუმრობის ამბავი და მასპინძლობას გვიწევდა: ჰილასთან ვილისის ტიპის სამხედრო მანქანით გუბერნიის სამხედრო ხელისუფალნი შეგვხვდნენ და გუბერნატორთან მისვლა გვთხოვეს. მაგრამ გვიან იყო და ვშიშობდი, რომ ბაბილონის დათვალიერება შეგვიფერხდებოდა. ამასთანავე გაძნელდებოდა კინოგადაღებაც. ამიტომ მასპინძლებს სტუმრობაზე უარი ვუთხარით და გეზი პირდაპირ ბაბილონისაკენ ავიღეთ. „სამხედრო ესკორტიც" თან გვახლდა.

თუ გზა უხაიდირიდან ქერბალამდე მტვრით სავსე უდაბნოზე გადიოდა, ქერბალადან ჰილასაკენ მიმავალ გზაზე პალმების ტყეები და დასახლებული პუნქტები იყო ჩამწკრივებული. გზაზე განუწყვეტლივ გვხვდებოდნენ სახედრებზე ამხედრებული ქალები, ბავშვები, მოხუცები.

აი, მივადექით შესანიშნავ ნაგებობას, რომელიც წარმოადგენს ორ საფორტიფიკაციო კოშკს და მაღალი თაღით ერთდება. კოშკებისა და თაღის თავი დაკბილულია. მათი კედელი მოპირკეთებულია ლურჯი მინანქრიანი აგურით, რომელზედაც ცხოველების რელიეფური გამოსახულებანია. ეს არის იშთარის ძველი ჭიშკრის რეკონსტრუქცია ორიგინალის ნახევარ მასშტაბში. რეკონსტრუქციის დროს გამოყენებულია ორიგინალის აგურებიც. ეს ნაგებობა ბაბილონის ნაქალაქევის ტერიტორიის დასაწყისში დგას და მის „ოფიციალურ" შესასვლელს წარმოადგენს. თვით იშთარის ჭიშკრის ნაშთები ცოტა მოშორებითაა და მასზე ქვემოთ გვექნება საუბარი. ბაბილონი ბაღდადის სამხრეთ-აღმოსავლეთით მდებარეობს და მისგან 95 კმ-ითაა დაშორებული. იგი ოდესღაც პატარა სოფელს წარმოადგენდა, მაგრამ თანდათან გაძლიერდა და ბაბილონის მეფეთა დინასტიის სატახტო ქალაქად იქცა. ბაბილონის ისტორიაში ორ ოქროს ხანას აღნიშნავენ: ერთი—ცნობილი კანონმდებლის ხამურაბის ხანაა (2067-2025 წ. წ. ჩვ. ერამდე). ხოლო მეორე თითქმის ათასხუთასი წლით უფრო გვიანდელი — მეფე ნაბუქოდონოსორის მეფობის პერიოდი (604-561 წ. წ. ჩვ. ერამდე) ჩვენამდე სწორედ ამ მეფის დროინდელმა ქალაქმა მოაღწია, მართალია, ნანგრევების სახით. უფრო ძველი ფენების გათხრა და გაშიშვლება აქამდე ვერ მოხერხდა, რადგან ჰილას ზემოთ, მდ. ევფრატზე აშენებული კაშხალის მიზეზით შეიცვალა წყლის დონე არა მარტო მდინარის კალაპოტში, არამედ მიწისქვეშა წყლებისაც. მათმა დონემ მკვეთრად აიწია და არქეოლოგიური გათხრების წარმოება დიდ სიღრმეზე შეუძლებელი გახდა.

შესასვლელ ჭიშკართან ჩვენ გვხვდება მაღალი ხნიერი კაცი არაბულ ეროვნულ ტანსაცმელში. ერთი შეხედვით იგი უბრალო ფელახის შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ მალე ირკვევა, რომ იგი საკმაოდ განათლებული კაცია და მას ჩვენი წინამძღოლობა უკისრია. გვეკითხება რომელ ენაზე გვესაუბროს — არაბულად თუ ინგლისურად — ჩვენ ვარჩევთ მოვუსმინოთ მის ახსნა-განმარტებას ინგლისურად და ეს „ფელახიც" ინგლისურ ენაზე გვესაუბრება ნაბუქოდონოსორის სატახტო ქალაქის შესახებ.

სიტყვა „ნაბუქოდონოსორი" ჯერ კიდევ ბავშვობაში მქონდა გაგონილი. მაშინ ეს სიტყვა სპეციალურად მოგონილი მეგონა ენის გასატეხად: „ნაბუქოდონოსორ-მეფე განაბუქოდონოსორმეფებულა". უფრო გვიან გავიგე, რომ ეს სიტყვა ისტორიული პიროვნების საკუთარ სახელს წარმოადგენდა, ხოლო ახლა მასპინძელი არაბი მიჩვენებდა ქალაქის გალავნის აგურებს, რომელსაც ლურსმული ნიშნებით „ნაბუქოდონოსორი" ეწერა.

გიდმა იშთარის ნამდვილ ჭიშკართან მიგვიყვანა. ამისათვის საჭირო იყო ჯერ საკმაოდ მაღალ ბორცვზე ავსულიყავით და შემდეგ კიბეებით ქალაქში ჩავსულიყავით. იშთარის ჭიშკარი წარმოადგენს ქალაქის ერთ-ერთ შესასვლელს. ასეთი შესასვლელი ჭიშკარი ბაბილონში რვა იყო და იგი ქალაქის შიდა გალავანთან იყო გაკეთებული. ქალაქს გარეთა გალავანიც ერტყა, რომლის საერთო სიგრძე 18 კმ-ს აღწევდა, ხოლო სისქე 7 მეტრს. ორსავე კედელში კოშკები იყო დატანებული. იშთარის ჭიშკართან იწყება ე. წ. საპროცესიო ქუჩა, რომლითაც რელიგიური პროცესიები ღმერთების გამოსახულებით ხელში მთავარი სალოცავისაკენ, ბაბილონის უზენაესი ღმერთის მარდუქის ტაძრისაკენ მიიმართებოდნენ. საინტერესოა, რომ ამ ქუჩას ძველი ბაბილონელები „აი-იბურ-შაბუს" უწოდებდნენ, რაც ნიშნავს: „მტერი არასდროს არ გაივლის". ქუჩის სიგანე 10 მეტრს აღწევს და დიდი ბრტყელი ქვებითაა მოკირწყლული. ქუჩის ორივე მხარეს აგურის მაღალი კედლებია ამოყვანილი.

იშთარის ჭიშკრისა და საპროცესიო ქუჩის კედლები მორთულია მოლურჯო ჭიქურით, რომლებზეც თეთრი და ოქროსფერი რელიეფური გამოსახულებანია. ეს გამოსახულებანი წარმოადგენს ცხოველებს, რომლებიც ბაბილონის ღმერთების სიმბოლოებია. აქ შეხვდებით ქალღმერთ იშთარის წმინდა ლომს, ღმერთ ადადის სიმბოლოს — ხარს და, ბოლოს უცნაურ ცხოველს, რომელსაც ტანი და თავი ურჩხულისა აქვს, წინა ფეხები ლომისა, უკანა ფეხები — არწივისა, კუდი კი გველისა. ეს უძლიერესი და უგონიერესი ცხოველი ღმერთი მარდუქის სიმბოლოა. სამწუხაროდ, პროცესიის ქუჩის კედლების გარკვეული ნაწილი გერმანელმა არქეოლოგებმა, რომლებიც ბაბილონს ჯერ კიდევ გასული საუკუნის ბოლოს თხრიდნენ, ბერლინში გადაიტანეს.

ნაბუქოდონოსორის სახელს ვხვდებით საპროცესიო გზის ქვაფენილზეც. პროცესიის ქუჩის ბოლოში, ჩრდილოეთ მხარეს დგას შავი ბაზალტისაგან გამოკვეთილი ლომის ქანდაკება. ეს ქანდაკება ბორცვზეა და მთელი ნაქალაქევის დომინანტ ელემენტს წარმოადგენს. უნდა ითქვას, რომ ლომი ამჟამად ბაბილონის ყველაზე პოპულარული მკვიდრია. მის გამოსახულებას შეხვდებით ერაყულ სუვენირებზე, საკანცელარიო ნივთებზე, ერაყის მუზეუმებში და სხვ. ამიტომ ბაბილონში მას როგორც ძველ და კარგ ნაცნობს შევხვდით. ქანდაკებას ეხვეოდნენ ტურისტები, რომლებიც ცდილობდნენ რიგრიგობით მასთან სურათი გადაეღოთ. ყოველი აქ მოსული, — აგვიხსნა გიდმა, — სავალდებულოდ თვლის ბაბილონის ლომთან აღბეჭდოს თავისი გამოსახულებაც. ეს ბაბილონში ყოფნის პირველი საბუთიაო. ლომი გათხრების დროს იპოვეს მთავარი (ანუ ჩრდილოეთის) სასახლის დარბაზში და აქ, საპროცესიო ქუჩის ბოლოს დადგეს.

საპროცესიო ქუჩის ხელმარცხნივ, ქალაქის შიდა მხარეს, დიდი სასახლის ნანგრევებია, რომლებიც სამხრეთის სასახლედაა ცნობილი. მას უჭირავს დაახლოებით 600×900 მ. ფართობი. სასახლეში ცენტრალური ადგილი სამეფო დარბაზს ეჭირა. (15×25 მ.). მისი კედლებიც, მსგავსად იშთარის ჭიშკრისა, უმეტესად ოქროსფერი და მოლურჯო ფერის ჭიქურებითაა შემკული. ეს სასახლე აღმოჩნდა ბორცვზე, რომელიც „ბაბილად" არის ცნობილი. სასახლე დ მისდამი განკუთვნილი შენობები აგებულია საკმაოდ მაღალ ტერასაზე. სასახლის იატაკზე დაფენილია ფილები, რომლებსაც ნაბუქოდონოსორის სახელი აქვთ წარწერილი.

ჩავდივართ არქეოლოგების მიერ გაწმენდილ შენობათა ნანგრევებში. დავდივარ დარღვეულ კედლებს შორის, რომლებიც ალიზის აგურითაა ნაშენები. ჩვენი გიდი ადვილად დახტის ამ ნანგრევებზე და ჩვენც იძულებულნი ვართ მას ვსდიოთ უკან: ხან მაღლა კედელზე ასვლა გვიხდება, ხან კი ძირს რომელიმე შენობის სიღრმეში ჩავდივართ. დავდივართ ოთახიდან ოთახში, შენობიდან შენობაში. ასეთი შენობები კი საკმაოდ ბევრია. ამ სასახლის ჩრდილო-აღმოსავლეთით დიდი შენობის ნანგრევებია, რომლებიც სვეტებზე შემდგარი ტერასებისაგან შედგება. ეს ცნობილი „სემირამიდას დაკიდებული ბაღებია", რომელიც მეფე ნაბუქოდონო-

* იხ. „დროშა", № 10, 11.



ძველ ძეგლებს აუარებელი მნახველი აწყდება.

ხორს თავისი მეუღლისათვის, მიდიელთა მეფის ასულისათვის აუშენებია. მიდიელი ქალი მძიმედ განიცდიდა მშობლიური ბუნებისაგან განშორებას და ეს „დაკიდებული ბაღები“ მას სევდას უქარვებდა. ბერძნებმა დედოფლის სახელი არიეს ასურელი დედოფლის სემირამიდის (ასურულად — შამურამათ — IX ს. ჩვ. ერამდე) სახელთან და ამგვარად, ამ ტერასებზე გაშენებულ ბაღს „სემირამიდას დაკიდებული ბაღები“ შეერქვა. იგი მიჩნეული იყო მსოფლიოს ერთ-ერთ საოცრებად.

ძველი ბაბილონის ტერიტორიაზე, გარდა ხსენებული შენობებისა, გვხვდება სხვა სასახლეების ნანგრევებიც. ასეთია ე. წ. ჩრდილოეთის სასახლე, რომლის ერთ-ერთ დარბაზში თავმოყრილი იყო სამეფო განძეული. ეს სასახლე ნაწილობრივაა გათხრილი. საყურადღებოა აგრეთვე სამეფო სასახლე, რომელიც ქალაქის ჩრდილოეთით განაპირას იყო აგებული. ამ შენობის შიდა ოთახებში კედლებში შეინიშნება ვერტიკალური სავენტილაციო აგურის შახტები, რაც იმაზე მიუთითებს, რომ ნაბუქოდონოსორი ამ სასახლეს საზაფხულო რეზიდენციად იყენებდა.

ქ. ბაბილონის ცენტრალური პუნქტია უზენაესი ღმერთის — მარდუქის ტაძარა — ეთემენანქი, რომელიც შვიდსაფეხურიან ზიქურათს წარმოადგენდა. მისი საძირკველი კვადრატის ფორმისაა; ბაბილონის მუზეუმში, რომელიც ნაქალაქევის ტერიტორიაზეა გახსნილი, ექსპონირებულია თაბაშირისაგან დამზადებული ამ ტაძრის მოდელი. ფიქრობენ, რომ ეს ტაძარი შემდეგში ბიბლიის „ბაბილონის გოდოლის“ სიუჟეტად იქნა გამოყენებული.

ბაბილონის ნანგრევების დათვალიერებაში შემოგვაღამდა კიდეც. ჩვენ იძულებული ვიყავით დიდებული ნანგრევებისათვის თავი დაგვენებებინა და ბაბილონის მუზეუმის ნახვით დაგვემთავრებინა ამ ნაქალაქევის გაცნობა.

მუზეუმი ოთხი დარბაზისაგან შედგება. პირველ დარბაზში წარმოდგენილია ლიტერატურა ერაყის სიძველეებზე, მათ შორის ბაბილონზე. აქვე იყიდება სუვენირები ბაბილონური ძეგლების გამოსახულებებით. მეორე დარბაზში ექსპონირებულია მატერიალური კულტურის ნივთები, მოპოვებული ერაყის სხვადასხვა პუნქტში (ურუკში, ურში, თელ-ჰასუნაში და სხვ.). მესამე დარბაზი მთლიანად განკუთვნილია ბაბილონური ექსპონატებისათვის. აქ არის კერამიკა, ლურსმული წარწერები თიხაზე და ქვაზე, მოჭიქული აგურები ლურსმული ნიშნებით, სპილენძის ნივთები, მინის ჭურჭელი, ცილინდრული საბეჭდავები, ყელსაბამები, თიხის ჯამები არამეული წარწერებით (დაახლოებით V ს. ჩვ. ერამდე), თიხისაგან გამოძერწილი ცხოველთა ქანდაკებანი. ამ დარბაზის შესასვლელ დერეფანში გამოფენილია ბაბილონის ტაძრის ეთემენანქის თაბაშირის მოდელი. იქვე კედელზე ჰკიდია ზეთის საღებავებში შესრულებული ნახატი — მეფის ეტლით შესვლა ბაბილონში. დარბაზის ცენტრალურ ადგილას აღმართულია მაკეტი ბაბილონის მეფის ხამურაბის სტელისა. თვით ორიგინალი, შესრულებული შავი დიორიტის ქვისაგან, ამჟამად პარიზში, ლუვრის მუზეუმშია დაცული. იგი აღმოაჩინეს ფრანგმა არქეოლოგებმა სუზაში გათხრის დროს 1901 წელს. მაკეტი ნატურალური სიდიდისაა და დიდი სიზუსტით გადმოსცემს ორიგინალს. მისი სიმაღლე 2 მ. 25 სმ-ია. ზემო ნაწილში რელიეფურად გამოსახულია მჯდომარე მზის ღმერთი „შამაშ“, რომლის წინაშე დგას მეფე ხამურაბი. იგი იღებს შამაშისაგან კანონებს, რომელთა შინაარსი ამ გამოსახულებათა ქვემოთაა ლურსმულად მოცემული. მეოთხე დარბაზში კედელზე ჰკიდია ზეთის საღებავით დახატული „სემირამიდას დაკიდული ბაღი“. აქვე კედლებზე დამაგრებულია მოჭიქული აგურებისაგან შედგენილი სურათები, რომლებიც საპროცესიო ქუჩასა და ნაბუქოდონოსორის სასახლის სამეფო დარბაზის მორთულობას შეადგენდა. ამავე დარბაზში წარმოდგენილია ქალაქ ბაბილონის გეგმა, იშთარის ჭიშკრისა და საპროცესიო ქუჩის მოდელი, გაკეთებული თაბაშირისაგან, ასევე—ტაძრების ხის მოდელები.

შთაბეჭდილებებით დაღლილნი ვტოვებთ ნაბუქოდონოსორის სატახტო ქალაქს და ვბრუნდებით ერაყის რესპუბლიკის დედაქალაქში.

# ეს მოხდა ბარსელონაში



სექტემბერი... კვირა დღე... ბარსელონა... ცხელოდა ისე, როგორც თბილისში იცის.

— სენიორებო, იჩქარეთ ცისფერი ბილიკის ოხტატთა „კორიდაზე“, — გაჰკიოდნენ გაზეთის გამყიდველი პატარა. შავგვრემანი ბიჭები,—არ დაიგვიანოთ ევროპის ჩემპიონატის გახსნაზე.

ბარსელონას მართლაც უამრავი ტურისტი, ჟურნალისტი, გულშემატკივარი ეწვია. 26 სახელმწიფოს სამასზე მეტი წყალში მხტომელი, წყალბურთელი და მოცურავე ეჯიბრებოდა ერთიმეორეს ევროპის პირველობაზე, ძნელი იყო სტუმრისა და მასპინძლის გამოცნობა. ბარსელონას ქუჩებში, მაღაზიებში, სკვერებსა და პარკებში გაისმოდა ფრანგული, რუსული, იტალიური, ინგლისური, გერმანული ლაპარაკი.

გონებამახვილობითა და დიდი ფანტაზიით ალსავსე ესპანელებს[3] მართლაც საინტერესოდ, დიდი გემოვნებით დაეგეგმათ მთელი ასპარეზობა. შესანიშნავად მოქმედებდა მსაჯთა კოლეგია, რადიოკვანძი. ვეებერთელა ელექტროფარი ძალიან ოპერატიულად აცნობებდა აუზის სტუმრებს გამარჯვებულთა გვარებს, მოუთხრობდა მათ მიერ დამყარებულ რეკორდებზე.

საცურავი აუზის სახტომი კოშკურის უკან იდგნენ ბრინჯაოსფერი ვაჟკაცები. შესტარტის ნიშნის ხმაზე ისინი კოშკურაზე ავიდნენ, კიდევ რამდენიმე წამიც და სპორტსმენები დიდი სისწრაფით მიარღვევენ ტალღებს...

იქვე, კუთხეში, ქერათმიანი ქალი რაღაცას გულმოდგინედ უხსნის წაბლისფერთმიან, შავგვრემან გოგონას. პატარა მოცურავე უსმენს ალმზრდელს და თვალი მეტოქეებისაკენ უჭირავს. ნერვიულობენ შეჯიბრების მონაწილენი, ყურადღების ცენტრშია ევროპის უძლიერესი მოცურავე უნგრელი დიარმატი, რომლის ირგვლივ თავი მოუყრიათ ფოტორეპორტიორებს. არც გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოცურავე ჰოფმაისტერი ავიწყდებათ ჟურნალისტებს. პრესის მუშაკები სწორედ მათ შორის მოელიან შერკინებას და ვარაუდობენ, რომ ოქროს მედალს ერთ-ერთი მათგანი მოიპოვებს.

— პირველ ბილიკზე სტარტს აიღებს სსრ კავშირის ჩემპიონი თინა ლეკვეიშვილი, — აცხადებს დიქტორი. 100 მეტრზე გულაღმა ცურვის მონაწილეებმა თანაგრძნობით გადახედეს პირველი ბილიკისაკენ მიმავალ ქალიშვილს, მათი გამოხედვა თითქოს ამბობდა, რომ ქართველ სპორტსმენს აშკარად უმუხთლა ბედმა. ყველა აშკარად გრძნობდა, რომ თინას წამგებიან სიტუაციაში უხდებოდა სტარტის აღება.

— ეგ ნუ შეგაკრთობს, რომ პირველ ბილიკზე მოგიხდება გამოსვლა, — ეუბნება თინას მისი მწვრთნელი მარგარიტა ტატიშვილი, — ჩემი აზრით, ეს კარგიც არის, რადგან შენგან სიურპრიზს აქ არავინ მოელის. ეს ამბავი აშკარად შეანელებს შენდამი ყურადღებას, გესმის!

სპორტსმენები უკვე წყალში არიან. წინ დიდი სიჩქარით მიიწევს დიარმა-

# ქართული ვარსკვლავები უცხო ცაზე

ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილისა და ს. ჯანაშიას მიერ შედგენილ საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელოში ვკითხულობთ:

„...ქართველები ირანში მარტო სამხედრო და მართვა-გამგეობის დარგში კი არ იჩენდნენ თავის ნიჭს, არამედ ისინი ნაყოფიერად მოღვაწეობდნენ იქ კულტურულ ასპარეზზედაც. ცნობილი არიან ქართველი მწერლები, პოეტები და მხატვრები ირანში. ასე, მაგალითად, მე-17 საუკუნის ირანში სპარსულ პოეზიაში თავი გამოუჩენიათ ქართველ პოეტებს: ქაიხოსრო-ხანს, ზეინალ-ბეგს, ზურაბ-ბეგს, შარმაზან-ბეგს, ალიხან-ბეგს, ფაზლალი-ბეგს. ცნობილი სპარსელი ისტორიკოსი მე-17 საუკუნისა ისკანდერ მუნში ბევრსა წერს ქართველი მოღვაწეების შესახებ ირანში. ერთი ქართველი მხატვრის შესახებ, რომელიც შაჰ-თამაზის კარზე მოღვაწეობდა, ისკანდერ მუნში წერს: „სიაოშ-ბეგ ქართველმა დიდ წარმატებას მიაღწია; მას მეტად ნაზი ფუნჯი ჰქონდა, იგი დეტალების დიდი ოსტატი და შეუდარებელი მხატვარი იყო. კალმით ხატვაში და მთების გამოსახვაში მას ვერც ერთი ოსტატი ვერ შეედრებოდა. იგი უნაკლოდ ხატავდა ჯგუფს („მეჯლისს“)“.

ამ მეტად საინტერესო საკითხებს ეძღვნება თვალსაჩინო ქართველი ირანისტის, ცნობილი მკვლევარის დავით კობიძის საყურადღებო ნაშრომი „ქართული ვარსკვლავები სპარსული პოეზიის ცაზე“, რომელიც შეტანილია მის ახალ წიგნში „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ (თბილისის სახ. უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1969 წ.). დ. კობიძის ამ წიგნში ვკითხულობთ:

„უკანასკნელი დროის კვლევის შედეგად ცხადი ხდება ის გარემოება, რომ საქვეყნოდ ცნობილი სპარსული პოეზია, რომელიც თავის დროზე საგრძნობ გავლენას ახდენდა მთელი აღმოსავლეთის, მათ შორის ქართული ლიტერატურის განვითარებაზე, მხოლოდ და მხოლოდ ირანელების მიერ კი არაა შექმნილი, არამედ მასში საკმაო წვლილი მიუძღვის აგრეთვე სხვა ეროვნების, კერძოდ ქართველი ხალხის წარმომადგენლებსაც“. (გვ. 215).

„მაგრამ, — განაგრძობს ავტორი, — იშვიათად ქართველი მეცნიერები, კერძოდ ირანისტები თუ შეეხებიან ქართული კულტურის გავლენის საკითხებს ირანულზე. ამიტომ გასაკვირი არაა, რომ ირანულ-ქართული ურთიერთობის პირველი მხარე (ირანულის გავლენა ქართულზე) უფრო შესწავლილი და დიდძალი მასალაცაა მოპოვებული, ვიდრე მეორე მხარე (ქართულის გავლენა ირანულზე), რის შესახებაც ჯერჯერობით ძალიან ცოტა ვიცით“.

ამ ხარვეზის შევსების თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია ის ცნობები, რომლებსაც მკითხველი დავით კობიძის ნაშრომში გაეცნობა. მკვლევარი მოგვითხრობს, რომ ქართველ პოეტთა ღვაწლს ჩვენ ვხვდებით არა მხოლოდ XVII საუკუნის ლიტერატურაში, არამედ შემდეგ ეპოქებშიც. საინტერესოა აღინიშნოს, რომ დღევანდელი სპარსული პოეზიის ორი დიდი წარმომადგენელი — მოჰამედ თაყი ბეჰარი და ნიმა იუშიჯი (იუშელი) წარმოშობით ქართველები არიან. მათ დიდად შეუწყეს ხელი XX საუკუნის სპარსული პოეზიის განვითარებას. ავტორი მოგვითხრობს მათი შემოქმედების განვითარების გზებზე, ბევრ კონკრეტულ ცნობას გვაწვდის და დაასკვნის, რომ ბეჰარი და ნიმა, მართალია, წარმოშობით ქართველები იყვნენ, მაგრამ სპარსულად წერდნენ. ამიტომაც ისინი სპარსულ პოეზიას ეკუთვნიან და არა ქართულს. მაგრამ საქმე ისაა, რომ მათ და წარმოშობით სხვა ქართველმა პოეტებმაც სპარსულ პოეზიაში ქართული ხასიათისა და ბუნების ნაკადი შეიტანეს.

დავით კობიძის ზემოთ დასახელებული წიგნი დიდად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას და წარმოდგენას ჩვენი კულტურისა და ლიტერატურის წარსულზე; ამ წიგნის ავტორი წლების განმავლობაში მუშაობს ქართულ-სპარსული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხებზე და მან არაერთი კარგი გამოკვლევა მიუძღვნა ამ საკითხს. აღსანიშნავია მისი წიგნი „სპარსული ლიტერატურა“ (პირველი და მეორე ნაწილი), „შაჰ-ნამეს ქართული ვერსიების სპარსული წყაროები“. ამას გარდა, დავით კობიძემ სპარსულიდან თარგმნა „ბუსთანი“, რომელსაც დაურთო ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა და კომენტარები.

დ. კობიძის ახალი წიგნი „ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობანი“ წარმოადგენს ავტორის მიერ სხვადასხვა დროს დაწერილ გამოკვლევების კრებულს. წიგნში შეტანილი ნაშრომების სათაურთა უბრალოდ ჩამოთვლაც კი ნათელ წარმოდგენას იძლევა, თუ რა საინტერესო პრობლემებს ეხება ავტორი: „ვისრამიანის საკითხები“, „რუსთაველი და სპარსული ლიტერატურა“, „თეიმურაზის ლიტერატურული წყაროების ძიების გზაზე“, „ჯამი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ზოგიერთი საკითხი“, „ქართველი მწერლების სპარსული თარგმანები“, „ჩარხებრ მბრუნავი ლექსი გალაკტიონ ტაბიძის პოეზიაში“, „გალაკტიონ ტაბიძე და აღმოსავლური ლექსწყობის საკითხები“ და სხვ.

დავით კობიძის ეს წიგნი კიდევ ერთხელ ადასტურებს, თუ რაოდენ ნაყოფიერად გრძელდება ჩვენში ის დიდი მუშაობა, რომელიც ქართველი ირანისტების წინა თაობებმა დაიწყეს: ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობის საკითხების კვლევა, სპარსული ლიტერატურის ისტორიის კვლევასთან ერთად, ჩვენი მშობლიური ლიტერატურის საკითხების ღრმად შესწავლასაც გულისხმობს. ამიტომ იწვევს იგი ესოდენ ღრმა ინტერესს. ჩვენი ლიტერატურის ისტორიის მკვლევარებს დიდი სამუშაო უძევთ წინ — ჯერ კიდევ შეუსწავლელია მთელი რიგი ძეგლების ლიტერატურული წყაროები, შეუსწავლელია ქართული თარგმანების ლექსიკა და პოეტური მეტყველება დედნებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. ამ მხრივ კობიძის ნაშრომების ახალი კრებული მრავალ ახალ, მანამდე შეუსწავლელ საკითხს ჰფენს შუქს და გვიჩვენებს ქართულ და სპარსულ ლიტერატურათა ნაყოფიერი ურთიერთზეგავლენის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ფაქტებს.

**ალ. სიგუა**

---

ტი. მას ოდნავ დაშორებით მისდევს ჰოფმაისტერი. ტრიბუნებზე მყოფთა თვალი მოულოდნელად თინამ მიიტაცა. მან უცებ მოუმატა ტემპს. მოცურავეებმა მოსახვევი გაიარეს. ახლა უნგრელი სპორტსმენი არც ისე წინ არის, როგორც სტარტის შემდეგ. კიდევ 10, მერე 5 მეტრი. დიარმატი ახლოა, საჭიროა ძალების უკანასკნელი დაძაბვა. აი ფინიშიც. გაიყინენ წამზომები. არავინ იცის ვინ გაიმარჯვა.

„ნუთუ წავაგე“ — ფიქრობს თინა და თან ვეებერთელა ელექტროფარს გასცქერის. დაბნეული ფოტორეპორტიორები ისევ უნგრელ მოცურავეს შემოხვევიან გარს. და აი, ელექტროფარზე კიაფობენ სიტყვები: პირველ ადგილზეა თინა ლეკვეიშვილი (სსრ კავშირი). ვიდრე გონსმოსული ჟურნალისტები მისკენ გამოემართებოდნენ, დიქტორი აცხადებს, რომ თინამ 0,1 წამით გააუმჯობესა სახელგანთქმული ფრანგი მოცურავის კრისტინ კარონის ევროპის რეკორდი.

ტრიბუნებს ტაშის გრიალში ჩაუ: რა სამმა სპორტსმენმა; თინა, თინა! — გაჰკივიან ესპანელები. მორცხვმა გოგონამ ისლა მოახერხა, რომ ხელისაწევით მისალმებოდა თავის ახალშეძენილ თაყვანისმცემლებს, შემდეგ გამარჯვებულთა მაღალ კვარცხლბეკზე ავიდა, თმაშევერცხლილმა ესპანელმა მსაჯმა დიდი ოქროს მედალი გამოართვა შავთვალწარბა ესპანელ ქალიშვილს და თინა ლეკვეიშვილს ჩამოჰკიდა; გაისმა სსრ კავშირის სახელმწიფო ჰიმნი, მაღალ ფლაგშტოკზე აფრიალდა ჩვენი სამშობლოს წითელი ალამი.

ბარსელონაში თინამ ოქროს ნადავლს კიდევ ვერცხლის მედალი მიუმატა კომბინირებულ ამანათცურვაში, ბრინჯაოს მედლით დაიმშვენა მკერდი 200 მეტრზე გულაღმა ცურვაში. ეს იყო ნამდვილი სპორტული გმირობა.

ესპანური სპორტული გაზეთი წერდა:

„მზისა და სილამაზის მოტრფიალე ესპანელები მოწიწებით იხრიან თავს წაბლისფერთმიანი ქალიშვილის წინაშე. ასეთია რაინდული წესი... ყველა გულშემატკივარს ჰყავს თავისი ოცნების ქალიშვილი, რომელსაც ფარული სითბოთი და სიყვარულით ეალერსება. თინა ძალიან ჰგავს თვალებბრიალა ესპანელ გოგონებს. ეს უკვე დიდი ფორაა ევროპის ახალი ჩემპიონისა და რეკორდსმენის სასარგებლოდ. თინას ირგვლივ მუდამ თაყვანისმცემელნი ახვევიან, მისი გულის მოგებას ცდილობენ ესპანური სერენადის ვარსკვლავებიცა და კორიდის დიდოსტატები — ყველაზე პოპულარული და პატივცემული ხალხი აპენინებზე, თინა კი მორცხვია. მას უყვარს საესტრადო მუსიკა, აინტერესებს კორიდაც, მაგრამ ბუნებრივია, რომ უხერხულობას განიცდის ასეთი დიდი პოპულარობის გამო“.

თინა ლეკვეიშვილი სპორტულმა სამყარომ 1967 წელს გაიცნო. სპორტული საზოგადოება „განთიადის“ ღია საცურაო აუზში მოწყობილ შეჯიბრებაზე 13 წლის გოგონამ 100 მეტრი გულაღმა 1 წუთსა და 15 წამში დაფარა. ზღვა სიხარულს ვერ ფარავდნენ მისი მუდმივი გულშემატკივარი ბებია ლუბა, მწვრთნელი მარგარიტა ტატიშვილი და თინას თანაკლასელები. მას შემდეგ გამარჯვებას გამარჯვება მოჰყვა.

თინა ლეკვეიშვილი საქართველოს სამედიცინო ინსტიტუტის სამკურნალო ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტია.

— ჩემი სურვილია, — ამბობს თინა, — ისეთივე ექიმი გამოვსულიყავი, როგორიც თუნდაც მოცურავე. სპორტსმენებს შორის ბარსელონაში მომეწონა შვედი ლარსონი. ცურვაში ჩემი იდეალი, ტოკიოს ოლიმპიადის აბსოლუტური ჩემპიონი, ამერიკელი დონ შოლანდერია. მომწონს გერმანელი მათესი, ამერიკელი სპიტცი. მიყვარს საესტრადო მუსიკა, ჩვენი ნანი ბრეგვაძე, რა თქმა უნდა, „ორერა“.

— ჩემი ოცნება? — ამბობს თინა, — მინდა წარმატებით გამოვიდე სსრ კავშირის ხალხთა მეხუთე საიუბილეო სპარტაკიადაზე, რომლის სამზადისს კარგა ხანია შევუდექით. გაისად მსოფლიოს პირველი ჩემპიონატი უნდა მოეწყოს ცურვაში. სურვილი მაქვს წარმატებას მივაღწიო. შემდეგ მიუნხენის XX ოლიმპიური თამაშები...

კიდევ მრავალი საინტერესო და სპორტულად დაძაბულ შერკინებებში ვიხილავთ ჩვენს ჩემპიონს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს ჩვენი თინა.

**შალვა ქირია**



საქ. სსრ კ. მარქსის სახ. სახ. რესპუბ. ბიბლიოთეკა

# ერთი გამოუქვეყნებელი წიგნაკის გამო

აკად. გიორგი ლეონიძე არა მარტო დიდი პოეტი იყო, არამედ გამოჩენილი მეცნიერ-მკვლევარიც. მისი შესანიშნავი გამოკვლევები სულხან-საბაზე, ბესიკ გაბაშვილზე, დავით გურამიშვილზე, ვახტანგ მეექვსეზე, იოსებ ტფილელზე და ა. შ. მუდამ შეინარჩუნებენ თავიანთ დიდ მეცნიერულ მნიშვნელობას.

აღსანიშნავია, რომ გიორგი ლეონიძე მარტო ისტორიულ თემებზე როდი მუშაობდა. იგი პოულობდა დროს ეზრუნა ისეთი ყოველდღიური და პოპულარული წიგნების დასაწერადაც, რომლებსაც ხშირ შემთხვევაში უაღრესად პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდათ. მან კარგად იცოდა, რომ ეს საჭირო საქმე იყო და ენერგიას არ ზოგავდა. ამით აიხსნება ის ფაქტიც, რომ გ. ლეონიძეს დაუწერია წიგნაკი სახელწოდებით — „საქართველოს კურორტები“. როგორც ხელნაწერის თავფურცელზე წარწერილი თარიღიდან ჩანს, ავტორს ეს ნაშრომი დაუმთავრებია 1931 წელს.

ცნობარი საინტერესოდ არის შედგენილი; ავტორს ადრეც ჰქონდა გამოქვეყნებული მცირე ფორმატის წიგნაკი საქართველოს ცალკეულ კურორტებზე (გამოიცა 1926 წელს). ზემოთ დასახელებულ ცნობარში კი განხილულია საქართველოს 30-ზე მეტი კურორტი. ხელნაწერი შეიცავს სულ 246 გვერდს, რომლიდანაც 177 გვერდი სრულიად ახალ მასალას წარმოადგენს და დაწერილია თვით ავტორის ხელით, ხოლო 69 გვერდი კი გადმოტანილია ძველი გამოცემიდან, სათანადო შესწორებებით.

ხელნაწერში შესანიშნავად არის განხილული ცალკე კურორტთა წარმოშობისა და განვითარების ისტორია, მათი სამკურნალო მნიშვნელობა, მოცემულია ცნობები მათ გარშემო მდებარე არქეოლოგიურ ძეგლებზე. ავტორს შემოუვლია მთელი საქართველო, თავისი თვალით უნახავს ყოველი ძეგლი და აუწერია იგი.

ორიოდე სიტყვა ამ გამოუქვეყნებელი ხელნაწერის ბედის შესახებ.

ავტორს იგი 1931 წელს წარუდგენია სახელმწიფო გამომცემლობისათვის. რაღაც მიზეზის გამო წიგნი არ დაბეჭდილა და გიორგის თავისი ნაშრომი უკანვე წაუღია.

1937 წლის დასასრულს, ერთ დილით გ. ლეონიძე გამომცემლობაში მოვიდა (მაშინ მე იქ ვმუშაობდი) და ჩემს სამუშაო მაგიდაზე დადო საქაღალდე, რომელშიაც ეს ხელნაწერი იყო მოთავსებული, მან ასე მითხრა: — რა ვქნა, ამას პატრონი ვერ ვუპოვნე და რაც გინდა, ის უყავიო. ეს იყო და ეს. იმ ხანებში წიგნაკის გამოცემის საკითხი ვერ მოგვარდა, ხოლო შემდეგ, ომის წლებში მე თვით მომიხდა საქართველოდან წასვლა; ხელნაწერის ამბავი მეც დამავიწყდა და ავტორსაც. საქართველოში რომ დავბრუნდი და ლეონიძეს შევხვდი, მან გაიხსენა თავისი ხელნაწერი და მკითხა: — სად განისვენებს ჩემი „საქართველოს კურორტების ცნობარი“, საპატრონოდ რომ გადმოგეციო. შევპირდი, რომ აუცილებლად ვიპოვნიდი.

მაგრამ ჩემი წიგნთსაცავი ისეთ აბნეულ მდგომარეობაში იყო, მაშინ კვალს ვერ მივაგენი და აი ახლა, სრულიად შემთხვევით, რაღაც სხვა მასალების ძებნის დროს გადავაწყდი მას. ხელნაწერის ცალკე თავები შეკრულია და დანომრილი თვით ავტორის მიერ.

ქვემოთ ვაქვეყნებთ იმ ფრაგმენტებს, სადაც ბორჯომის რაიონის ძეგლებია აღწერილი.

ალ. გვასალია

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ექსკურსიები ბორჯომის რაიონში

## გოგიას ციხე

თვით ბორჯომში და მის ახლობელ მიდამოებში შემდეგი საექსკურსიო ისტორიულ-არქეოლოგიური ადგილებია: გოგიას ციხე — ძევს აბასთუმნის გზაზე, ბორჯომის ხიდს გაღმა, მშვენიერ მაღლობზე. ეს ნაშთი ეკუთვნის XVII საუკუნეს. აქედან მშვენივრად მოჩანს თითქმის ყოველი კუთხე ბორჯომისა და მტკვრის ნაპირებისა. 1828-50 წლებში ამ ციხის ძირში არსებობდა პატარა სოფელი გოგიას ციხის სახელწოდებით. ამ სოფლის არსებობის მთავარი წყარო იყო ხე-ტყით ვაჭრობა.

## პეტრეს ციხე

პეტრეს ციხე — ძევს ბორჯომიდან ორ კილომეტრზე, მტკვრის მარჯვენა ნაპირზე და ზევიდან დაჰყურებს ლიკანის სასახლეს. ციხე აგებულია ფრიალო კლდეზე, ტყიან თხემზე. შედარებით კარგად შენახულია ჩრდილოეთი ნაწილი. ციხეში გამართული ყოფილა ოთახები, მარანი, უზარმაზარი ქვ. თოფის წამლის საწყობი, სათონე და სხვა. მასთან დაკავშირებულია მრავალი ისტორიული ამბები XVII-XVIII საუკუნისა.

## ლიკანი

ლიკანი — ბორჯომიდან ერთნახევარი კილომეტრის მანძილზეა დასახელებული სახლით (სასახლე). აქვე, მოშორებით მთელი ჯგუფია ძველ შენობათა, ნატეხი ქვით ნაშენი; შენახულია სამრეკლო და თავი ეკლესია ბაზილიკური რიგისა. აშენებულია XV საუკუნეში. თვით სოფელი ლიკანი ტყიან პატარა ხეობაში მდებარეობს. განთქმულია ცივი წყაროებით და მცენარეულობით. ადგილობრივი მოსახლენი აქირავებენ ოთახებს მოაგარაკეებზე.

## სადგერი

სადგერი ქართულ საისტორიო წყაროებში XIII საუკუნეში იხსენიება. სადგერის ეკლესია ბაზილიკური ტიპის შენობაა, იასპის ჯიშის ქვით შემკობილი. სარკმლების ჩუქურთმებზე ირჩევა ცხოველთა ფიგურები.

## „ლურჯი მონასტერი“

ბორჯომიდან 8 ვერსზეა, ახალციხის გზაზე, მტკვრის მარცხენა მხარეს, ხშირ ტყეში. ბაზილიკური რიგისაა, ნატეხი ქვით ნაშენი. ეტყობა ძველი მხატვრობის ნაშთები. კარგად არის დაცული სამრეკლო და სხვა შემავალი სადგომები.

## საკვირიკე

ბაზილიკაა, ახლა დანგრეული, ძველი ფრესკებით, კედლებზე მოჩანს ქართული ასომთავრული და ბერძნული წარწერები.

## ქვაბთახევი

უბრალო ქვით ნაშენი ბაზილიკა, კედელზე მოჩანს ძველი მხატვრობა და მათ შორის ფეოდალი ტანისამოსით და წარწერით „შოთა“. აქვე ქალის ფიგურაა წარწერით „იაი“.

## მთა „ლომის თავი“

ზღვის დონიდან არის 7.200 ფუტის სიმაღლეზე. მისი მწვერვალიდან იხედება თოვლით გადალესილი იალბუზი, უშბა, ცად ატყორცნილი თეთნულდი. ძირს კი, მწვანე ზღვად მოგეჩვენებათ იმერეთი და ლიხის გადამული მთები. გადმოცემით, ლომთა მთას მისთვის ეძახიან, რომ იგი მიაგავს ლომის თავს. ლომის თავი, რომელსაც ჰქვია კიდევ სახელი დეგოთი, ისტორიულად არის ლიხისა და ლადოს შესაყართან. აქედან მონგოლები არბევდნენ (XIII საუკ.) მთელ ჯავახეთს. ლომის თავზე ყოფილა მეტად მაგარი და დიდი ციხე, რომლის ნაშთებიღა მოჩანს დღემდის მოღწეული.

## დაბა

მდებარეობს ამავე სახელწოდების სოფელში, თორის ანუ შავი წყლის მარჯვენა მხარეს, ბორჯომიდან 8 ვერსის მანძილზე. წარმოადგენს ბაზილიკურ რიგის ეკლესიას, იასპის ჯიშის თლილი ქვით შემკობილს. გაშენებულია მომაღლოთ, კლდის ქვეშ, ტყეში და შემკობილია ჩუქურთმებით. შესავლის კარების თავზე ხუცური ასომთავრული წარწერა გვამცნობს, რომ დაბის ძეგლი აშენებულია 1175 წელს.

## ციხე უზნარიანი

უზნარიანის ციხე, რომელსაც დღეს დაკარგული აქვს თავისი სახელი, არის წაღვერში — თორის წყლის პირზე, ტიმოთესუბნის გზაზე. ეს ციხე ძველად ცნობილი იყო, როგორც „ფრიად მაგარი“. მისი სქელი კედლები, გალავნები და კოშკის ნაშთები ადასტურებენ, რომ იგი მაგარი და შეუვალი უნდა ყოფილიყო.

ამ ციხესთან დაკავშირებულია ლეგენდა როსაფისა და მშვენიერი ბარბარესი.

## ტიმოთესუბანი

წაღვერის მახლობლადაა, 4 ვერსის მანძილზე, შავი წყლის მარჯვენა კიდეზე. ტაძარი თავისი კონსტრუქციით წარმოადგენს ოთხკუთხედ შენობას, მაღალსა და ვრცელს. ოთხ სვეტზე ამართულია გუმბათი, მაღალი ყელისა და კონუსისაგან შემდგარი 12 სარკმელით, ტაძარი აგებულია აგურით, დახურულია კრამიტით, ხოლო ფრონტონები და გუმბათის სახურავი — ცისფერი ქაშანურით. საკმაოდ კარგადაა დაცული და მოხატული შიგნით. მხოლოდ ცოტათი კამარებია დაზიანებული, რის გამოც შესაფერ ადგილებში ფრესკები ჩამოშლილია. განსაკუთრებით საინტერესოა კედლის მხატვრობა ქართული ასომთავრული წარწერებით.

ტაძარს აქვს ორი შესავალი: დასავლეთით და სამხრეთით. უკანასკნელთან მიშენებულია თლილი ქვით ნაგები კარიბჭე, დაფარული მდიდარი ქანდაკებით. ტაძარი და მისი მხატვრობა XII-XIII საუკუნეებს მიეკუთვნება.

ტიმოთესუბნის გაღმა მაღალს კლდეში, გუჯარეთის პირას გამოჩანს გამოქვაბული მღვიმეები — ოთახები, ტროგლოდიტების საცხოვრებელი ბინები.

ილია ანთელავა

# ქართველ მეფეთა ტიტულაციიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

წინამდებარე მცირე ნაშრომი ეძღვნება შუა საუკუნეთა ორ დოკუმენტში მოხსენებულ ქართველ მეფეთა სხვადასხვა ტიტულს. ერთი ტიტული გვხვდება 1495 წლის 10 მარტს კონსტანტინე მეფის მიერ იზაბელა კასტილიელისადმი გაგზავნილ წერილში, მეორე კი ვახტანგ V-ის მიერ პოლონეთის ხელმწიფის ჟან კაზიმირისადმი მიწერილ წერილში.

პირველი წერილი ასე იწყება: „ღვთისა ჩვენისა ქრისტეს ერთგული თვითმპყრობელი მეფე კონსტანტინე პანკრატოვანი, მეფე სრულიად ივერთა ქვეყნისა, ჯიქთა და მეგრელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა და ტურბანთა“.[1] ტექსტის გამომცემელს პროფ. ი. ცინცაძეს „ტურბანისათვის“ ასეთი შენიშვნა მიუწერია: „გაურკვეველია ქართველი მეფის ტიტულაციიდან რომელი სიტყვაა აქ გადაკეთებული“. (გვ. 81, სქოლიო).

მეორე ტიტული, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, გვხვდება ვახტანგ V-ის წერილში პოლონეთის მეფისადმი. მოვიტანოთ ნაწყვეტი: „უმაღლესი და უძლიერესი პრინცი, მეფე ქართლელთა, ლიხთიმერეთისა, ხევისა, ხევსურეთისა, ლვალთა, ფიდისა, ჟალიბის ხალხთა, რომლებიც უმაღლესი მთების იქით და აქეთ არიან და ყველა იმ დასახლებულ ადგილთა, რომლებიც იქაა“.[2]

ორივე ეს ტიტული, როგორც „ტურბანთა“, ისე „ჟალიბისა“ უდავოდ დამახინჯებულია. ანგარიში უნდა გაეწიოს იმ ფაქტს, რომ როგორც პირველი, ისე მეორე წერილის დედანი დაკარგულია (ყოველ შემთხვევაში ჯერჯერობით მიუწვდომელია).

წერილი კონსტანტინე მეფისა იზაბელა კასტილიელისადმი პროფ. ი. ცინცაძემ გამოაქვეყნა ძველი რუსული თარგმანების მიხედვით. ცხადია, ტექსტი დაუმახინჯებიათ XVII-XVIII საუკუნეთა რუს გადამწერებს. მაგალითად, დედანში როგორც ჩანს ეწერა: „(მეფე) მეგრელთა, აფხაზთა, იმერთა და სომეხთა, ქართველთა...“ XVII საუკუნის რუსულ პირში ვკითხულობთ:

**«(Царь) менкрельский имирейский и синохский, картенский...»**

იგივე დოკუმენტი ხელახლა გადაიწერა XVIII საუკუნეში. ახალ გადამწერს თარგმანი უფრო „დაუხვეწავს“:

**«(Царь) Гименгрельской а Пхазский и Мирейский Синохский, Кафетский...»**

როგორც ვხედავთ, „მენკრელები“ „გიმენგრელებად“ ქცეულან, „აპხაზების“ წინ „ა“ ჩამოუშორებიათ და „პხაზებად“ გადაუქცევიათ, ასევე ჩამოუშორებიათ „იმირეისკის“ წინ „ი“ (როგორც ჩანს კავშირ „და“-დ მიიჩნიეს) და „მირეისკი“ დაუტოვებიათ, ხოლო „კარტეისკი“ კი „კაფეტსკი“-დ გარდაუქმნიათ.

თუ გადამწერმა ასე დაამახინჯა რუსულად უკვე თარგმნილი ტექსტი, ადვილი წარმოსადგენია, როგორ თარგმნიდნენ ისინი იმავე დოკუმენტს ბერძნულიდან (კონსტანტინემ წერილი ბერძნულად გაუგზავნა იზაბელას).

მეორე წერილი მოტანილი აქვს თავის ცნობილ ნაშრომში ჟან შარდენს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს წერილი ითარგმნა ჯერ ფრანგულად, შემდეგ კი, შარდენის მიხედვით, ქართულად. აღსანიშნავია, რომ გეოგრაფიული სახელწოდებანი ჟან შარდენს თავის თხზულებაში უმეტეს შემთხვევაში დამახინჯებულად აქვს გადმოცემული.

ზემოდასახელებული დოკუმენტების განხილვისას ისიცაა საინტერესო, რომ ქართველ მეფეთა ტიტულაცია მეტად გადატვირთულია და ამასთან საკმაოდ სცილდება სინამდვილეს. კონსტანტინე დიმიტრის ძე ქართლის მეფე იყო. სწორედ მის დროს მოხდა საქართველოს სამეფოებად დაყოფის იურიდიული გაფორმება. 1490 წელს მან დარ[illegible] მოიწვია, რათა გადაეჭრა საკითხი, როგორ აღედგინათ ერთიანი საქართველო, მაგრამ დარბაზმა არ ურჩია მას ასეთი ბრძოლის დაწყება. ის, რაც ფაქტიურად უკვე მომხდარი იყო, დარბაზმა ოფიციალურად დაადასტურა.[3]

ასე რომ, ტიტული „მეფე სრულიად ივერთა, ჯიქთა, მეგრელთა, აფხაზთა, სომეხთა“ და სხვა — კონსტანტინეს სრულიად არ შეეფერება, იგივე შეიძლება ითქვას ვახტანგ V-ის (შაჰ-ნავაზის) მიმართაც. ვახტანგიც ისევე როგორც კონსტანტინე, ქართლის მეფე იყო, დასახელებულ წერილში მოტანილი ტიტულაციით კი გვევლინება სამი დიდი ტომის სენიორად, მცხეთის მფლობელად, იგი ყოფილა თურმე „მეფე იმერიისა, მუხრანისა, თრიალეთისა, ტაშირისა, სომხეთისა, შანშისა, შარვანშისა და მრავალ სხვა სამეფოის, რომელთაც იგი სრული და მტკიცე ავტორიტეტით ფლობს და რომლებზედაც სრულუფლებიანად ბატონობს“. ან კიდევ — „უძლეველი მეფეთა მეფე, უდიდესი სენიორი შანავაზხანი“.[4]

ცხადია, მუხრანი, თრიალეთი და ტაშირი სამეფოებად ვერ ჩაითვლება, ხოლო სხვა დასახელებულ ტერიტორიებზე კი შაჰ-ნავაზს ხელი არ მიუწვდებოდა. აღსანიშნავია, რომ გვიან შუა საუკუნეების საქართველოს მეფე-მთავრებისათვის საერთოდ დამახასიათებელია ამგვარი გაზვიადებული ტიტულები.

თუ დავაკვირდებით ვახტანგ V-ის წერილში მოხსენებულ „ჟალიბს“, შევამჩნევთ მის საოცარ მსგავსებას ქართველურ სატომო სახელ „ხალიბთან“. მართალია, ამ ორ ტერმინს შორის დიდი ქრონოლოგიური მანძილია, მაგრამ ჩვენ მაინც შესაძლებლად მიგვაჩნია მათი იდენტურობა.

XVII საუკუნეში არათუ საქართველოში, არამედ მთელ კავკასიაშიც არ გვეგულება ტომი, რომელიც „ჟალიბის“ სახელს ატარებდეს. თავკიდური „ჟ“ ევროპელთათვის ძნელად გამოსათქმელ ბგერას უნდა გამოხატავდეს. ძნელია თქმა აქ „ხ“ ბგერის დამახინჯებასთან გვაქვს საქმე, თუ „ქ“ ბგერისა (ხალიბი, ქალიბი), მაგრამ ეს ჩვენს ვარაუდს ვერ შეცვლის, ვინაიდან ხალიბი ქართულ მწერლობაში „ქალიბელნი“-ს ფორმითაც გვხვდება.

ასევე ძველი წარმოშობისაა ტერმინი „ტურბანი“, რომელიც იზაბელასადმი გაგზავნილ წერილში გვხვდება. ჩვენი აზრით, აქ „ტუბრანი“ უნდა ეწეროს. ეს „ტუბრან“-იც ძველი ქართველური ტომის სახელია. ჩვენ ამ ტერმინში თუბალ-თაბალ-ტიბარენის რიგის სატომო სახელი უნდა ვიცნოთ.[5] ცნობილია, რომ ეს სატომო სახელი გვხვდებოდა ვარიანტებით: ტიბრან, ტიბარენ, ტიბარან, ტიბარ, ტაბალ, თუბალ და ა. შ.. მათი ფუძეა თაბა-ტაბა, რაც ტბას, ზღვას ნიშნავს. ამავე ფუძესთან უნდა გვქონდეს საქმე „ტუბრანში“. ჩანს, რუსმა გადამწერმა ბანსა და რაეს ადგილი შეუცვალა და ტუბრანის ნაცვლად ტურბანი დაწერა. მართლაც, რუსული გამოთქმისათვის ტურბანი უფრო ასატანია, ვიდრე ტუბრანი.

გავარკვიოთ, რა მიზნით იქნა შეტანილი კონსტანტინეს წერილში „ტუბრანი“, ხოლო ვახტანგის წერილში „ხალიბი“. ცხადია, იმის წარმოდგენაც არ შეიძლება, რომ შუა საუკუნეებში არსებობდა ამგვარი სახელწოდების ტომები. ეს სახელი ალბუთ პერიოდისათვის უეჭველად მწიგნობრული წარმოშობისაა. ამგვარი გაზვიადებული ტიტულატურა გამოყენებული იყო შორეული ქვეყნების მეფეთა თვალში ავტორიტეტის ასამაღლებლად. [illegible] იყო სიმრავლე ტიტულებისა და მეფეთა მწიგნობრებმა არა მარტო ისეთი პოლიტიკური ერთეულების სახელწოდებები შეიტანეს, რომლებიც მათ არ ემორჩილებოდათ, არამედ მუხრანი, თრიალეთი და ტაშირიც სამეფოებად გამოაცხადეს და ამასთან ისეთი ტომების სახელები შეიტანეს, რომლებიც უკვე დიდი ხანია აღარ არსებობდნენ.

საინტერესოა კიდევ ერთი საკითხი. იცოდნენ კი შუა საუკუნეთა საქართველოში რაიმე ისეთი შორეულ წარსულში მცხოვრები ტომების შესახებ, როგორებიც ტუბრანები და ხალიბები იყვნენ? როგორც ჩანს იცოდნენ და იცოდნენ არა მარტო მათ შესახებ, არამედ ძველი მსოფლიოს მრავალი ხალხის შესახებაც. ქართულად თარგმნილი იყო „ხალხთა წარმოშობის წიგნი“ (ე. წ. Liber Generationis), რომელშიც მოხსენებული არიან ძველი სამყაროს მრავალი ხალხები. მოვიტანოთ ნაწყვეტი ამ შრომიდან:

„მესტრაენისაგან (არიან) ლოდიმელნი და ელამიტელნი და საბიმიელნი და ნეფთალემელნი და პატრუსიმელნი და ქასიპომისელნი და ფილისტიმელნი, ფინიკელნი, მარმარიტელნი, კარელნი, მოსინელნი, მაკედონნი, სვირტინელნი, ლებტიტელნი, მეკარვენი, ლიკელნი, მარიანდონელნი, პანფინელნი, პისიდელნი, ავლანელნი, კრიტელნი, მაგარდელნი, ნუმიდელნი, აფრიკელნი, ნასამონელნი, ფასგინელნი, მარზიკენი, კარამელნი, გეტულელნი, ელემიონნი, აქსუმიტელნი“.[6] შემდეგ მოხსენებულნი არიან „გალატელნი, მარიანდელნი, ტიბრანელნი, ქალიბელნი, მოსვინიკელნი“.[7] მეტად საინტერესოა ფორმა „ტიბრან“, რაც ტუბრანს ძალიან უახლოვდება. იმავე წყაროში მოხსენებულნი არიან ძველი ქვეყნები და ხალხები — ტროა, ფრიგია, კარია, სკვითია, ატიკა, აქაია (აქეელთა ქვეყანა?), პელადგონე ადრიატიკისაი (პელასგები?).

არ არის გამორიცხული, რომ შუა საუკუნეთა ქართველ მწიგნობრებს ჩვენთვის უცნობი, სხვა ცნობებიც ჰქონოდათ.

ცხადია, ამ ტერმინების ჩვენებური ახსნა ამომწურავი და საბოლოო არ არის. ასეთი ოფიციალური უზუსტობანი, ვფიქრობთ, უცხოეთის ქვეყნებთან მიმოწერაში უნდა ვეძებოთ. მოსაძებნია სხვა დოკუმენტებიც, სადაც ტიტულებად ძველი ქართული ტომების სახელები იქნება მოხსენებული.

ამგვარად, მეფეთა ეს წერილები და შიგ დასახელებული ტიტულები ორი მხრივ არიან საყურადღებონი:

1. როგორც ისტორიული დოკუმენტები, ესპანეთთან და პოლონეთთან საქართველოს ურთიერთობის მაჩვენებელნი.

2. ეს დოკუმენტები კიდევ ერთხელ ამტკიცებენ იმ აზრს, რომ შუა საუკუნეთა ქართველებმა ბევრი რამ იცოდნენ თავიანთი წინაპრებისა და ძველი მსოფლიოს ხალხების შესახებ.

---

[1] ი. ცინცაძე — მასალები პოლონეთისა და საქართველოს ურთიერთობის ისტორიისათვის; თბილისი, 1965, გვ. 81.

[2] იქვე, გვ. 99.

[3] დ. გვრიტიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, ტ. II, გვ. 145-146.

[4] ი. ცინცაძის დასახ. ნაშრ. გვ. 98. იხ. შარდენის თხზულების ნაწყვეტის თარგმანი.

[5] იხ. ამ ტომების შესახებ ს. ჯანაშია — თუბალ-თაბალი, ტიბარენი, იბერი; შრომები, ტ. III, თბილისი, 1959.

[6] კ. კეკელიძე — ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განსახლების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში, ეტიუდები... ტ. I, გვ. 171.

[7] იქვე, გვ. 172, აღსანიშნავია მოსვინიკელთა მოხსენიება ტიბრანელთა და ქალიბელთა გვერდით. მოსინიკები ანუ მოსვინიკელნი ასევე ძველი ქართველური ტომია.

# უფავორიტო პაექრობა

მსოფლიოს ერთ ჩემპიონატს მეორისაგან ოთხი წელი აშორებს. მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს ამ ხნის განმავლობაში ფეხბურთის სამყარო მოწყენილია. პირიქით, ერთმანეთს მისდევენ ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშება, თასების მფლობელთა თასი, ასეთივე შეჯიბრები სამხრეთ ამერიკაში, მატჩები „საკონტინენტთაშორისო თასზე", სამხრეთ ამერიკის პირველობა, პანამერიკული ჩემპიონატი.

ეს ასეა, მაგრამ ვერც ერთი მათგანი ვერ შეედრება ევროპის პირველობას, რომელიც თავისი შემადგენლობითა და მნიშვნელობით თითქმის არც კი ჩამოუვარდება მსოფლიო ჩემპიონატს. ეს შეჯიბრება წელს, 7 ოქტომბერს დაიწყო და 1972 წლის ზაფხულამდე გასტანს. ახლა მიმდინარეობს ბრძოლა 8 შესარჩევ ჯგუფში.

## 1. მთელი ნაკრები დათხოვნილია

მსოფლიო პირველობის დაწყებამდე ჩეხოსლოვაკიის ნაკრები ოქროს მედლების ერთ-ერთ პრეტენდენტად ითვლებოდა, მაგრამ მან არნახული მარცხი იწვნია — სამივე მატჩი წააგო შესარჩევ ქვეჯგუფში! ასეთ შემთხვევაში ჯოხი მწვრთნელზე გადატყდება ხოლმე. ასეც მოხდა. იოზეფ მარკოს ნაკრების სადავეების დათმობა მოუხდა. იგი ანტონინ რიგრმა შეცვალა, რომელმაც აიღო და დაითხოვა მთელი ადრინდელი ნაკრები! ასეთი რადიკალური ღონისძიება არც ერთ ქვეყანაში არ განუხორციელებიათ. ძნელი სათქმელია, რა შედეგები მოჰყვება რიგრის ამ გადაწყვეტილებას. ყოველ შემთხვევაში, ახალგაზრდა ჩეხოსლოვაკიელი ფეხბურთელები გარკვეულ დროს საჭიროებენ ოსტატობის დასახვეწად. მათი მეტოქეები არიან რუმინელები, უელსელები და ფინელები. ფინური ფეხბურთის დონე, იმის მიუხედავად, რომ აქ ადრე მრავალი უცხოელი მწვრთნელი მოღვაწეობდა (მათ რიცხვში საბჭოთა სპეციალისტები ა. პონომარიოვი და ვ. სოლოვიოვი), ჯერჯერობით არ არის მაღალი. უელსის ნაკრებისათვის დიდი ბრიტანეთის ფეხბურთის მესვეურები ყოველთვის „დედინაცვლები" იყვნენ; ისე რომ, ჩეხოსლოვაკიელთა ძირითად მეტოქეებად შესარჩევ ჯგუფში რუმინელები უნდა მივიჩნიოთ. ამ ქვეყნის ნაკრები ახლა ისე კარგად თამაშობს, როგორც არასოდეს.

ამ ჯგუფში მოსალოდნელია მძაფრი შეჯახება ჩეხოსლოვაკიელებსა და რუმინელებს შორის. ამ ბრძოლაში უელსელებიც მიიღებენ მონაწილეობას. დიდი ორგანიზაციული სიძნელეების მიუხედავად, უელსის ნაკრებს „ძალი შესწევს ქიღილისა". ფინელები სამივეს ჩამოუვარდებიან, მაგრამ მათაც შეუძლიათ სიურპრიზი აჩვენონ მაყურებელს.

## 2. საჭიროა მეკარე!

წლების განმავლობაში ფლორიან ალბერტი არა მარტო უნგრეთის ნაკრების კაპიტანი იყო, არამედ რესპუბლიკის დეპეშათა სააგენტოს წამყვანი საფეხბურთო მიმომხილველიც. ამ სააგენტოს სპორტული რედაქციის ხელმძღვანელი იოჟეფ ჰოფერი ალბერტს მუდამ ხოტბას ასხამდა, როგორც ჟურნალისტს. რაც შეეხება ალბერტის საფეხბურთო ოსტატობასა და სტილს, ამის შესახებ ჰოფერს, თურმე ნუ იტყვით, სულ სხვაგვარი აზრი ჰქონდა, მაგრამ გარკვეულ დრომდე მას არავის უზიარებდა.

გავიდა ხანი. ჰოფერმა სპეციალობა შეიცვალა და დაინიშნა უნგრეთის ნაკრების ხელმძღვანელად! ახალ ნაკრებში ალბერტისათვის აღარ აღმოჩნდა ადგილი, რადგან, ჰოფერის აზრით, მას აშკარად აკლია ბრძოლისუნარიანობა. „დიახ, როგორც საფეხბურთო მიმომხილველი, ალბერტი ჩინებულია. წეროს კიდეც, სადაც სურს!" შემდეგ ჰოფერმა განმარტა, რომ იგი არც ერთ მოთამაშეს არ აძლევს მოედანზე დოინჯის შემოყრის ნებას.

ნაკრების ადრინდელ ხელმძღვანელ კაროი შოოშისათვის ყოველი თამაშის წინ თავსამტვრევი საკითხი იყო: ალბერტზე აეღო გუნდს თავდასხმის აქცენტი თუ ბენეზე? ახლა ეს საკითხი აღარ არსებობს. ნაკრებში ხომ მხოლოდ ბენე დარჩა!

შესარჩევ ჯგუფში უნგრელების მეტოქეები არიან ბულგარელები, ფრანგები და ნორვეგიელები. რა თქმა უნდა, იოლი როდია ბულგარელებისა და ფრანგების ძლევა, მაგრამ წინასწარ უპირატესობა მაინც უნგრელებს უნდა მივანიჭოთ. ამ გუნდის ყველა რგოლი გვარიანი ოსტატებითაა დაკომპლექტებული. ვერ მოინახა მხოლოდ საიმედო მეკარე. ასეთი საკითხი ახლა თითქმის არავისთვის არსებობს ევროპაში, უნგრელები კი, დახეთ ბედის უცნაურობას, ვერსად ნახულობენ მეკარეს, 1958 წლიდან მოყოლებული, როდესაც თამაშს თავი დაანება დიულა გროშიჩმა! მაშ ასე, საჭიროა მეკარე!

## 3. „ამაყი ალბიონი" შეშფოთებულია

მექსიკის მსოფლიო ჩემპიონატის ცხარე დღეებში, როდესაც ინგლისელებმა საკმაოდ მოულოდნელი მარცხი იწვნიეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებისაგან, ალფ რამსეიმ დეპეშა მიიღო პრემიერ-მინისტრ ვილსონისაგან. ვილსონი, რომელიც ფეხბურთის დიდი გულშემატკივარია, მწვრთნელს ამშვიდებდა, წერდა, რომ იგი არავითარ შემთხვევაში არ შეეწირებოდა დროებით მარცხს, კვლავაც დარჩებოდა ნაკრების სათავეში. ეს გამართლდა კიდეც, თუმცა რამდენიმე დღის შემდეგ თვით ვილსონი აღარ დარჩა მთავრობის სათავეში! რამსეის საშუალება მიეცა კვლავ იმუშაოს ნაკრებთან და მოაცილოს მას „მეხიკოს ლაქა".

რა თქმა უნდა, მსოფლიო ჩემპიონობის დაკარგვამ „ამაყი ალბიონი" შეაშფოთა, მაგრამ ბრაზილიელებმა ისე დამაჯერებლად მოიპოვეს ოქროს მედლები, რომ თვით რამსეიმაც კი აღიარა მათი უპირატესობა. სულ სხვა საკითხია, რომ მწვრთნელს მისი გუნდი ევროპაში უძლიერესად მიაჩნია. მაგრამ ამას კიდევ უნდა დამტკიცება. როგორც ინგლისელი მიმომხილველები მიიჩნევენ, გუნდი ერთგვარად გადახალისდება. ვეტერანებისა და ახალგაზრდების „შედუღაბების" შედეგად მსოფლიოს ექსჩემპიონები ახალი ძალით უნდა ათამაშდნენ. კვლავ მწყობრში არიან გორდონ ბენქსი, ბობი მური, ბობი ჩარლტონი, ჯეფრი ჰერსტი, ალან ბოლი, ფრენსის ლი, პიტერ ოსგუდი...

ასე თუ ისე, ინგლისელებმა შესარჩევ ჯგუფში უნდა დასძლიონ შვეიცარიელების, ბერძნებისა და მალტელების წინააღმდეგობა. მართლაც და წარმოუდგენელია, რომ ამ ჯგუფიდან ინგლისელები ვერ მოხვდნენ ფინალში.

## 4. ვარდები და მუჯლუგუნები

იყო დრო, როდესაც ესპანეთის ნაკრებს ვარდებით ხვდებოდნენ. დი სტეფანოსა და ჰენტოს მაღალი ოსტატობა ყველა კონტინენტის გულშემატკივრებს ხიბლავდა, მაგრამ როდესაც ამ ვირტუოზებმა ნაკრები დასტოვეს, შემცვლელი არსად აღმოჩნდა. ვარდები „მუჯლუგუნებმა" შეცვალეს. ესპანელების ნაკრები მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში ვერ მოხვდა, იგი მეორეხარისხოვანი კოლექტივის დონემდე დაქვეითდა. ეს ამბავი როდი შეესატყვისებოდა ესპანეთში ფეხბურთის დიდ პოპულარობას, სადაც მან ხარებთან ბრძოლაც კი შეავიწროვა. ნაკრების სათავეში ჩააყენეს გამოჩენილი სპეციალისტი, საერთაშორისო „ლანდსკნეხტი" ლადისლაო კუბალა, ფრიად თავისებური ფიგურა თანამედროვე ფეხბურთში.

კუბალა ეროვნებით სლოვაკია, თუმცა ბუდაპეშტში დაიბადა. დაწინაურდა ბრატისლავაში; იგი არაერთხელ გამოსულა ჩეხოსლოვაკიის ნაკრებში, შემდეგ უნგრეთში გადავიდა და იქაურ ნაკრებშიც თამაშობდა. თავისი კარიერა კუბალამ ესპანეთში დაასრულა, სადაც ბოლო წლებში ნაკრებშიც გამოდიოდა. ერთი კაცი რომ სამი ქვეყნის სპორტულ ღირსებას იცავდეს, ასეთი რამ ფეხბურთის ისტორიას არ ახსოვს.

სწორედ კუბალას მიერ შედგენილი ესპანეთის ნაკრები (მის ნამდვილ ძალაზე ახლა ძნელია ლაპარაკი) იქნება საბჭოთა ფეხბურთელების მთავარი მეტოქე მეოთხე შესარჩევ ჯგუფში. იქვე გამოდიან ჩრდ. ირლანდიელები და კვიპროსელები, მაგრამ ისინი ნაკლებ საშიშად უნდა მივიჩნიოთ. საქმე ისაა, რომ ჩრდ. ირლანდიის ნაკრები ფაქტიურად არ არსებობს. შემთხვევიდან შემთხვევამდე, როდესაც რაიმე საერთაშორისო შეჯიბრება მოახლოვდება, მწვრთნელ ბილ ბინგჰამს ევალება ორიოდე დღით ინგლისის პროფესიულ კლუბებში გაფანტული ჩრდ. ირლანდიელი ფეხბურთელების თავმოყრა. ისინი მრავლად არიან და ოსტატობის მაღალი დონითაც გამოირჩევიან (მარტო ჯორჯ ბესტი რად ღირს!), მაგრამ, გასაგებია, რომ ჩრდ. ირლანდიის ნაკრები გახლავთ ისეთი „ორკესტრი", რომელიც ხშირად ყალბად „უკრავს". კიდევ უფრო სუსტია კვიპროსის ნაკრები, სადაც არც ერთი „ვარსკვლავი" არ არის.

რა თქმა უნდა, საბჭოთა ფეხბურთელებს კარგი შანსები აქვთ გავიდნენ ევროპის ჩემპიონატის ფინალში. ასეთივე შანსები აქვთ ესპანელებსაც და, ამასთან, არც ჩრდ. ირლანდიის ნაკრებს სურს იყოს „ზედმეტი მესამე".

## 5. ეისებიო და მისი პარტნიორები

ფეხბურთის ისტორიას თავდამსხმელთა არაერთი ჩინებული დუეტი ახსოვს. უდავოდ მათ რიცხვში იყვნენ ეისებიო და ტორესი, რომლებმაც 1966 წელს პორტუგალიის ნაკრების შემადგენლობაში დიდი სახელი მოიხვეჭეს ინგლისის ფეხბურთის მოედნებზე და ბრინჯაოს მედლებსაც დაეუფლნენ.

გავიდა დრო. მუხლის ურთულესმა ოპერაციამ ეისებიო მწყობრიდან გამოიყვანა. ახოვანი ტორესი თუმცა თამაშობდა, მაგრამ უწინდელის აჩრდილი იყო; და როდესაც ეისებიო მოედანს დაუბრუნდა, ვეღარ გაუწია მას უწინდელი პარტნიორობა. ეს დაეტყო პორტუგალიის ნაკრებსაც. მან ვერ შეძლო მექსიკაში გამგზავრების უფლების მოპოვება, გუნდი ამჟამად ახლად იქმნება, მისი სული და გული კვლავ ეისებიოა, რომელმაც აღიდგინა ადრინდელი ფორმა. „შავი ჯიქი" კვლავ ჯიქურ მიიწევს მეტოქის კარისაკენ.

მრავალი ქვეყნის გულშემატკივრები ისევ „ძველი კატეგორიებით" მსჯელობენ, ვერ შეძლეს ტორესის დავიწყება. საკმარისია პორტუგალიის ნაკრები ან ლისაბონის „ბენფიკა" სადმე ჩავიდეს, გულშემატკივრები მხოლოდ ერთ რამეს ეკითხებიან მწვრთნელებს: „სად არის ტორესი?" ამას წინათ „ბენფიკას" მწვრთნელმა, ინგლისელმა ჯიმი ჰაგანმა ვეღარ მოითმინა და შეჰყვირა: „რას გააწყალეთ გული ამ ტორესით! იგი სათადარიგო მოთამაშეა და სხვა არაფერი".

მეხუთე შესარჩევ ჯგუფში პორტუგალიელებს საკმაოდ ძლიერი მეტოქე-

# „როცა კითხულობ რუსთაველს“...

ახლახან მოსკოვის გამომცემლობა „იურიდიჩესკაია ლიტერატურამ“ დაამთავრა ანატოლი ფეოდორის ძე კონის (1844-1927) თხზულებათა რვატომეულის გამოცემა.

ორიოდე სიტყვა იმაზე, თუ ვინ იყო კონი.

ეს იყო გამოჩენილი იურისტი, მწერალი და მოაზროვნე, თავისი დროის უაღრესად განათლებული ადამიანი, აკადემიკოსი, ლ. ტოლსტოის, ფ. დოსტოევსკის, ი. ტურგენევის, ნ. ნეკრასოვის ახლო მეგობარი; საკმარისია თუნდაც იმის აღნიშვნა, რომ ლევ ტოლსტოის მისმა ნაამბობმა დააწერინა „აღდგომაც“ და „ცოცხალი ლეშიც“. პეტერბურგის სამოსამართლო პალატის თავმჯდომარედ ყოფნის დროს მან გამოიჩინა გასაოცარი გაბედულება — გამამართლებელი განაჩენი გამოუტანა ვერა ზასულიჩს, რომელმაც ტყვია ესროლა პეტერბურგის ქალაქის თავს — გენერალ ტრეპოვს. ამით კონიმ მთელი რეაქციული ძალების და თვით იმპერატორ ალექსანდრე მესამის აღშფოთება გამოიწვია. ერთხანს ის სრულიად ჩამოაშორეს იურიდიულ საქმიანობას, მაგრამ შემდეგში იძულებულნი გახდნენ დაენიშნათ სენატის ობერპროკურორად და უმაღლესი სახელმწიფო საბჭოს წევრად.

კონი არ იყო რევოლუციონერი, მაგრამ მუდამ თანაგრძნობით ეპყრობოდა თავისუფლებისათვის მებრძოლ ადამიანებს. ამიტომაც იყო, რომ ოქტომბრის რევოლუციის შემდეგ ის მხარში ამოუდგა თავის ხალხს, რომელიც ის იყო იწყებდა ახალი ქვეყნის შენებას...

ა. ფ. კონის ზემოხსენებული რვატომეულის მე-8 ტომში (გვ. 309) შეტანილია წერილი, რომელიც მას გაუგზავნია გამოჩენილი ქართველი მსახიობისა და დრამატურგის, „ღალატის“ ავტორის ალექსანდრე სუმბათაშვილ-იუჟინისათვის 1920 წლის 19 ივლისს. მოგვყავს ეს წერილი მცირეოდენი შემოკლებით:

**„ღრმადპატივცემულო ალექსანდრე ივანეს-ძევ!**

**მე მინდა გამოვხატო ჩემი ულრმესი აღტაცება პოეტ რუსთაველის წინაშე, რომლის პოემა ეს-ესაა წავიკითხე („ვეფხისტყაოსანი“, თარგმანი ბალმონტისა). როგორი საოცარი მუსიკაა, როგორი ორიგინალური ლექსია, როგორი სინაზეა აზრისა და გამოთქმის ხატოვანება! და ყველაფერი ეს XII-XIII საუკუნეების მიჯნაზე. მე ისღა დამრჩენია შურით შევცქეროდე თქვენს სამშობლოს, რომელსაც ასეთ შორეულ წარსულში ასეთი პოეტი ჰყავდა. როცა რუსთაველს კითხულობ და ამასთან იხსენებ ჩვენს დეკადენტებს, ასე გეჩვენება თითქოს ოთახში, სადაც შეხუთული ჰაერი იყო, სადაც სუნთქვა აღარ შეიძლებოდა, უცებ გაალეს ფანჯარა, საიდანაც შემოიღვარა სუფთა გამაცოცხლებელი ჰაერი და მასთან ერთად შემოიჭრა ბდღვიალა სინათლის შუქი.**

**ახლა ვფიქრებ იმაზე, თუ როგორ ვიპოვო მომხსენებელი რუსთაველზე ჩვენი უახლოესი შეკრებისათვის, რათა ახლოს გავაცნო ჩვენი წრის წევრებს ეს ულრმესი ნიჭის ჰუმანისტი პოეტი.**

**მაპატიეთ, რომ გართმევთ დროს ჩემი გულიდან წამოსული ამ სტრიქონების საკითხავად, მაგრამ არ შემიძლია ეს არ გავაკეთო.**

**სულით და გულით თქვენი ერთგული ა. კონი“.**

რუსთაველის გენიალურმა პოემამ ახლა მთელ მსოფლიოში გაიკვლია გზა და გვერდით დაუდგა ადამიანის აზრისა და გრძნობის ყველაზე დიდ ქმნილებებს. მაგრამ ამ ორმოცდაათი წლის წინ, საქართველოს გარეთ, მას ცოტანი იცნობდნენ, მით უფრო საგულისხმოა ა. ფ. კონის ეს პატარა ბარათი.

**ლეილა კახიანი**

---

**ები ჰყავთ ბელგიელებისა და შოტლანდიელების სახით (დანიელები ამ სამეულს ბევრად ჩამოუვარდებიან), მაგრამ ერთგვარი წინასწარი უპირატესობა მაინც ესპანელებსა და მის გუნდს უნდა მივაკუთვნოთ.**

## 6. „ამას ხომ წაგება სჯობდა!“

**ბევრი საუცხოო ოსტატი ჰყავს იტალიას (ამ მხრივ ეს ქვეყანა მხოლოდ ბრაზილიას თუ ჩამოუვარდება). საკმარისია დავასახელოთ ალბერტოზი, ბურგნიჩი, ფაკეტი, დე სისტი, მაცოლა, დომენგინი, „ოქროს ბურთის“ ლაურეატი რივერა. მაგრამ დღეისათვის ვერც ერთი მათგანი პოპულარობით ვერ შეედრება რივას, რომელსაც მიმომხილველები „ფენომენს“ უწოდებენ.**

**როდესაც იტალიელები ვენის „პრატერ-შტადიონს“ სტოვებდნენ ავსტრიელებთან მატჩის შემდეგ, ყველა ფეხბურთელს ცხვირპირი ჩამოსტიროდა. ისინი დამარცხებულებს ჰგავდნენ, თუმცა სინამდვილეში მოიგეს ანგარიშით 2:1. საქმე ისაა, რომ რივამ ფეხი მოიტეხა. მწვრთნელ ფერუჩიო ვალკარეჯის სრულიადაც არ ახარებდა გამარჯვება. მან განაცხადა: „ამას ხომ წაგება სჯობდა! ჩვენ სიამოვნებით დავტოვებდით ორ ქულას ვენაში, ოღონდ რივას არაფერი შემთხვეოდა!“**

**რივა რივაა, მაგრამ იტალიის ნაკრები მის გარეშეც საკმაოდ ძლიერია. ამაზე თუნდაც ის გარემოება მიუთითებს, რომ გუნდში საკმაოდ იშვიათად გამოდის ისეთი საუცხოო ოსტატიც კი, როგორიც რივერაა. „ნაკრები და რივერა“ — ეს საკითხი არა სცილდება იტალიური გაზეთების ფურცლებს. გულშემატკივრები უკმაყოფილონი არიან, რომ მათ საყვარელ ფეხბურთელს ასე ხშირად „ასვენებენ“, მწვრთნელები აღნიშნავენ, რომ რივერა ყოველთვის როდია სათანადოდ მომზადებული ფიზიკურად. თვითონ ფეხბურთელი არ ეთანხმება მწვრთნელებს და ამბობს, რომ მას „შარს სდებენ“.**

**იტალიელებთან ერთად შესარჩევ ჯგუფში გამოდიან ავსტრიელები, შვედები და ირლანდიელები. აუტსაიდერებად მიჩნეულმა ირლანდიელებმა პირველივე მატჩში სიურპრიზი შემოგვთავაზეს — ფრედ (1:1) ითამაშეს შვედებთან. ავსტრიის ნაკრები უკვე კარგა ხანია აღარ შედის ევროპის უძლიერესი გუნდების პირველ ათეულში, თუმცა ამ ქვეყანაში ახლა სათანადო ნაბიჯები გადაიდგა მდგომარეობის გამოსასწორებლად. შვეციის ნაკრებიც მსოფლიო ჩემპიონატის შემდეგ საკმაოდ გადახალისდა.**

**თუ ამ ჯგუფში რაიმე დიდი სენსაცია არ მოხდა, ფინალში უნდა გავიდნენ ევროპის ჩემპიონები და მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის მედლის მფლობელები — იტალიელები.**

## 7. სამი პრეტენდენტი და...

**მეშვიდე შესარჩევ ჯგუფში ისეთი მდგომარეობაა, რომ დელფოს მისანიც კი თავს შეიკავებდა წინასწარმეტყველებისაგან. აქ თამაშობენ იუგოსლავიის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის გუნდები.**

**ძირითად ფავორიტად თითქოს იუგოსლაველები უნდა მივიჩნიოთ, რომლებიც ევროპის ვიცე-ჩემპიონები არიან. უსაფუძვლო როდი იყო იუგოსლავიელი (და არა მარტო იუგოსლავიელი) მიმომხილველების განცხადება, რომ 1968 წელს რომში ამ გუნდს უფრო ეკუთვნოდა ევროპის ჩემპიონობა, ვიდრე „სკუადრა აძურას“.**

**იუგოსლავიის ფეხბურთს ახლაც დიდი სახელი აქვს მსოფლიოში. ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში თამაშობენ სკობლარი, გალიჩი, შოშკიჩი, რადენკოვიჩი და სხვები. საქვეყნოდ ცნობილი არიან მწვრთნელები ჩაიკოვსკი, ზებრეცი, ბობეკი, ვუკასი, მაგრამ ეს ხომ ოდნავაც არ უმსუბუქებს მდგომარეობას იუგოსლავიის ახლანდელ ნაკრებს, რომელსაც მიტიჩი ხელმძღვანელობს. თვით მიტიჩი, გასაგებია, საგონებელში ჩავარდა; ის ახალგაზრდა ფეხბურთელები, რომლებიც მან ნაკრებში შეიყვანა, ვერ ამართლებენ მიტიჩის იმედებს (გავიხსენოთ 0:4 მოსკოვში). ერთი რამ ცხადია, გუნდის შემადგენლობას მკვეთრი გადასინჯვა უნდა.**

**ჰოლანდიელები თავს იქებენ იმით, რომ მათმა „ფეიენოორდმა“ მსოფლიოს № 1 საკლუბო გუნდის „საკონტინენტთაშორისო თასი“ მოიპოვა. ახლა ეროვნული ნაკრების ბირთვს სწორედ ეს გუნდი შეადგენს. საკმაოდ ძლიერი ნაკრები შეიქმნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. ამ ნაკრების მთავარი იარაღია ტემპი და საბრძოლო შემართება. როცა ოთხი გუნდიდან ჯგუფში სამს დაახლოებით თანაბარი შანსები აქვს, გასაგებია, ძნელდება პროგნოზის გაკეთება.**

## 8. უცნაური დასაწყისი

**ევროპის ჩემპიონატი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფეხბურთელებმა უცნაურად დაიწყეს. სად მსოფლიო ჩემპიონატის მედალოსნები და სად თურქები! როდესაც ქ. კელნის მოედანზე სტუმრების წინააღმდეგ გამოვიდნენ მაიერი, ვებერი, ოვერატი, ბეკენბაუერი, მიულერი, გრაბოვსკი, ლიბუდა და სხვები, თითქოს ყველაფერი ნათელი იყო. მაგრამ საბოლოო ანგარიშით მასპინძლებმა ძლივს დააღწიეს თავი დამარცხებას (1:1).**

**ახლა კოლექტივი დასტოვა ორმა ცნობილმა ოსტატმა. 31 წლის კარლჰაინც შნელინგერმა უკვე ოთხ მსოფლიო ჩემპიონატში მიიღო მონაწილეობა. იგი ისევ იტალიაში თამაშობს („მილანში“) და ფრიად საეჭვოა, რომ კიდევ ოდესმე ჩაიცვას ნაკრების მაისური. რაც შეეხება 34 წლის უვე ზეელერს, რომელმაც ასევე ოთხჯერ ითამაშა (და თანაც როგორ ითამაშა!) მსოფლიო ჩემპიონატებში, იგი ოფიციალურად გამოეთხოვა ნაკრებს. შნელინგერი და ზეელერი ნაკრებში დიდ როლს ასრულებდნენ. მათი შემცვლელების ნახვა, რა თქმა უნდა, ძნელი ამბავია.**

**თუმცა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრები ის აღარაა, რაც მეხიკოში იყო, მაგრამ ეტყობა, მაინც სწორედ იგი გავა ევროპის პირველობის ფინალში პოლონეთის, თურქეთისა და ალბანეთის ნაკრებებთან ბრძოლაში.**

**სამწლიან მარათონს მხოლოდ ამასწინად მიეცა სტარტი. 1972 წლის დასაწყისისათვის მას მრავალრიცხოვან მონაწილეთაგან მხოლოდ რვაღა დარჩება, იმავე წლის ზაფხულში კი 4 უძლიერესი იბრძოლებს ევროპის ჩემპიონის გამოსავლენად.**

**გივი გამრეკელი**

ვანო ბურდულაძე

# პროკურორის ჩანაწერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტორისაგან

**ოცდაათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვმუშაობდი სასამართლოსა და პროკურატურის დაწესებულებებში. ამ ხნის მანძილზე მრავალი საქმის გარჩევა მომიხდა, ბევრი რამ ვნახე და განვიცადე. ახლა მინდა მკითხველს მოვუთხრო ცალკეულ ეპიზოდებზე, რომლებიც, ჩემი აზრით, ერთგვარ ინტერესს შეიცავენ.**

**ჩემი მიზანია გამოცდილება გავუზიარო ახალგაზრდა მუშაკებს, რომლებიც სამართლის დარგში მოღვაწეობენ, ან მუშაობის დაწყებას აპირებენ, ხოლო რაც მთავარია, ავაცდინო დანაშაულს გზააბნეული ადამიანები.**

**გასაგები მიზეზების გამო სოფლების სახელები და ადამიანების გვარები გამოცვლილია.**

## მოძალადის ოინი

წნორისწყალი ერთი პატარა დაბაა ალაზნის ველზე, ცივ-გომბორის მთების ძირში. იმ ხანებში იქ მიხდებოდა მუშაობა.

ერთ დღეს ჩემს კაბინეტში შემოვარდა ახალგაზრდა ქალი.

— მიშველეთ, დამეხმარეთ! — წამოიძახა მან და უგონოდ დაეცა იატაკზე.

კაბა შემოხეული ჰქონდა, დაკაწრული იყო, სახე შეშლილს უგავდა.

გონს მოვიყვანეთ, ვცადეთ დაგვემშვიდებინა. გვითხრა თავისი ვინაობაც და თავისი უბედურების ამბავიც.

მეზობელ რაიონიდან იყო. იმ დღეს თურმე თბილისიდან ბრუნდებოდა შინ. მატარებელი წნორის სადგურში რომ გაჩერდა, რუსუდანი — ასე ერქვა ამ ქალს, — ბაქანზე ჩამოვიდა, სადაც შემთხვევით შეხვდა ერთი ნაცნობი აქაური კაცი — ზურაბ გოგიტაშვილი. მან შეიტყუა ქალი თავის სახლში და ნამუსი ახადა.

დაზარალებული შეამოწმა სამედიცინო ექსპერტმა, რომელმაც დაადასტურა, რომ ქალიშვილი გაუპატიურებული იყო.

სასწრაფოდ გავეცი განკარგულება დამნაშავის დასაპატიმრებლად და საქმე გადავეცი გამომძიებელს; ვიდრე ის ყველაფერს გაარკვევდა, მე შვებულებაში წასვლა მომიხდა. აგარაკიდან იმ დროს დავბრუნდი, როცა საქმე უკვე სასამართლოში ირჩეოდა.

და ახლა, პროცესზე, გაკვირვებული ვუსმენდი რუსუდანს, რომელმაც მთლიანად შეცვალა თავისი პირვანდელი ჩვენება. მან მშვიდად განაცხადა, რომ არავითარი ძალადობა არ ყოფილა, არავითარი გაუპატიურება, ყველაფერი ნებაყოფლობის ნიადაგზე მოხდაო. შემოხეული კაბისა და დაკაწრული სახის გამო მან აჩვენა, რომ ეს ყველაფერი მე თვითონ განზრახ მოვაწყე და ჩავიდინე, რადგან მინდოდა ზურაბს ცოლ-შვილი მიეტოვებია და მე წავეყვანე ცოლად; ახლა მიზანს მივაღწიე, და მიუხედავად იმისა, რომ ზურაბი დაპატიმრებულია, მე მისი ცოლი ვარ, ვცხოვრობ მის ბინაში, ცოლი კი გაეყარა მას და ცალკე ცხოვრობსო.

რუსუდანის სიტყვები დაადასტურა სამართალში მიცემულმა გოგიტაშვილმა და, წარმოიდგინეთ, მისმა ცოლმაც კი, რომელმაც განაცხადა: რაკილა ჩემს ქმარს რუსუდანი უყვარს და ის უნდა ცოლად, მე რაღა მეთქმის, ვცდილდები ჩემს ქმარსო.

სასამართლომ გოგიტაშვილი გაამართლა და პატიმრობიდანაც გაათავისუფლა.

მე განაჩენი შეუსაბამოდ ვცანი და პროტესტი დავწერე, მაგრამ იგი არ გაიზიარეს.

ორი თვეც არ იყო გასული სასამართლო პროცესის შემდეგ, რომ რუსუდანი კვლავ გამოცხადდა ჩემთან საჩივრით — ქმარმა და მისმა პირველმა ცოლმა გამომაგდეს ბინიდან და მითხრეს, საითაც გინდა, იქით წადიო.

ყველაფერი ნათელი იყო. ჩემი გუმანი გამართლდა: ვექილის საშუალებით, თუ სხვა გზით დაპატიმრებულ მოძალადეს და მის პირველ ცოლს შესაძლებლობა ჰქონდათ შეხვედროდნენ ერთმანეთს და გაეთამაშებინათ ეს სპექტაკლი, რათა ზურაბს სასჯელი ასცდენოდა. მათ მოილაპარაკეს, მერე რუსუდანი მოატყუეს და ჩვენება შეაცვლევინეს.

ბოლოს კი სახლიდან გამოაგდეს.

აი რა მოსდევს იმას, როცა სასამართლოს წინაშე ადამიანი გულწრფელი არ არის.

## თავსატეხი გამოცანა

კახეთის ერთ რაიონულ ცენტრში ვმუშაობდი, პროკურორის პოსტი მეჭირა. ერთ დღეს რაიკომის მდივანმა გამომიძახა, წერილების მთელი შეკვრა გადმომცა და მითხრა:

— ეს სულ ანონიმური წერილებია... ყოველ კვირა ვღებულობ, აღარ შემიძლია, მიშველე რამე, იქნებ გაარკვიო ვინ არის, რა უნდა, რას მერჩის, რამ გაამწარა ასე!

წამოვიღე და დავიწყე კითხვა. ვიღაც ენით გამოუთქმელი უწმაწური სიტყვებით აგინებდა რაიკომის მდივანს, სასაცილოდ იგდებდა; იმ ხანად რაიკომის მდივანს შვილი ჰყავდა ავად განუკურნებელი სენით. და აი, ვიღაც უცნობი ბოროტ სიხარულს გამოსთქვამდა — ბავშვი მალე მოგიკვდება და შენი ტანჯვით დავტკბებითო.

გულგამწარებულმა მამამ აღარ იცოდა რა ექნა.

— ვანო, — მითხრა მან, — შენი ჭირიმე, შენ თვითონ მოჰკიდე მაგ საქმეს ხელი... იქნებ გაიგო ვინ არის, მეტის მოთმენა აღარ შემიძლია. ლამის ჭკუაზე შევიშალო.

— ეჭვი ხომ არავისზე გაქვს-მეთქი, ვკითხე.

— ვერ წარმომიდგენია ვინ უნდა იყოსო, მიპასუხა.

თავსატეხი გამოცანის წინაშე ვიდექი. საიდან დავიწყო, როგორ დავადგინო ვინ არის წერილების ავტორი.

ვინ შეიძლება იყოს, რა ამოქმედებს, რა ინტერესი აქვს რაიკომის მდივნისა?

ფიქრში რაიკომის აპარატის მუშაკთა სახეებმა გაიელვეს. მათში ხომ არავინ ურევია ასეთი ბოროტი სული? თვითეულ მათგანს დიდხანს ვუტრიალე ფიქრით, ავწონ-დავწონე და დავრწმუნდი — არა, ანონიმური წერილების ავტორი რაიკომის გარეთ უნდა ვეძებოთ.

ვზივარ და ვფიქრობ...

უცებ გამახსენდა პროკურატურაში შემოსული ანონიმური წერილები, უჯრიდან გატენილი საქაღალდე ამოვიღე და კითხვა დავიწყე. უკვე ბინდი ჩამოწვა. ქუჩებში ლამპიონები აენთო, მე კი თავი ხელებში მაქვს ჩარგული და ვკითხულობ... ვკითხულობ... თითქოს გული მიგრძნობს, რომ ამ წერილებმა უნდა მაპოვნინონ დამნაშავის კვალი.

მართლაც ასე მოხდა. ღამის მეთორმეტე საათი იყო, უკვე შინ წასვლაზე ვფიქრობდი, უკანასკნელი წერილი უგულოდ ავიღე ხელში, წაკითხვას არც ვაპირებდი, უნდა შემენახა და უცებ შევჩერდი — ხელწერა მეცნაურა. რაიკომის მდივნის მიერ გადმოცემული წერილები და ეს წერილი ერთი და იმავე პიროვნების მიერ იყო დაწერილი. ჩემს არქივში ნაპოვნი ანონიმური წერილი ეხებოდა ამავე დაბის მცხოვრებს ვახტანგ ჯიქურაშვილს.

წერილის ავტორი ათასგვარ საშინელებას აბრალებდა ვახტანგს, მოითხოვდა მის დაპატიმრებას და სიკვდილით დასჯას.

ვახტანგ ჯიქურაშვილს კარგად ვიცნობდი. პატიოსანი კაცი იყო, ალალ-მართალი. ამიტომ თავის დროზე ამ წერილისათვის ყურადღება არ მიგვიქცევია.

იმ ღამეს მოუსვენრად მეძინა, მოუთმენლად ველოდი გათენებას. როგორც კი სამსახურში მივედი, მდივანს ჯიქურაშვილი გამოვაძახებინე, დილის ათ საათზე ვახტანგი უკვე ჩემს კაბინეტში იყო.

გავაცანი წერილის შინაარსი და ვკითხე — ვის შეიძლებოდა დაეწერა ეს წერილი.

ვახტანგმა წერილი გამომართვა, და დახედა თუ არა, ხელწერა იცნო.

— მითხარი ვინ არის? — ველარ ვითმენ მე.

— ჩემი ცოლისდაა, ლიანა რამაზაშვილი...

— მერე, რას გერჩის, კაცო?

— აი ასე გადამეკიდა. იმდენი მოახერხა, ჯერ ოჯახი დამინგრია, ცოლს გამაცილა, ახლა აი ასეთი წერილების წერაზე გადავიდა.

ჯიქურაშვილი გავისტუმრე და ლიანა გამოვიძახე. კონტროლიორად მუშაობდა შემნახველ სალაროში.

ლიანამ ცივი უარი დაარტყა — ატირდა, ეს როგორ მაკადრეთო.

მაგრამ გრაფიკულმა ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ როგორც მისი ყოფილი სიძის, ისე რაიკომის მდივნისადმი მიწერილი წერილების ავტორი ეს ქალბატონი იყო.

მაგრამ რას ერჩოდა რაიკომის მდივანს? თურმე მისი განკარგულებით, სახალხო ქონების დატაცებისა და მფლანგველობისათვის სამსახურიდან მოხსნეს და პასუხისგებაში მისცეს კაცი, რომელიც ლიანას საქმრო იყო.

აი ამიტომ იძიებდა შურს ლიანა.

მისი საქმე სასამართლოს გადაეცა.

## უილბლო სასიძო

ეს კი კახეთის მეორე რაიონში მოხდა. ვარჩევდი სისხლის სამართლის საქმეს; პასუხისგებაში მიცემული იყო ერთი აქაური ჭაბუკი, გვარად გელაშვილი, რომელსაც ბრალად ედებოდა, რომ თაღლითურად მოატყუა ახალგაზრდა ქალიშვილი და ბოროტად ისარგებლა მისი ნდობით.

საქმე ასე იყო: გელაშვილს უყვარდა ერთი იქაური ქალიშვილი — ნათელა ლომიძე. ერთ საღამოს, სეირნობის შემდეგ, ნათელამ ეს ვაჟი, მის ტოლებთან ერთად, თავის ბინაზე მიიწვია. გაიმართა მაგარი ქეიფი, ყველამ მოილხინა. ქალის მშობლები გელაშვილს უკვე სიძეს ეძახდნენ. „სიძემ“ ისე ბევრი დალია, რომ მაგიდაზე ჩამოეძინა. დილით, რომ გაიღვიძა, ბიჭი გაოცდა — წევს სხვის ბინაზე და გვერდით ქალი უწევს. ნათელას ეძინა. ბიჭმა ფაცი-ფუცით ჩაიცვა ტანსაცმელი და ჩუმად გაიპარა.

გაპარულ „სიძეს“ ქალის მშობლებმა შეუთვალეს: — ჩვენს ოჯახს შენ შეურაცხყოფა მიაყენე.

რატომ გაიქეცი?! თუ ნათელას ცოლად არ შეირთავ, მოგკლავთო!

ვაჟმა მტკიცე უარი შეუთვალა და ყველაფერი იმით დამთავრდა, რომ გელაშვილი საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდა.

ჩემს შეკითხვაზე — სცნობს თუ არა თავს დამნაშავედ, გელაშვილმა უარყოფითად მიპასუხა. მერე ავადმყოფობა მოიმიზეზა და მოითხოვა საქმის სხვა დროისათვის გადადება. სასამართლომ დააკმაყოფილა მისი თხოვნა და საქმის გარჩევა გადადო.

მეორე დღეს ჩემს კაბინეტში შემოდის სამართალში მიცემული გელაშვილი და მთხოვს მოუსმინო.

ვატყობ, ალალი ბიჭი ჩანს.

— ნუ იფიქრებთ, რომ თავის დაძვრენა მინდოდეს, — დაიწყო მან, — მე და ნათელა სკოლაში ერთად ვსწავლობდით, ერთ მერხზე ვისხედით. როგორც დას, მუდამ ისე ვექცეოდი, მასაც მუდამ ძმასავით ვეგულებოდი. ხშირად დავდიოდი მის სახლშიც. ალგებრაში რომ გაუჭირდებოდა, მაშინვე მე დამიძახებდა. სიყვარულით კი მე სხვა მიყვარს. ჩემსა და ნათელას შორის სიყვარულზე სიტყვაც არ თქმულა. რა დაგიმალო და, იმ ღამეს არ ვიცი რა მოხდა, ისე მთვრალი ვიყავი, არც ვიცოდი სად ვიძინებდი. ყველაფერი ნათელას მშობლების ბრალია — თვალი მიმაჩვიეს და სასიძოდ ამომიჩემეს. მე მგონია, ნათელასაც ძალათ ათქმევინეს რაღაც. ისე კი, ჩვენს შორის არაფერი არ შეიძლებოდა მომხდარიყო. რომ გამეღვიძა, კინაღამ ჭკუაზე შევიშალე.

სამედიცინო ექსპერტიზამ დაადასტურა, რომ ბიჭი მართალს ამბობდა.

იქნებ არც ღირდა ამის გახსენება, მაგრამ აი რა მინდა ვუთხრა ზოგიერთ მშობელს: სიყვარული წმინდა საქმეა, როგორ შეიძლება აქ რაღაც მაქინაციების მოწყობა, რაღაც მახეების დაგება — ვიღაც გავაბათო.

ჩემს პრაქტიკაში კი რამდენჯერ შემხვედრია ასეთი რამ!

## აშარი რძალი

როგორი პატივისცემითა და სიყვარულით არიან გარემოსილნი ჩვენი მოხუცები სოფლადაც და ქალაქადაც! ოჯახში ყველა იმასა ცდილობს პაპასა და ბებიას გული არ ატკინონ, სიცოცხლის ბოლო დღეები არ გაუმწარონ.

მაგრამ ის, რაც სოფელ დაბალხევში მოხდა, არ ვიცი როგორ ავხსნა. ასეთ რამეს იშვიათად თუ გაიგონებს ადამიანის ყური. ბევრი ბოროტება მინახავს, მაგრამ შვილისა და რძლის ასეთი გამხეცება ჯერ არ შემხვედრია.

ამ სოფელში ცხოვრობდა მოხუცი ლადო გოჩაშვილი. ბებია თეო დიდი ხანია გვერდით აღარა ჰყავდა და ბერიკაცი შვილისა და რძლის იმედით იყო.

ლენას, სანამ ახალი პატარძალი იყო, არ ეზარებოდა მამამთილისათვის ტკბილი სიტყვა ეთქვა, მაგრამ ორი თვეც არ გასულა, ჭირის დღესავით მოიძულა. რაკი ერთხელ პირი შეაჩვია, იმის ჩხუბსა და კაპასობას ბოლო აღარ უჩანდა, ლანძღავდა საცოდავ ბერიკაცს, ყოველ ლუკმას აყვედრიდა, თუმცა პაპა ლადო ჯერ ისევ მუშაობდა და დასაყვედრი არაფერი ჰქონდა. ავმა პატარძალმა თავისი ქმარი ბესოც აიყოლია.

მოხუცმა დაინახა, რომ მათთან ცხოვრება აღარ შეიძლებოდა, გადაწყვიტა ცალკე გასულიყო. ერთხელ, როცა ლენა თბილისში იყო წასული სავაჭროდ, მამამ შვილს თავისი ფიქრი გაუზიარა. ულირსმა შვილმა უკმეხად უპასუხა, საქმე იქამდე მივიდა, რომ მამას გაარტყა. გამწარებული ბერიკაცი გავარდა სახლიდან და მეზობელთან დაბინავდა, თანაც შვილს სასამართლოში უჩივლა და ქონებიდან თავისი წილი მოითხოვა. საქმის გარჩევა 17 თებერვლისათვის დაინიშნა.

თბილისიდან ახლად დაბრუნებულმა ლენამ ოჯახში მიიხედ-მოიხედა და ქმარს ჰკითხა:

— მამამთილი რა იქნა, სადა გდია?

— ჯანდაბაში! — უპასუხა ბესომ.

— ჯანდაბაზე შორსაც წასულა...

— საქმე ისეა, რომ იქნებ მე გამგზავნოს იმაზე შორს.

— როგორ, აღარ იტყვი, ადამიანო, რა მოხდა?

ქმარმა ცოლს უამბო მამასთან ჩხუბის თაობაზე, თან დასძინა: ექიმის ცნობა აუღია, მოსალოდნელია ციხეშიც ჩამსვასო.

— ნუ გეშინია, მე მოვუვლი ბერიკაცს! — დაამშვიდა ლენამ თავისი მეუღლე.

...14 თებერვალს მეზობლები ლადო პაპას ყვირილმა გამოაღვიძა. მიცვივდნენ მის სახლში, ბერიკაცი ტკივილებისაგან იგრიხებოდა.

— მიშველეთ რამე, შიგნეული მეწვის, — კვნესოდა იგი.

ერთი მეზობელი ექიმთან გაიქცა, მეორე — მოხუცის უმცროსი შვილის გიას მოსაყვანად წავიდა. ექიმი შინ არ დაუხვდათ, გია კი სწრაფად მოვიდა.

ავადმყოფს ლებინება დააწყებინა, ამან, ცოტა არ იყოს, შეუმსუბუქა ტკივილები, ყველანი დამშვიდდნენ და წავიდ-წამოვიდნენ, დილით კი მოხუცი აღარ იყო ამ ქვეყანას.

საქმის ძიება იმ დღესვე დაიწყო, დაუყოვნებლივ დაკავებულ იქნა რძალი ლენა გოჩაშვილი.

გვამის გაკვეთისა და ყოველმხრივი ანალიზის შედეგად დადგინდა, რომ ბერიკაცი გარდაიცვალა დარიშხანით მოწამვლისაგან.

დამნაშავე პირველად გადაჭრით უარყოფდა ბრალდებას, მაგრამ მამხილებელ საბუთებს და მეზობლების ჩვენებას ველარსად გაექცა, მათ ხომ კარგად იცოდნენ რა შავ დღეში იყო ბერიკაცი. ლენამ ბოლოს იკისრა: მამამთილი მე მოვწამლე, ქმრის გადარჩენა მინდოდაო.

— რით მოწამლე? — ვეკითხები დამნაშავეს.

— დარიშხანით.

— სად იშოვე დარიშხანი?

— კოლმეურნეობის მინდვრიდან წამოვიღე.

— როგორ, რა წესით მიეცი საწამლავი ადამიანს?

— ღვინოში ჩავუყარე.

— როგორ დაითანხმე ნაჩხუბარი მამამთილი ღვინის დალევაზე?

— მეზობელთან იყო გადასული, შინ აღარ მოდიოდა. მივედი, მოვეფერე, მოვესიყვარულე, აღუთქვი, რომ ამიერიდან კარგად მოვექცეოდი. მოლბა მოხუცი და შინ წამომყვა... მე სუფრა გავუშალე და... ღვინო რომ მოითხოვა...

დამნაშავეს სიტყვა გაუწყდა, თავი ძირს ჩაჰკიდა.

— დაზოგე თავი, მოჰკალი ადამიანი — შენი ქმრის მამა, ესაა შენი ქალობა, შენი რძლობა და ადამიანობა?

დამნაშავემ აღარაფერი მიპასუხა, ან რა ეთქმოდა იმ საზიზღარს?

საქმე სასამართლოს გადაეცა.

## მამის ანდერძი

რაიონის ცენტრში პისტოლეტის ორი გასროლით მოჰკლეს უნივერმაღის დარაჯი. ბოროტმოქმედებმა გაძარცვეს მაღაზია, წაიღეს დიდძალი თანხა, ძვირფასი ნივთები, ოქროს საათები და მიიმალნენ. მძარცველები ეტყობოდა გამოცდილი ბოროტმოქმედნი იყვნენ, ვინაიდან დანაშაულის ადგილას არავითარი კვალი არ დაუტოვებიათ.

რამდენი არ ვიწვალეთ, ვერაფერი გავიგეთ. საქმე გაუხსნელი დარჩა.

თვეები კი მიდიოდნენ.

ეჭვი მქონდა ორ კაცზე — ისინი წარმოშობით აქაურები არ იყვნენ, კარგა ხნის წინ ჩამოვიდნენ ერთი მოძმე რესპუბლიკიდან, აქ დასახლდნენ, აქაური ქალები შეირთეს ცოლებად; მეტად ხელგაშლილ ცხოვრებას ეწეოდნენ, ფულს ბლომადა ჰფანტავდნენ და საეჭვო იყო, რომ ეს ფული პატიოსანი გზით ჰქონდათ შეძენილი.

მაგრამ ეჭვი — საბუთი არ არის, მე კი არაფერი საბუთი არა მქონდა.

მივწერე იმ მოძმე რესპუბლიკის მუშაკებს, საიდანაც ისინი იყვნენ ჩამოსულები. მიპასუხეს — ეგენი არაერთგზის ნასამართლევნი არიან, ბოლო სასჯელი რომ მოიხადეს, სადღაც გადაიკარგნენ და მას მერე მათი აღარაფერი ვიცითო.

ერთ დღეს შემთხვევით შევიტყვე, რომ ჩამოსულთაგან ერთი სოფელ ჭალისხევში ქორწილს აწყობს; გამიკვირდა, რადგან მისი ცოლი აქ, რაიონის ცენტრში ცხოვრობდა.

ბედზე, სწორედ წინა დღეს, იმავე უნივერმაღში მის ცოლს შევხვდი. შორიდან ვიცნობდი, განზე გავიხმე და ვკითხე:

— რაშია საქმე, ეს როგორ ხდება, რომ თქვენი ქმარი ცოლს ირთავს? თქვენ ხომ მისი კანონიერი მეუღლე ხართ.

— ვიყავი, — მითხრა ქალმა და ტირილი აუტყდა. მეტის გამოკითხვა უხერხული იყო. ვცადე მენუგეშებინა, მერე დავცილდი და ჩემს გზაზე გავწიე.

მეორე დღეს ბევრი საქმეები მქონდა და მდივან ქალს ვუთხარი — იცოდე მე დღეს აქ არა ვარ.

მდივანმა იცოდა რას ნიშნავდა ეს — იმ დღეს არავის არ მივიღებდი და საღამომდე ჩაკეტილი ვიქნებოდი კაბინეტში ჩემს საქმეებთან ერთად.

დღის სამი საათი იყო, როცა მდივანი შემოვიდა კაბინეტში და მითხრა: ვიღაც ქალი დაჟინებით თხოულობს თქვენს ნახვას, ამბობს — ხვალ გვიან იქნებაო.

შემომიყვანე-მეთქი, ვუთხარი მდივანს თავაუღებლივ.

ისე ვიყავი წერით გართული, ვერც კი გავიგე როდის შემოიყვანა მდივანმა ის ქალი, თავი მხოლოდ მაშინ ავწიე, როცა ქალის ხმა მომესმა:

— თქვენთან საიდუმლო საქმე მაქვს.

ავიხედე. ის ნაცნობი ქალი იდგა ჩემს წინ.

— გისმენთ-მეთქი, ვუთხარი და სკამი შევთავაზე.

— მე ვიცი ვინ მოკლა დარაჯი და ვინ გაძარცვა მაღაზია.

„ნუთუ მართლდება ჩემი ეჭვი?“ — გავიფიქრე უცებ.

— მითხარით ვინ არიან! — წამოვიძახე მოუთმენლად.

— ჩემი ქმარი და მისი განუყრელი მეგობარი... დღეს ჩემს ქმარს ქორწილი აქვს და თავისი დოსტიც თან ახლავს.

ჩემთვის ცხადი იყო, რომ ეს ქალი პროკურორის კაბინეტში შურისძიების გრძნობამ მოიყვანა. მაგრამ ახლა ამას ჩემთვის არსებითი მნიშვნელობა აღარა ჰქონდა.

და აი, პროკურატურისა და მილიციის მუშაკები იმ ღამეს სოფელ ჭალისხევში ვესტუმრეთ მექორწილეებს.

ორივე მძარცველი დაპატიმრებულ იქნენ, ვიპოვეთ ის პისტოლეტიც, რომლითაც მათ უნივერმაღის გუშაგი მოჰკლეს, თანაც აღმოვაჩინეთ დიდძალი გადამალული ქონება, რომლის მთლიანი გასაღება ვერ მოესწროთ.

კიდევ ერთი მოულოდნელი ამბავი მოხდა: ორ ბოროტმოქმედთან ერთად საბრალდებულო სკამზე აღმოჩნდა ჩემი ნაცნობი ქალიც, რადგან დადასტურდა, რომ ადრე იგი ეხმარებოდა ქმარს გადაემალა და გაესაღებინა ნაძარცვი საქონელი.

მისმა ქმარმა კი პროცესზე, საბოლოო სიტყვაში აი რა თქვა:

— მამაჩემი ბრძენი კაცი იყო, ალაჰმა შეიწყალოს იმისი სული. სასამართლოს ვთხოვ რაც შეიძლება მკაცრად დამსაჯოს, არ შემიბრალოს, მე სიცოცხლის ღირსი აღარა ვარ, ვინაიდან ჩავიდინე საშინელი ცოდვა, გავტეხე მამის ანდერძი, რომელიც მასწავლიდა — საიდუმლოება ქალს არ გაანდოო.

მოდი და ელაპარაკე ასეთ ხეპრეს!

# ჭრელ-ჭრელი ამბები



### ვინჭრაქას კვერცხი მუზეუმში

რუმინეთის ქალაქ ორადში დაარსდა მუზეუმი, რომლის ექსპონატებია... კვერცხები. მუზეუმში 750 ფრინველის 10.000 კვერცხია გამოფენილი. ეს კვერცხები შეაგროვეს 78 ქვეყანაში, 3 ათასი ბუდიდან.

მუზეუმში ექსპონირებული ყველაზე პატარა კვერცხის — ქინჭრაქას კვერცხის სიგრძეა 18 მილიმეტრი, ყველაზე დიდი კვერცხია სირაქლემასი, რომლის სიგრძე 152 მილიმეტრს აღწევს.

ორიგინალური მუზეუმი გაიხსნა აგრეთვე პოლონეთში, ქალაქ ინოვროცლავში. იგი მოწყობილია საგალანტერიო ნაწარმის ფაბრიკასთან; ესაა ღილების ისტორიის მუზეუმი. კოლექციაში შედის ის ღილებიც, რომლებიც არქეოლოგიური გათხრების დროს იპოვეს.

მართლაც და, განა საინტერესო არ არის როგორი ღილები ჰქონდა მუნდირზე იერემია ვიშნევეცკის, ან მეფე იან კაზიმირს? ყოფისა და ტანსაცმლის ისტორიისათვის ამ მუზეუმს აუცილებლად ექნება ერთგვარი შემეცნებითი მნიშვნელობა.



### უცნობი პიროვნება

ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ უიჩიტო ფოლსის (ტეხასის შტატი) მუნიციპალიტეტმა თხოვნით მიმართა თეთრ სახლს: ნება მოგვეცით ახლებურად გადავნათლოთ ქალაქის ის ქუჩები, რომლებსაც ისეთი უცხოელების სახელები ჰქვიათ, რომელთა ვინაობა გაურკვეველიაო. აქვე დართული იყო ამ გაურკვეველი ვინაობის უცხოელთა სია. ყველაზე საინტერესო აქ ის არის, რომ სიაში აღმოჩნდა... ნაპოლეონი.



### „ნუ სწევთ თამბაქოს"

ამას წინათ, ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქ რანდოლფში (მასაჩუსეტსის შტატი, 28 ათასი მცხოვრები) თამბაქოს მწეველებს წინადადება მიეცათ, ერთი დღის განმავლობაში არ მოეწიათ თამბაქო და დაზოგილი ფული ადგილობრივი სკოლების ფონდისათვის გადაეცათ. დღის ბოლოს ადგილობრივი სკოლების ფონდს თამბაქოს მწეველებმა 3.500 დოლარი ჩააბარეს.

თამბაქოს წევის წინააღმდეგ დაწყებულ ჯვაროსნულ ლაშქრობებში ჩაებნენ რადიო და სატელევიზიო სადგურები. ქალაქ ფაირფაქსის (ვირჯინიის შტატი) რადიო თავის მორიგ გადაცემებს, როგორც წესი, ყოველთვის ასე იწყებს: ადგილობრივი დროით ამდენი საათი და ამდენი წუთია... თავი დაანებეთ თამბაქოს წევას!

ქალაქ ბოსტონის რადიომ ამას წინათ მოაწყო 12-საათიანი სპეციალური გადაცემა, რომლის დროს რეპროდუქტორიდან ისმოდა როგორ ახველებდნენ თამბაქოს მწეველები, ინტერვალებში ექიმები ლაპარაკობდნენ, თუ რაოდენ მავნებელია ნიკოტინის შხამი.

მაგრამ ძნელია ამ გზით მიაღწიო წარმატებებს, თუ არსებით დახმარებას არ აღმოუჩენ იმ ადამიანებს, რომლებიც თამბაქოს წევას თავს ანებებენ; საჭიროა მათთვის სპეციალიზირებული კლინიკები გაიხსნას. „მაგრამ მთავარია ის, — ამბობს სან-ფრანცისკოელი ექიმი კოსტა,—რომ ამ კლინიკებში მოხვედრა უფრო იოლი იყოს, ვიდრე ერთი კოლოფი სიგარეტის ყიდვა".



### კაბიანი ფორვარდი

იუნიორების საფეხბურთო გუნდში „ფ. კ. სიონში" თითქმის მთელი წელი თამაშობდა ფეხბურთელი, გვარად ბოლი. შვეიცარიის ფეხბურთის ფედერაციას მის მიმართ არავითარი პრეტენზია არა ჰქონდა; მხოლოდ ეს იყო, ფეხბურთის გუნდის მწვრთნელი, ცოტა არ იყოს, გაოცებული იყო იმის გამო, რომ ბოლი არასოდეს არ დადიოდა შხაპის მისაღებად და ყოველთვის მოფარებულ კუთხეში იხდიდა ტანსაცმელს. საქმეში ექიმები ჩაერიენ. გამოირკვა, რომ გუნდის საუკეთესო ფორვარდი ბოლი თურმე ქალიშვილი ყოფილა და სახელად მადლენა რქმევია. საცოდავი გოგონა მაშინვე გარიცხეს გუნდიდან.

რამდენიმე ხნის შემდეგ მადლენა კვლავ გამოჩნდა საფეხბურთო მოედანზე. ამჯერად იგი უკვე ქალების გუნდ „მილანში" თამაშობდა.



### იონესკო „უკვდავთა" შორის

საფრანგეთის აკადემიამ თავის წევრად აირჩია „აბსურდის თეატრის" ცნობილი დრამატურგი ეჟენ იონესკო. არჩევნების დროს ხმები შემდეგნაირად გაიყო: თვრამეტმა „უკვდავმა" მხარი დაუჭირა იონესკოს კანდიდატურას, ცხრამ წინააღმდეგ მისცა ხმა, 7 ბიულეტენი ცარიელი აღმოჩნდა.

„იონესკოს მიღება აკადემიაში იმას ნიშნავს, რომ ამიერიდან აკადემიის კარი ღიაა იმ კანდიდატებისათვის, რომლებსაც არაფერი არა აქვთ საერთო აკადემიზმთან", — განაცხადა აკადემიის წევრმა ჟან როსტანმა.



ცოცხალი კედელი შენგრეულია. ნახ. კ. მოშკინისა. („სოვეტსკი სოიუზ").

გარეკანის პირველ გვერდზე: თინათინ ლეკვეიშვილი და მისი მწვრთნელი მარგარიტა ტატიშვილი. ფოტო თ. არჩვაძისა.

მთავარი რედაქტორი გ. ნატროშვილი.

სარედაქციო კოლეგია: გ. ბახტაძე, თ. გოგოლაძე (პ/მგ. მდივანი), ს. დურმიშიძე, ლ. კალანდაძე, ვ. კიკნაძე, ა. კუსრაშვილი, დ. ნოდია (მხატვარი-რედაქტორი), მ. საკაშვილი, ი. ტაბაღუა, უ. ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი დ. ხეფიაშვილი. კორექტორი ტ. თაბორიძე.

რედაქციის მისამართი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 42, III სართ. ტელ.—რედაქტორის—99-54-66, პ/მგ. მდივნის—99-82-69, განყოფილებების—93-28-42, 99-01-39

რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება. ფასი 30 კაპ.

გადაეცა ასაწყობად 9/XI-70 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 25/XI-70 წ. ქაღ. ზომა 70×108¹/₈. ფიზიკური ნაბეჭდი ფურც. 3. პირობით ნაბეჭდი ფურცელი 4,2. ტირაჟი 46.000. შეკვ. № 3328. უე 02243.

Ежемесячный общественно-политический и литературно-художественный журнал „Дроша" (на грузинском языке) Издательство ЦК КП Грузии

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

# ვახტანგ ქუცია



ეროვნული ბიბლიოთეკა



— მაშ თქვენ ამტკიცებთ, რომ ეს ნაძვი მისი ბიოლოგიურ-ეკოლოგიური თავისებურებების შესასწავლად გჭირდებათ?



პედანტის ახალი წელი.

კინოსცენარის თანაავტორები საახალწლო მასკარადზე.





— ალო, თეიმურაზ დავითიჩ! მოგილოცავ ახალ წელს.

უტექსტოდ.



— შეფ! გვეყოფა, უკვე თორმეტი საათია!



ИНДЕКС 76056

ეროვნული ბიბლიოთეკა



რაგბი.

ფოტო თ. არჩვაძისა